# ივერია

1881

№ IX, სექტემბერი.

თბილისი.
ექვთიმე სულხანის სტამბა.
1881

## შინაარსი:


I რანი ვიყავით ვუშინ? (დასასრული) ი. სვიმონიძისა 3

II რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა (სტატია მეორე). გლეხობა და სახელმწიფო ხარჯი. — ერობის მნიშვნელობა გ. თუმანიშვილისა . . . . 27

III სამშობლო ხევსურისა, (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა . . . . . 43

IV ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ . . . 45

V სიყვარულის ცოლ-ქმრობა, (Le mariage d'amour), მოთხრობა ლ. ჭალეკვისა (ფრანცუზულიდამ) 58

VI თბილისის სასულიერო სემინარია და პირველი მისი რექტორი ბაიოზ ნაცვლიშვილი, (შემდეგი) ნ. მთვარეულიშვილისა . . . . . 98

VII შინაური მიმოხილვა . . . . . 119

VIII ახალი წიგნები: ვაი მართალთა, ანტ. ფურცელაძისა—წყარო, № 2— ხატაური — წითელი ფარანი— სიყვარულის კონა დიმიტრი ნადიროვისა. . 129

IX რედაქციისაგან . . . . . 143

X ბანცხადება (ყდაზედ).

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

6000

---

წელიწადი მეხუთე.

**№ IX**

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
ეკვთიმე ხელაძის სტამბა, სტამბანის ქუჩაზე.
1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Августа 1881 г.

# რანი ვიყავით გუშინ?

შაგთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე ოავის მიწისა.

გრ. ორბელიანი.

(დასასრული *)

## VI

ჩვეულებრივი აზრით საქართველო მეთვრამეტე საუკუნის გასულს მოცული იყო გონების ხშირის სიბნელითა და სრულად მოკლებული განათლებასა. დაასლოებითი გაცნობა ისტორიულის ფაკტებისა სრულიად ამტკუნებს ამ შეხედულობასა. ორი სასულიერო სემინარია თელავში და თბილისში უმზადებდა საქართველოს ერსა განათლებულ მწყემსთა. მაშინდელი სასულიერო უმაწვილების აღზრდა, უგულო და უსულო ჩინოვნიკების სელში როდი იყო, მათ ზრდიდენ იმისთანა განათლებულნი და გულ-მოდგინე მამულის-შვილები, როგორც გაიოზი, ავტორი მრავალთა შესანიშნავთა თხზულებათა და შემდგომში მთავარ-ეპისკოპოზი ტავრიდისა და ასტრახანისა;

*) «ივერია» № 8, 1881 წ.

დავით და ალექსანდრე რექტორები, გულ-წრფელი პატრიოტები. მაშინდელს სემინარიელებს ტვინს როდი უწყალებდენ უცხო ენაზედ სწავლითა, ბერძნულის და ლათინურის განუურელი ზეპირობითა; ყველა საგანს ისინი მოისმენდენ დედაენაზედ, ვრცლად შეისწავლიდენ წარსულს ცხოვრებას თავის ქვეყნისასა, შეითვისებდენ ქართულ ლიტერატურის ქმნილებათა და ამასთან ვრცლად სწავლობდენ საზოგადო საგნებსაც. მთელი სისტემა სემინარიისა დამკვიდრებული იყო ნაციონალურ ნიადაგზედ, მეტ-ნაკლებობით ზედ იყო გამოჭრილი ჩვენის ერის მოთხოვნილებათა ზედა. ამიტომ ეს სემინარიები ზრდიდენ პირთა, რომელთაგან შემდგომში გამოდიოდენ შესანიშნავნი მსწავლულნი, სახელოვანნი მქადაგებელნი და ჭეშმარიტნი მწყემსნი ერისა. ამათის მეოხებით მაღალი სწავლა სახარებისა ხშირად გაისმოდა სალხში, უნათლებდა მას გონებასა, უმტკიცებდა ზნეობას და უმაღლებდა პატიოსნებას. ამისთანა მწყემსნი ღირსნი იყვნენ სიყვარულისა და ერსაც უყვარდა ისინი. ესაზეარი ტაქტია ერსა და მღვდელს შორის მაშინ ყოველად მოუფიქრებელი იყო და უშვერს რასმეს შეადგენდა. სემინარიებზედ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და დიდი ღვაწლი მიუძღოდა მაშინდელ მონასტრებს, რომელთა რიცხვი მარტო ქართლში თორმეტამდე ადიოდა [1]). ესენი, როგორც უველგან ცნობილია, იყვნენ არა მარტო ლოცვისა და მარხულობის ადგილნი, არამედ სწავლის და განათლების მომფენნიც ჩვენს ქვეყანაში. ეს კიდევ ცოტაა. თხუთმეტი კათედრა სამიტროპო-

[1]) ეს მონასტრები ქართლისა იყვნენ შემდგომნი: ქვათახევისა, შიომღვიმისა, მეტეხისა, იკორთისა, ანანურისა, ჯვარისა, მღვიმისა, ლარგვისისა, ხობისა, ულუმბისა, გეთსამანიისა, თირისა.

ლიტო და საეპისკოპოზო [1]) წარმოადგენდა პატარა ცენტრებსა, რომელნიც საეკლესიო საშუალებით ავრცელებდენ სწავლას ხალხში.

რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა სკოლების გამრავლებას მაშინდელი ჩვენი სასულიერო უმაღლესი მთავრობა, სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ, როგორც ამას მოწმობენ საეკლესიო გუჯრები, ყოველი ეპისკოპოზი გურთხევის დროს აძლევდა აღთქმასა, ხელწერილსა, რომლითაც იგი ვალად იდებდა საეკლესიო სკოლების გამრავლებას თავის ეპარქიაში. მაშინდელი საერო მთავრობაც დიდს ყურადღებას აქცევდა ყოველ-გვარ სასწავლებლებს და საეკლესიო სკოლებს კერძოდ: თვით მეფეც დაივლიდა ხოლმე სასწავლებლებს, სტდიდა სწავლაში მოწაფეთა, თავის სელით ასახუქრებდა უკეთესებს მათგანს, მამობრივს დარიგებას აძლევდა და აქებებდა სწავლაზედ. ამიტომ მაშინდელი სკოლები მშვიდობიანობის დროს ყოველთვის სავსენი იყვნენ მოსწავლეებითა. აი რა საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ მეფე გიორგის ცხოვრებაში შესახებ თბილისის საეკლესიო სკოლებისა: «თელავიდგან მოსრულს დავით რექტორსა თელავის სემინარიისა, შემდგომად გაიოსისა მოძღვარსა, უბრძანა მეფემან დახედოს თბილისის სასწავლებელთა, რომელნიც იყვნენ დროსა ამას: ნათლის-მცემელის ეკლესიისა, კალოუბნისა, სიონისა, ქაშვეთისა, მეტეხისა და ანჩხატისა. ას-

---

[1]) კათალიკოზის გარდა, რომელიც იჯდა თბილისში, საქართველოს მაშინ ჰყვანდა ექვსი მიტროპოლიტი: ქართლში—სამთავროისა, თბილისისა, რუისისა, კახეთში — ალავერდისა, ბოდბისა, ნინო-წმინდისა; ოთხი არხიეპიზკოპოზი: ქართლში—წილკნისა, მანგლისისა; კახეთში—რუსთავისა, ნინო-წმინდისა(?) და ხუთი ეპისკოპოზი: ქართლში—ურბნისისა, სამთავისისა, ნიქოზისა; კახეთში—ნეკრესისა, ხარჭაშნისა.

წავებდენ აქ წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამატიკასა, კატეხიზმოსა ანტონი კათოლიკოზის სისტემითა, ძველთა სამეფო ისტორიათა და სხვ. მოსრულთა ჭასაკთა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწავლიდენ ძველსა და ახალსა თეოლოგიასა და ღვთის მეტყველებასა, ანტონისავე შედგენილს. მოწაფენი დროთა ამათ იყვნენ ოთხასამდის, ვითარცა იტყოდენ თვალით მხილველნი მოხუცნი. მაისის დღეს მეფე მიბძანდა და იხილა მოწაფენი ეფრემ მღვდლისა, კალოუბნელისა; თვითეულს უბძანა წაიკითხოს. აგალობა იგინი და თვითონაც გალობდა წირვასა და მწუხრისა საგალობელთა. დიდად გაძღიარულდა მეფე, იხილა რა ერძანი მადლიანად მკითხველნი, უბრძა თითო აბაზი და ამცნო ერძათა, რათა ეშინოდეთ მათ ღვთისა და შეიქმნებიან ბრძენნი და შვილნი ეკლესიისანი, ვინაიდგან დასაწყისი სიბრძნისა არს შიში უფლისა და სხვ.» ამ ცნობიდგან ცხადად სჩანს, რომ მაშინდელი საეკლესიო სკოლები მარტო წერა-კითხვის მიმდევნი არა ყოფილან; მათ ჭქონიათ იმისთანა ფართო პროგრამა, რომელიც ბეკრად აღემატება ახლანდელს ოთხ-კლასიან საასულიერო სასწავლებლების პროგრამასა.

ამიტომ ჩვენი ქვეყანა მაშინ ღარიბი არ იყო ნასწავლი და განათლებული პირებითა. მათ შორის იყვნენ გამოჩენილნი პოეტნი, როგორც ბესარიონ გაბაშვილი, ბესიკად წოდებული, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ფილოსოფოსნი და რიტორნი როგორც ჭაბუა ორბელიანი და სოლომონ ლეონიძე; შესანიშნავნი მჭადაგებელნი, როგორც ამბროსი ნეკრესელი, ვარლაამ ერისთვისშვილი, რომლის ქადაგებანი გადათარგმნულ იქმნენ რუსულს ენაზედ; სახელოვანი ღვთის-მეტყველნი, როგორც ანტონი პირველი, დოსითეოს ნეკრესელი და გაიოსი; შესა-

ნიშნავნი სასულიერნო მწერალნი, როგორც დეკანოზნი სოლომონ და ალექსი ალექსი-შვილები; ბიოგრაფნი როგორც ომან ხერხეულიძე, აღმწერელი მეფის ერეკლეს ცხოვრებისა, დიდად ჰუტივ-ცემულნი სასულიერო პირნი, როგორც ანტონი მეორე, იუსტინე, მთავარ-ეპისკოპოზი მაღალაშვილი, ნიკიფორე, შემდეგ ექსარხოსისა ვიკარი, იოსტინ მღვდელ-მონაზონი ანდრონიკაშვილი და სხვანი.

რაც შეეხება დაბალს ხალხს, მასშიაც წერა-კითხვის ცოდნა ისე ხშირი იყო, რომ ძნელად იპოვნიდით ქალსა, განსაკუთრებით მონასტრების და საეპისკოპოზო კათედრების სკოლის სოფლებში, რომელსაც წიგნი არა სცოდნოდა. ამ ფაქტს ამოწმებენ უველა მოსწრებულნი პირნი, განათლებულნი და სარწმუნონი. ამითი აიხსნება ის ფაქტიც, რომ ჩვენს ხალხს გაზეპირებული ჰქონდა საუკეთესო ადგილები «ვეფხვის-ტყაოსნისა», აქამომდე დარჩენილია გლეხობაში ამ ცოდნის ნაწყვეტები.

მაშინდელი სამეცნიერო წიგნების სიმრავლე ეხლა ჩვენთვის სრულიად გასაკვირველია. მეტაფიზიკიდგან და დიალექტიკიდგან დაწყობილი, ვიდრე გეომეტრიამდე ქართულ ენას ჰქონდა შეძენილი ოთხელის მეცნიერების თხზულება ან ორიგინალური, ან ნათარგმნი. მარტო ანტონ პირველმა, საქართველოს კათოლიკოზმა, გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა ორმოცდა-სამი ახალი თხზულებითა, რომელთა შორის ნახევარი საერო მეცნიერებას ეკუთვნოდა. სიმდიდრე ჩვენის ენისა იყო იმისთანა, რომ თვით უღრმესნი ჭეშმარიტებანი ოთხელ-გვარ მეცნიერებისა დაუბრკოლებლივ და უველასათვის გასაგებად იხატებოდენ. სწავლის და განათლების მოთხოვნილებას ბევრად,

თუ ცოტად აკმაყოფილებდა სტამბები, რომელნიც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში დაარსდენ და მოქმედებდენ.

სასულიერო წოდებას მეტად ამსნეკებდა და ფრთას უშლიდა ის გარემოება, რომ მას თავს უდგა არა შორიდგან გადმოვარდნილი პირი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ქვეყანასთან, რომელიც ავის თვალით უყურებს ყოველს მოვლენას, ნაციონალურ სიცოცხლის მაღორძინებელს და რომელიც დედის-ნაცვალსავით სჩაგრავს ყველას და მიწასთან ასწორებს, არამედ მამულის-შვილი, შეკავშირებული თავის სამწუსოსთან სულის და გულის მრავალის ძაფებით, მოუკარე თავის ქვეყნისა, მოწადინე მისის ბედნიერებისა და გამამხნევებელი ყოველის მოღვაწისა. ყოველ ღირსეულს პირს იმედი ჰქონდა, რომ ბედმა შეიძლება მას მიანიჭოს პირველი ადგილი სასულიერო სტერაში, დაუყენოს საქართველოს ეკლესიის მთავრად, მმართველად და გაიუკანოს მოქმედების ფართო ასპარეზზედ. ეს იმედი ყველას ფრთებს უსხავდა, ყველას უმატებდა ძალსა და ღონეს მოქმედებისას და მხნეობით ავსებდა. ღენერლობის იმედს არა ერთი საღვთი გადუქცევია საბოლოვან სარდლოთა,—ქართველოზობის მოლოდინმა არა ერთი ქართველი სასულიერო პირი შეამკო მრავალი ღირსებითა, აღავსო სწავლითა და ცოდნითა. კი იმ საღხს, რომელიც ამ გვარს იმედს მოკლებულია სასულიერო სტერაშიც და საერო შეიაც!

მართალია, მაშინდელი ჩვენი მწიგნობრობა და ლიტერატურა ბევრით შეესაბამებოდა იმ საჭიროებას განათლებისას, რომელიც ევროპამ გამოიარა მეთხუთმეტე საუკუნეში; მაგრამ ამ მწიგნობრობას თავისი საკუთარი ნიადაგიც ჰქონდა, ნამდვილის სიცოცხლის ნიშნები ედო, წარმატების გზაზედ იდგა და, ასე გასინჯეთ, არ იყო სრულიად მოკლებული გავლენასა იმ

აზრებისა და იდეებისა, რომელნიც მაშინ აღელვებდენ მთელს ევროპას, თუმცა ევროპაში მისვლა-მოსვლა ძალიან ძნელი იყო. სადამდის მიდიოდა თანა-მედროვე ევროპის მოძრაობის გავლენა ზოგიერთ ქართველებზედ, სჩანს იქიდგან, რომ მაშინ ვოლტერსაც კი ჰყვანდა ჩვენში თაყვანის მცემლები. თვით ანტონ კათალიკოზის მოღვაწეობის მეორე პერიოდი, ბევრით ნაყოფიერი პირველზედ ჩვენის ლიტერატურის გამდიდრებისთვის, ევროპის მსწავლულთ და მწერალთა გავლენის ქვეშ სწარმოებდა. მაშინდელი სოციალურ და პოლიტიკურ იდეების ზედ-გავლენის კვალიც კი ეტყობა ჩვენს ცხოვრებასა. ამას გვაჯერებენ: ერთი შესანიშნავი განკარგულება ერეკლესი და შეთქმულობა დაცულ—ბარათაშვილისა. როდესაც ეკატერინე მეორე მთელს მცირე რუსეთში ჰფენდა ბატონ-ყმობის სენსა და თავის ფავორიტებს ათასობით ურიგებდა იმ დროამდე თავისუფალ ხახოლებსა, სწორედ ამ დროს ერეკლემ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით ყმობისაგან განთავისუფლდებოდა ყოველი გლეხი, რომელიც ტყვეობიდგან დაბრუნდებოდა. ეს ფაქტი სრულს საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ, თუ ჩვენი ისტორიული მსვლელობა თავის ნაციონალურის კალაპოტიდგან არ გადავარდნილიყო და ღობე-ყორეს არ მოსდებოდა, ბატონ-ყმობის გაუქმებას ბევრად ადრე მოვესწრებოდით სამოცდა-მეოთხე წელიწადზედ და ეს გაუქმება მოხდებოდა გლეხებისათვის ბევრად უფრო სასარგებლო საფუძველზედ. დაცულ-ბარათაშვილმა და ბევრმა იმის მომხრეებმა მეფე გიორგის სიკვდილის დროს შეადგინეს შეთქმულობა, რომლის განზრახვა იყო დაცვა დამოუკიდებლობისა და დადგინება საქართველოში რესპუბლიკისა.

## VII

ეველა ზემოხსენებულით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ საქართველო მეთვრამეტე საუკუნეს ბოლოს სულს სახელმწიფო ორგანიზმს წარმოადგენდა. სრულიადაც არა. იგი ბევრგან იყო დაჭრილი, დაზიანებული და შესუსტებული, ბევრი რამ აკლდა; არეულობა, წინ-დაუხედაობა და უმეცრება მის შვილთა შორის იყო დიდი, ბევრს აზიურს წესებს გაედგათ ფესვები, ბევრი მტერი ჭუავდა მას, მაგრამ გული გატეხილი არა ჭქონდა, ჯანი კიდევ ერჩოდა, ღონე და ძალა წარმატებისა ბლომად უდგა ძარღვებში, დაჩაგრულობას არ დაეხარა ძირსა და შეეძლო თავისი დაჭრილობანი მოერჩინა, შემავიწროებელნი გარემოებანი გაეთავნტა, გამართულიყო წელში და მტკიცედ დასდგომოდა განათლების, თავისუფლობის და გაუკეთესების, პროგრესის გზასა. ამ წადილის მოწევისათვის საჭირო იყო ორი წამალი, ორივე უებარი: ერთობა ქართველთა ტომისა, მოკრება აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსი ერთის მძლავრის მარჯვენის ქვეშა და გახსნა განიერის, თვართო გზისა შავის ზღვის შუამავლობით ევროპის გავლენისათვის და მის გამცხოველებელ ცივილიზაციის დაწაფისათვის.

მაგრამ საქმე ის არის, გრძნობდა საქართველოს ერი ამას? ესმოდა საჭირობა და უებრობა ამ წამლისა? ისტორიული ფაქტები ამ კითხვაზედ გვიპასუხებენ, რომ მთელი ერი საქართველოსი, ოოველი მისი წოდება მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, გრძნობდა ერთობის მიუტილებელ საჭირობას, მის დიდ სარგებლობას და გულით და სულით მოწადინებული იყო

შეედგინა ერთი სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებიდგან დაწყობილი ვიდრე შავი ზღვის კიდეებამდის. ერთობას მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, რომ გაუვალი კედელი, რომელიც ამართა საქართველოს და ევროპის შუა ოსმალეთის მოლობელობის დამკვიდრებამ შავს ზღვაზედ და მის გარეშემო ნაპირებზე, შემუსვრილ იქმნა რუსეთის მძლავრის ხელით და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა თვართო, განიერ გზასა საქართველოს ერის დაახლოვებისათვის, დაკავშირებისათვის აყვავებულს ევროპის ერთა თანა. ეს კარგად ესმოდათ მაშინ ჩვენებსა, კარგად ახსოვდათ ისიც, რომ უწინაც, თამარ მეფის დროს, ერთობამ, ერთ-მთავრობამ საქართველო აღამაღლა, აუვავა და განაძლიერა; ამიტომ პირველი მოხერხებული შემთხვევით ისარგებლეს და შეერთება მთელის იმერეთისა თითქმის ერთ-ხმივ მოითხოვეს. ეს მოხდა 1790 წელსა, როდესაც იმერეთიდგან დესპანები მოვიდენ თბილისში. ამ დესპანების მოსვლა, სახელმწიფო კრება ერეკლეს სასახლეში, ცხარე ბაასი და სანგრძლივი სჯა მთელის საქართველოს შეერთებაზე ისეთი შესანიშნავი ფაკტია ჩვენს ისტორიაში, ისე ცხადად გვიხატავს ერთის მხრით ჩვენის ერის გონიერობას და სასელმწიფო ჭკუას და მეორე მხრით სამეფო სახლის ეგოიზმს, წვრილმანობას, რომ საჭიროდ ვრაცხთ დაწვრილებით მოვახსენოთ ეს ამბავი მკითხველსა.

ერთობას თხოულობდენ ეგელანი: გლეხნი, აზნაურნი, თავადნი, სამღვდელონი, იმერნი და ამერნი. «შემდგომ გარდაცვალებისა სოლომონ პირველისა», გკითხულობთ მეფის გიორგის ცხოვრებაში, «მოვიდენ იმერეთით: ეზვთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაისოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთ-ხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხ-

ნია წულუკიძე, იოანე ანაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაისოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცნი: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი... ესენი ითხოვდენ, რადგანაც არა სურს მეფესა ერეკლეს მეფე დავით მიტაცებული ტასტისა, ინებოს და შეაერთოს თავისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთმთავრობისა დროთა. დესპანნი იმერეთისანი არწმუნებდენ მეფესა, რომელ ყოვლადია სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მსიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიანთ ეს. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უსარიანთ, უსარის ბატონობა თქვენი მთელ იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გახსრებულსა. მეფემან უგდო ყური და ნაცვლად პასუხისა. პირად ბრძანა, იქმნას რჩევა საქმისა.»

დანიშნულს დღესა კათალიკოზი, მღვდელთ-მთავარნი, თავადნი, სარდალნი, სასულთ-სუფესნი, მდივან-ბეგნი ქართლ-კახეთისა შეიკრიბნენ სამეფო პალატაში და შევიდნენ განსჯასა. ამ რჩევასა და სჯის დროს, ამიერთ მოითხოვეს შეერთება საქართველოსი ისეთივე ძმნეობით და შორს გამჭვრეტელობით, როგორთაც იმიერნი ითხოვდენ. «პირველი და ძლიერი სმა ერთობისათვის», განაგრძებს მეფე გიორგის ცხოვრების ავტორი, «იყო ჭაბუა ორბელიანისა. მას შეუდგნენ ქათალიკოზი ანტონი, სარდალი დავით უანფლანიშვილი, სოლომონ ლეონიძე, ზაქარია, მოურავი ქიზიყისა, ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. მეფე სდუმდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუსილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა; აგურთსევდა აზრთა ამათ ზეგარდამო ჩაგონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. «ნუ ჭყოვნი მეფეო! იტყოდა ჭაბუა. ერი იმერთა ითხოვს ერ-

თობასა და კავშირსა; ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვნასა? მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ვიცი და მესმის აზრი თქვენი, მეფეო! ვითარ მოვუღო მეფობა შვილის-შვილსა ჩემსა? ესეთი აზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა. ვითარ მოელო მეფობა ქართლისა მეფეთა ქართლისათა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კასეთისა. ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა აჩის ერთად დაკავშირება.» «ბატონო მეფეო! მოასსენა წერეთელმა, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით. ირწმუნეთ მეფეო ბატონო, სომ სცნობს ამას მტერი და მიეცემა შიშსა და მორიდებასა.»

ამ ბრძნულ წადილს, მსურვალე მჭევრ-მეტყველებით გამოსატულს, წინა-აღუდგა წვრილმანი ანგარიში ჩვენის მაშინდელ ფეოდალებისა, რომელთაც ერთობა და მეფის გაძლიერება არასურად ეჩიტნაჭებოდათ ყოველთვის. «შემდგომ დუმილისა მეფისაგან, მუსრან-ბატონმა ივანემ მოახსენა- კრებასა: დაკავშირება იმერეთისა დიად ძნელიაო. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვიგლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რად ვექმნათ ბატონათ ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი ბატონი, შვილის-შვილი მეფისა?» მაშინ დავით სარდალმან, ერთმა გულ-წრფელ პატრიოტთაგანმა, განრისხებულის სმით წარმოსთქვა: «მართლად აღიარებს მუსრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის დღეს ის ქვეყანასა თავისის სმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსტეხს ღმერთი სხვასა მუსრანის-ბატონსა, რომლის სმალი უფრო მჭრელი იქნება.» ეს სიტყვა იწყინა მეფემ, რომელიც წინააღმდეგი იყო შეერთებისა. და დაშალა კრება.

## VIII

დაუოლებელი, შეუჯერებელი წინააღმდეგობა საქართველოს ერთობას ამოუჭინა დედოფალმა დარეჯანმა, რომელიც ეშმაკობაში დახელოვნებული იყო, მაგრამ ნამდვილს ჭკუას და მამულის სიყვარულს კი მოკლებული. საუბედურად ქვეყნისა დარეჯანს დიდი გავლენა ჰქონდა ბოლოს ხანებში ერეკლეზედ და სახელმწიფო დიდ-საქმეებშიაც კი თავის ნებაზედ აკარებდა მას. ამ მაგნებელ გავლენის ნაყოფი იყო, სხვათა შორის ის სამეფო სახლის აღმაშფოთებელი, ამრეკი და ქვეყნის ჯაძღუპავი ანდერძი, რომლითაც ერეკლე თავის პირმშო შვილის გიორგის შვილს გამოსწირავდა სამეფო ტახტსა, დაუმტკიცებდა მას იულონსა, უფროს შვილს დარეჯანისას და თავის სამეფოში შემოჰქონდა ოსმალური წესი ტახტის მემკვიდრეობისა ნაცვლად ევროპის წესისა, რომელიც იმ დროამდე მოქმედებდა საქართველოში. ეს ანდერძი სრულიად გვარწმუნებს, რომ ერეკლე, შეშფოთული მრავლითა სამაგალითო სამსედრო თვისებითა და სასულ-განთქმული ვაჟ-კაცურ ხმლის მღელვარებითა, ჩვენდა საუბედურად, ნადირ-შახსავით და მეთორმეტე კარლოსავით, მოკლებული იყო პოლიტიკურ შორს-გამჭვრეტელობასა და ამ მსრით გაუზომელად დაბლა იდგა თავის პაპა ვახტანგ მეექვსეზედ, რომლის მშვენიერი და მომწიფური პოლიტიკური განძრახვა დაარღვია იმისთანა უცნაურმა შემთხვევითმა მოვლენამ, რომელსაც არავინ არ მოელოდა არც ევროპაში და არც აზიაში და რომელმაც ერეკლესავით თავისთან სამარეში არ დამარხა ყველაფერი თავის ნამოქმედარი,

არამედ დასტოვა ჩვენს ისტორიაში ცხოველი, ნაყოფიერი და შეგდავი კვალი.

საქმის ჩასაშლელად და უკულმა დასასტრიალებლად დედოფალმა დარეჯანმა მოიხმარა მეექვსა და მრისხანება იმათ წინააღმდეგ, რომელნიც უფრო გულ-მხურვალედ და გატაცებით ჭქადაგობდენ ერთობის საჭიროებას და დიდს სარგებლობას... «ასტონ დედოფალმან დარეჯან საუბარი ესე ეოველი (პირველის კრებისა) განრისხდა და დაიბარა ჭაბუა ორბელიანი და მრისხანედ უბძანა ეეედრების სიტყვა.» მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჭაბუამ დაამტკიცა, რომ საქართველოს კიდევ ჭყვანდენ შვილები, რომელნიც მზად იყვნენ შეეწირნათ პიროვანი ინტერესები მამულის ბედნიერებისათვის. «არა ბატონო დედოფალო, ვერ შეეიქმნები ორგული», ეტყოდა ჭაბუა. «ზრი ჩემი დარჩება უცვლელად, მტკიცედ და უკეთუ არ აღსრულდება, არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა. ვიცი, რასაც ვიტყვი, არ ვხედავ კეთილად საქმესა და ესე ვარჩევ. ვიყო და მერქვას ქვეყნის მრჩეველი და ვურჩევდე რასმე ბოროტსა? მამა-პაპათა სისხლი დაეღვრიათ ქვეყნისათვის... ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისათვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ, ბატონსა ჩემსა დედოფალსა, სიტყვათა ამათ.»

თვით მეფეკვიდრე საქართველოს ტახტისა გიორგი (რომელიც საქართველოს საუბედურად, სწორედ იმ დროს გამეფდა, როცა დაჭკარგა გონებითი, ზნეობითი და ფიზიკური ძალა) გატაცებულ იქმნა საზოგადო წადილითა და მეორე კრებაზედ, რომელზედაც ჭაბუა და ქათალიკოზი ანტონი უწინდებური მჭევრ-მეტყველებით ამტკიცებდენ ერთობის დიდს სარგებლობასა ქვეყნისათვის, მოახსენა ერეკლეს შემდეგი გო-

ნიერი სიტყვები: «ხელმწიფეო ჩემო! შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთესი, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, როდესაც გასჭედა ორად სამეფო სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, ბრძანებს მაცხოვარი.»

დესპანნი იმერეთისანი ატყობდენ, რომ საქმე იცარებოდა უფრო დედოფლის უკეთმართობით და ამიტომ გამოსთხოვეს დარეჯანს ცალკე ნახვა, აუდიენცია. ეტყობა მათ კარგად იცოდენ, რომ დედა-კაცის დაუოლიება კეთილ-საქმეში საბუთების გაშლით უფრო ძნელია, ვიდრე კეთილშობილურის გრძნობის გაღვიძებით, და ამიტომ ერთობის სარგებლობის დამტკიცებას თავი ანებეს და შებრალება იხმარეს იარაღად. «ქუთათელი, გენათელი, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მიუთხრობდეს დედოფალსა იმერეთის მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოსდება ერთობა ქართველთა თანა.»

მაგრამ ყოველი ცდა ამაოდ დარჩა. ბრძნული წადილი მთელის ერისა, ქვეყნის ფეხზედ დამყენებელი და გამაბედნიერებელი ღონისძიება, სასიქადულოდ ერთ-ხმად მოთხოვნილი და კეთილშობილი გატაცებით აღვიარებული იმიერთა და ამიერთაგან, ჩაშლილ და განქარწყლებულ იქმნა სამეფო სახლის უკეთმართობის გამო. «დედოფალი იტყოდა უარსა და ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილისშვილისა ხელთაგან.» ამავე აზრზედ ჯიუტად დადგა მეფე ერეკლეც, რომელმაც ქვეყნის საუბედურად და თავის დიდების დასამცირებლად, უკანასკნელ წლებში თითქმის სრულიად დაჭ-

კრება უწინდელი წინ-დახედულობა, სამაგალითო ვაჟ-კაცობა, ნათელი გონება, შეუშოვარი მხნეობა, მიეცა თავის გვარის წვრილმან ინტერესების ძებნასა და უმეტესად იმაზედ ზრუნვა-და, რომ დაეკმაყოფილებინა ეგოისტური მოთხოვნილებანი თავისი ირეულ და განსუთქილებით სავსე სახლობისა, რომ-ლის დამღუშველი რაოდენობა წრეს იქით გადავიდა იმის გა-მო, რომ ერეკლემ და გიორგიმ მეორე-მესამე ტოლები შეირ-თეს წინააღმდეგ სახელმწიფო ინტერესების მოთხოვნილე-ბისა.

## IX

ქვის გული უნდა ჰქონდეს, საქართველოს შვილს, რომ ეს ისტორიული მოვლენა, სავსე მაღალი ტრაგიკული მნიშ-ვნელობითა, გაიცნოს ისე, რომ დარდით და სიღვლით არ აივსოს. ერთი მხრით სდგას ერი, მრავალ-ტანჯული სხვის შეცდომილებითა და პატიკის-ცემით მოახსენებს მეფესა: «შენ-მა წინაპრებმა ჩაიდინეს დიდი უსამართლობა და უწესლობა: ერ-თი სისხლი და ერთი სორცი დამანაწილეს რამდენსამე პატა-რა სამთავროდ და ამითი შეიქმნენ მიზეზი ჩემის და თავის-თავის დაუძლურებისა, დაუსრულებელ წვალებისა და გამოუ-თქმელის უბედურებისა. დრო, მოსპო ეს უსამართლობა, მიხსნა ამ სენისაგან, შემაერთო ერთ დიდ ერათ, მიიღო ერთ-მთავ-რობა, განძლიერდე ჩემით, განმაძლიერო შენით, შემოვიფან-ტოთ მტერნი და მტკიცედ დავადგეთ დამოუკიდებლობის, წარ-მატების და კეთილ-დღეობის გზასა. მეორე მხარეს დგანან ეფე-დედოფალნი, რომელნიც თავის მრავალ-წამებულს, მაგრამ

კიდევ ერთგულს ერს ეუბნებიან: «ორივე მსარე უწინდებულად დანაწილებულნი და უძლურნი უნდა დავრჩეთო.» ბევრს ხელმწიფეს უნატრია ამისთანა წადილი დანაწილებულის ერისა, რომელიც საქართველომ გამოუცხადა ერეკლესა, მაგრამ ნატვრა რომ არ ასრულებია—დიდის ხნის განმავლობაში ხელში ხმალი სჭერია, ულვრია თავისავე ხალხის სისხლის ნაკადულები ლ ძალადატანებით შეუერთებია იგი ერთის სკიპტრის ქვეშა. იტალიის შეერთებას მოუნდა არა ერთი შინაური ომი; გერმანიამ შეადგინა ერთი იმპერია მხოლოდ მასუკან, რაც ბისმარკმა კრუპის ზარბაზნებით და ბერდანის თოფებით დაუჭერა ნემეცების ერთობის საწინააღმდეგოდ. რუსეთის მოკრეფა ერთს მთავრობის ქვეშ იყო შედეგი ხან-გრძლივის შინაური ბრძოლისა. სათვრანგეთმა, ესპანიამ, ინგლისმა ამავე გზით, ასეთივე სისხლის ღვრით დაამყარეს თავისი ერთობა. თითქმის ყველგან დანაწილებული ხალხი ესარჩლებოდა ამ დანაწილებასა, იცავდა თავის დაყოფილებასა და მხოლოდ მაშინ ადგენდა ერთს ხალხმწიფოსა, როცა რომელიმე თავ-გამოდებული და შორს-გამჭვრეტი მთავარი ძალას დაატანდა მას ხმლით, იძულებულს შექმდა თოფით და ზარბაზნით. ჩვენში კი წაღმა მსვლელობა მიიღო საქმემ. თვითონ ხალხმა, თვითონ ერმა იგრძნო ერთობის საჭიროება და მეფისაგან მოითხოვა ერთ-მთავრობის დაფუძნება. მაგრამ მეფემ უარი თქვა იმაზედ, რასაც სხვა გვირგვინოსანნი მხოლოდ ხანგრძლივი სისხლის ღვრით მოეწყოდენ ხოლმე.

ასე უკეთესართად დატრიალება მაღალის მნიშვნელობით ყველა საქმისა, ასეთი დამღუპავი დაბოლოება მთელის ერის წადილისა ერთის კაცის თავის-ნებობით არა ერთს მამულისშვილს აშფოთებდა სულით და წარმოათქმევინებდა შემდეგ

მწარე სიტყვებს, რომელთაც ჩვენი პოეტი ბარათაშვილი ათქმევინებს სოლომონ მსაჯულს ამ გვარსავე შემთხვევაში:

«მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჭმევინებ ოოვლთა უფლებას,
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათ ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კაძათლებს!
მაგრამ შენ, მეფეო, ვინ მოგცა ნება —
სხვას განუბოძო შენთ უმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ოოვა-ცხოვრება,
და რად იკიწუებ, რომე მარადის
მეფის გულის-თქმა ერსა ეგუთვნის!...»

მაგრამ შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს რომ სამეფო სახლის უკულმართობით შეერიება საქართველოსი სამუდამოდ იყო ჩაფუშული, დაცარული. გულითადს წადილს ერისას თვით მძლავრი მთავრობაც ბევრს სანს ვერ ეწინააღმდეგება და იძულებული შეიქმნება უთუოდ დაუკმაყოფილოს იგი. შეერთება საქართველოსი მხოლოდ გადადებული იყო სხვა დროსათვის. ეს დრო დიდის ხნის ლოდინს არ მოითხოვდა. ქართულ-კახეთი მჭიდროდ იყო შეერთებული და ერთობის საინტერესოს გზას და საბაძავ მაგალითს აჩვენებდა. ჭაბუა ორბელიანები, სოლომონ ლეონიძეები და ქაიხოსრო წერეთლები

დღითი-დღე მრავლდებოდენ, განაიღების სხვიები წინანდელ-ზედ უფრო ხშირად ეფინებოდა საქართველოს, მეთვრამეტე საუკუნის ქარიშხალი ნიავის ძალით მაინც აწევდა ჩვენამდის და ჩვენი ქვეყანა მოძრაობაში მოჰყავდა, აფსიზღებდა. გარეშე მტრებიც გვისუსტდებოდენ: ოსმალეთი მიბეგვილი და მიდეწილი იყო რუსის ძლევა-მოსილის ჯარით და სპარსეთი სწრაფად მიდიოდა უკან *). დაღესტანს, თუ იგი არ დაწყნარდებოდა, საქართველო ადვილად შეუკრავდა კრიჭას და დამართავდა იმავე ბედს, რაც მისგან მოუვიდა თვადონების სამეფლობელოს მეთერთმეტე საუკუნეში. დღეს, თუ ხვალ, საქართველოს ერი ერთობას ლიტონი მეზეურ-მეტუველებით კი აღარ ითხოვდა, იგი მოითხოვდა მუქარით, ძალის მოხმარებით და შემუსრავდა ყოველს-გვარს უკულმართობას, რომელიც კი მის წადილის წინააღმდეგობას გაბედავდა. მაშინ იგი, ერთობით წელში გამართული და გაძლიერებული ადვილად შემოიფენტავდა მტრებსა, ზურგს თამამად შეაქცევდა მაჭმადიანურ აზიასა, რომელთანაც მოკლებულ იყო ყოველ-გვარ სასულიერო კავშირსა, მტკიცედ იქმოდა ბირს განათლებულის ევროპისაკენ, რომლის ჩალსთა დასს ის ეკუთვნოდა თავის სარწმუნოებით და გვარ-ტომობით, და შავ-ზღვის შუამავლობით დაეწყებოდა მის გამცნობელებელ კულტურას და მეცნიერებას.

---

*) თვით აღა-მაჰმად-ხანი ვერ გადარჩებოდა დამარცხებასა ქართველებისაგან და იქნება ცოცხალიც ველარ გასულიყო ჩვენის ქვეყნიდგან, თუ ერეკლე ხელზედ არ დაეხვია გუდოვიჩის მოშველების იმედს, არ ეღალატნათ მისთვის საკუთარს შვილებს, რომელთაც ჯარების მოშველება სამეფოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან არ მოინდომეს და ხოჯას ააოხრებინეს თბილისი, მშვენივრად გამაგრებული და ოც-და-ათის ზარბაზნით დაცული.

რა ძალით სწყურდა ჩვენს ერს ევროპის ნათელი და რა გვარი გაუმაძღრობით მოსდებოდა მისი დაწყურება დასავლეთის განათლებაზედ და მეცნიერებაზედ, ცხადად გვიჩვენებს ის ყველა მეისტორიეთათვის გასაცვიფრებელი ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც დაიბადა საქართველოში გახტანგ მეექვსის დროსა, რომ წამს ცოტაოდენის ჯუჯუტანიდგან ჩვენში შემოაშუქა ევროპის ნათელმა, გამოიყვანა ლიტერატურულ ასპარეზზედ იმ გვარნი მაღალ-ნიჭიერნი მწერალნი, როგორც გახუშტი და სულხან ორბელიანი და მოკლე სნის განმავლობაში გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა ორა ერთი ძალად-მნიშვნელობიანი და უგვდაგი ქმნილებითა.

საქართველოს მოსასსლე მტერიც ვერ გაბედავს სთქვას, რომ ჩვენი ერი არ იყო ღირსი ამ გვარის მომავლისა. რაც მან დედა-მიწის ზურგზედ თავი შეისწავლა, მის დეკიზად თავის დღეში არ ყოფილა ქელვა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონავება, მიწასთან გასწორება რომელისამე ერისა. ჩვენის ერის სმალი მდელვარებდა მსოლოდ თავის თავისუფლების დაცვისათვის და დამოუკიდებლობის მოუსპობლობისათვის. თუ ოდესმე დროთა-ვითარება იძულებულს სდიდა შემოეერთებინა თავისთან რომელიმე უცხო ქვეყანა, ჩვენი ერი ანიჭებდა მას სრულს თვითმმართველობას და სელ-უხლებლად იცავდა ყოველს მის უფლებასა. თვით საქართველოშიაც სხვა სარწმუნოების მიმდევნი სარგებლობდენ სრულის თავისუფლებით და თანასწორობით ქართველებთან. როდესაც განათლებულს სიფრანგეთში ჭუკენოტებს ართმევდენ კაცის ყოველს უფლებასა და ბარბაროსულად ჟლეტდენ მათ კათოლიკები, როდესაც სასელოვანს ინგლისში კათოლიკები იდევნებოდენ უწყალოდ და ულმობელად, იმ დროს საქართველოში შემოსიზნული სომხები იყვნენ ყველას-

ფერში გათანასწორებულნი ქართველებთან; ჭქონდათ მინიჭებული უოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მემკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები ჩვენს სამეფოში.

მაგრამ ბედმა ჩვენს მრავალ-ტანჯულს ქვეყანას აღარ აცალა და არსებობის ჩარხი სხვა ნაირად დაუტრიალდა. მოხუცებულმა ერეკლემ, „დაუძლურებულმა გიორგიმ, უსასიათო და ხელზედ დასვეულმა დავით მემკვიდრემ დასუსტებულის მარჯვენიდგან სრულიად“ გაგდეს სკიპტრა საქართველოსი და რუსეთმა შეაერთა საქართველოს ნაწილები ერთის ვალდებულობის ქვეშ, დაამყარა მის შორის სრული სიჩუმე, მუდრობა და მტკიცე კავშირით შეაერთა საქართველოს ბედი და უბედობა თავისთან.

## X

ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირ-ფასი საუნჯე, მაგრამ კეთილად მოვისმარეთ ეს საუნჯე?... კარგად გამოვიყენეთ ეს მშვიდობიანობა, რომელიც ძლევა-მოსილმა რუსეთმა დაამყარა საქართველოში?... გამოვიჩინეთ ისეთივე შეუპოვარი მსნეობა საარსო ბრძოლაში, როგორსაც იჩენდენ ჩვენნი წინაპარნი დამოუკიდებლობისათვის, თუ დავსტოვეთ თვით-მოქმედება, მივეჩვიეთ სხვის იმედსა და მივეცენით თვლემასა და ძილსა?... განვძლიერდით, ავუვავდით და შეგიმოსეთ ახალის მაღალ-თვისებებითა, თუ დავუძლურდით, მიგსუსტდით და უწინდელი გაუ-კაცური თვისებანიც თითქოს დაგვიჭკნა და მათ

მაგიერ ჩვენში ჭაობის ბალახივით ამოხეთქეს დაბალთა, წვრილმანთა თვისებათა და დაამტვრეს ჩვენი არსებობა?... ავიგსენით სიმდიდრით, დოვლათით და მოვიპოვეთ კეთილ-დღეობა, თუ დავღარიბდით, ვალში ჩავცვივდით, დავკარგეთ დიდძალი მამულ-დედული?..... ავავსეთ ჩვენივე თუნლებით დაარსებულნი და გამშვენიერებულნი სასწავლებელნი და ავმაღლდით განათლებითა, თუ ისე ჩამოვრჩით სწავლას უკან, რომ ეს კურს შესრულებულს მოწაფეში ჩვენგანი მარტო ერთი-ორი ურევია და ჩვენი სასწავლებლებით სხვანი ნათლდებიან და მაღლდებიან?... ბრწყინავს ჩვენი ეკლესია თვით-მდგომარეობითა, მადლიანის მწყემსებითა, სასულოვან მქადაგებლებითა, შესანიშნავ მსწავლულებითა, თუ, მოკლებულნი ამ მხრივაც თვითმმართებლობას, სასწავლებლებს, დავრჩით ურთიერთ უბედურ რუსულ-ბერძნულ-ლათინურ სემინარიის ამარა, სადაც ქართულს ენას და ქართველობას ჩამორთმეული აქვს უველაფერი; ჩვენის ერის მწყემსებათ და მოადგილეთ ანტონისა, დოსითეოსისა, გაიოზისა, ვარლაამისა, ვსედავთ პირთა, რომელთაც დაიმსახურეს იმ გვარი სიძულილი საღვთისა, რომ ყასბურ ტაქტიის გამწესებამდის მიაღწია საქმემ; რომელნიც მოკლებულნი არიან გონებითს სიტაცსლეს, რომელთა შორის სწავლა დამშრალია, რომელთაც თითქმის სრულიად შესწყვიტეს სასარების მაღალ სწავლის ქადაგება საღსში, რომელთათვისაც სასულიერო ლიტერატურა სრულიად არ არსებობს, რომელთა ბედზედ ერთი ყურნალი არ მოიპოვება, რომელთაც ერთი სასალსო სკოლა არა აქვთ გასსნილი თავის მოღვაწეობით,—მაშინ რადესაც, სომესთ სამღვდელობა, აღზრდილი ნაციონალურ სემინარიაში და ნაციონალურს აკადემიაში, წაქეზებული და გამხნეგებული ნაციონალურივე მთავრობით—პატრიარქ-ქათალიკო-

ზით—ირენს დიდს სიცოცხლეს გონებისას, ბეჭდავს ყოველ წლივ ათობით და ოცობით სასულიერო და საერო თხზულებებს, რავდენსამე სასულიერო ჟურნალსა და აქვს გამართული ოთხი ათასი სახალხო ნაციონალური სკოლა? . . . . . .

ავაუვავეთ ჩვენი ლიტერატურა და გავამდიდრეთ ყოველ-გვარი მეცნიერულ თხზულებებით, თუ, ჩვენმა ცხოვრებამ, სრულიად მოკლებულმა ნაციონალურ ნიადაგსა, იგი ჩაგდო იმ გვარ მდგომარეობაში, რომ წარმოადგენს სწორედ სიზიფის ქვასა, რომელსაც რავდენიმე თავ-გამოდებული უმაწვილიკაცი ეწევა მაღლა, მაგრამ ვერას გზით ვერ აუცილებია ერთს დაბალს წერტილს ზეგით?... მტკიცედ დავიცავით ჩვენის ღვაწლიანის ენის უფლებანი და მიგვეცით მას ჯეროვანი ადგილი ყოველ სფერაში, თუ ბრიყულად ზურგი შევაქციეთ მას, უგუნურად ავიძულეთ, ცალიერზედ დავსვით ყველა უფლებათაგან, გამოვდევნეთ ყველა ადგილებიდამ და მაღალი პატივი ამ ძვირფასს საუნჯის დაცვისა დავუტოვეთ მხოლოდ გლეხის ქოხსა? ავაღორძინეთ ჩვენი ეროვნული ლონენი და საუნჯენი, თუ ვეულალტეთ მათ და დავადექით გადაბირების და გაფუქსავატების გზასა? ჩვენის ქვეყნის მართვაში ვეიწირავს ღირსეული ადგილი, ვუწევთ მას მოსიყვარულე დედის სამსახურს, და ვართ ერთგულნი მცველნი მისის კეთილ-დღეობისა, თუ პირველი ადგილიდგან მესამე ადგილზედ ჩამოვსტით, სამხედრო სამსახურშიაც კი თავს წამოვისვით ბუშინდელი ჩვენი უმცროსი ძმები, ზრუნვა ჩვენს ქვეყანაზედ სხვის სელში ჩავაგდეთ? გაძლიერდა, დამტკიცდა კავშირი და ურთი-ერთი ზედ – გავლენა განათლებულის წოდებისა და ხალხისა, თუ უცხო ენაზედ სწავლა-განათლებამ, უცხო ენის ფართაშობამ ყოველ სფერაში, ამართა გაუალი კედელი ხალხისა და ინტელიგენციის შორის,

მოსპო მათ შუა ორივე მხრისათვის გამაცხოველებელი ზედ-
გავლენა და დაუკარგა ხალხი გავლენებისა და ინტელიგენცია
გაქუფსავატების გზაზედ? გავისადეთ წინამძღოლად ის ცხა-
დი ჯეშმარიტება მეცნიერებისა, რომ ყოველს ერს, მეტადრე
ისტორიულს, რომელმაც თავისი ენა ლიტერატურულ სიმაღ-
ლეზედ დაუყენა, გადაბირება, უცხო ტომის გზაზედ დაღ-
ვომა არამც თუ გადაასხვაფერებს, არამედ შინაარსს და-
უჭიანებს, ორ-წყალ შუა გააჩერებს, თავისას ყველაფერს
ბოიკლებს, სხვისას ხეირიანად ვერასფერს ვერ შეათვისე-
ბინებს, გონებით დაამდაბლებს, ზნეობით დასცემს, ენას
გაუღატაკებს, ლიტერატურას გაუფუჭებს, დოვლათს და
დედულ-მამულს დააკარგვინებს, ბოგანოდ გადააქცევს და
ბოლოს სრულიად აღგვის მას დედა-მიწის ზურგიდგან?
შეუპოვრად, გულადად, ვაჟ-კაცურად ვებრძვით ჩვენს ბედსა და
გულში გვიდვივის იმედი ბრწყინვალე მომავალისა, თუ წარ-
მოვადგენთ დაჩაგრულთ, თავ-მოსრილთ ერსებათა გროვას,
რომელიც თითქმის სრულიად მოკლებულია მომავალის გამაც-
ხოველებელ იმედსა? დიდებით ისმის ესლა ჩვენი სახელი ევ-
როპაში, თუ სახსენებელი ჩვენი თითქმის სრულიად განქრა, და
თუ იშვათად ისსენიება, ისიც მხოლოდ მტვრიან კაბინეთში
რომელიმე ჭირვეულის ფილოლოგისა?... ვისი აზრი გამარ-
თლდა: კურთხეულის ალექსანდრე პირველისა, რომელიც საქარ-
თველოს ბედნიერებისათვის ფინლიანდიის თვით-მმართველ-
ობას რაცხდა საჭიროდ თუ კნორინგისა, ციციანოვისა და
სხვა სამხედრო გენერლებისა, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ
ყველას ის სჯობს საქართველო უბრალო გუბერნიად გადავაქ-
ციოთო? ჩვენის ოპტიმისტების მოლოდინი ასრულდა, თუ
გამართლდა მამულის-შვილების პატრიოტული შიში, რომე-

ლიტ ისე მშვენიერად გამოხატა ბარათაშვილმა თავის უკვდავს პოემაში სოლომონ მსაჯულის და მის სოფიოს პირითა? ერთის სიტყვით, მოკლე მოგზრით:

რანი ვართ დღესა?

იაკობ სვიმონიძე.

---

# რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა

## სტატია მეორე *).

### გლეხობა და სახელმწიფო ხარჯი. — ერობის (земство) მნიშვნელობა.

პირველ სტატიაში გაკვრით დავხატეთ სურათი ეხლანდელ რუსეთისა. ჩვენ ამ სურათში ვცდილობდით გვეჩვენებინა უმთავრესი ხასიათი ამ ქვეყნისა, იმისი სული, იმისი მაჯის ცემა. დანარჩენ სტატიებში შევუდგებით უველა იმ ფაქტების მოკრეფას, რომელნიც უფრო გამოაშკარავებენ ჩვენს ნახატს. ეხლა ჩვენ გავსინჯავთ იმ წვრილ რეფორმებს, რომელნიც მოსდევდენ გლეხთა განთავისუფლებას; აქ ვუჩვენებთ მკითხველს, რა აზრი ჰქონდათ ამ რეფორმებს, რას მოელოდა იმათგან საზოგადოება და მწერლობა და რა ნაყოფი შერჩა რუსეთს.

მით უფრო დიდის სალისით ვლაპარაკობთ ამ საგნებზე, რომ ქართულ მწერლობაში რუსეთის ახალ საზოგადო და პოლიტიკურ წყობილობაზე ძლიერ ცოტა რამ თქმულა და ისიც უსაზღვრო ქებით. ქართველმა მკითხველმა იცნება გამბეტტას და ულ-ფავრის საიდუმლოები უფრო კარგად იცოდეს, ვიდრე ერობის ან ახალ სამართალის მნიშვნელობა. რასაკვირველია,

---

*) პირველი სტატია დაბეჭდილია «ივერიის» აპრილის წიგნში.

სამზღვარ-გარეთელი ცხოვრება უფრო ცხოველია და უფრო საინტერესო უნდა იყოს ყოველ ცოცხალ ადამიანისათვის, მაგრამ უფრო საჭიროა და ძლიერ საჭიროა ვიცოდეთ ის, რაც თვალ-წინ ხდება ახლო მეზობლებში, რაც შეიძლება ჩვენც გვეწვიოს დღეს ან ხვალ, და ამიტომაც დროა, ცოტათი მაინც დავაცქერდეთ ახალ რუსეთის ცხოვრებას და ცოტათი მაინც გავიცნოთ იგი.

---

ყველამ იცის, რომ გლეხთა განთავისუფლების სიგელთ იმაში უნდა გამოჩენილიყო სხვათა შორის, რომ გლეხი უნდა ცოტად არის მაინც გამდიდრებულიყო, გლეხს თავისუფლება იმისთვის უნდოდა, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო.

როგორც წარსულ სტატიაში ვნახეთ, გლეხს განთავისუფლების შემდეგ სიღარიბე არ დაჭკლებია. ეს გვითხრა კავკელინმა, იმ კაცმა, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში და ამ საქმისაგან ბევრს მოელოდა.

ადრე, როცა ბატონ-ყმობა არსებობდა, მთელ სახელმწიფოს ამ ჯირის ბეჭედი ზედ ესვა. ყოველ-გვარი ჩახელმწიფო განწყობილობა: სამართალი, სალხის განათლება, სახელმწიფო ხარჯის მოგროვა და სხვ. შეეთვისებოდა ბატონ-ყმობის ხასიათს. ხარჯს ისდიდა მხოლოდ გლეხობა. სალდათად მიდიოდა მხოლოდ გლეხობა, სწავლობდა და ქეიფობდა მხოლოდ თავად-აზნაურობა. რაკი ბატონ-ყმობა გადავარდა, უნდა გამოცვლილიყო მთელი სახელმწიფო წყობილობაც. მართლადაც ამ პირველ რეფორმას მოჰყვა სხვა რეფორმები: სახელმწიფო ხარჯის თაობაზე დანიშნეს ცალკე კომისიები, შემოიღეს ერობა, ახალი სამართალი, ქალაქებს მისცეს თვით-მმართველობა და სხვ.

ესლა გავსინჯოთ ეს რეფორმები და ვნახოთ, ჩამოაცალეს ამათ ბატონ-ყმობის ბეჭედი რუსეთს თუ არა.

ვიფიქოთ, მაგალითად, სხვა-და-სხვა სარჯის დასადგენ კომისიის შრომა. როგორც ზემოდა ვთქვით, ადრე საზელმწიფო სტუროვრობდა მხოლოდ ყმების სარჯით. სარჯს ამლევდენ მართებლობას ყმები და არა თავადაზნაურები და სხვა წოდებანი. საჭირო იყო ამ წესის შეცვლა, საჭირო იყო, დაედგინათ რუსეთში ისეთივე წესი, როგორიც არსებობს სხვა თავისუფალ ევროპიულ საზელმწიფოებში, სარჯი უნდა დასდებოდა ქონებას, უმრავ მამულს და დიდ-ფულს და არა შრომას და უსაჭიროეს საგნებს. მაგალითად მარილზე ბაჟის დადება და საზელმწიფო სარჯის ადება ღარიბ მუშა-ხალხისაგან, როგორც მეცნიერებაში, ისე უკეთეს ევროპიულ საზელმწიფოებში ითვლება დიდ უსამართლოებად.

კომისიამ ერთს თავის შრომაში ნამდვილადაც მიიღო ეს მსჯველობაში და როცა სწერდა ქალაქებისათვის ახალ წესდებას, დაადო სარჯი ყოველ-გვარ უმრავ ქონებას და ღარიბი ხალხი, რომელსაც მხოლოდ უბრალო ქოხები ჰქონდა თავის შესაფარად, სრულიად განთავისუფლა სარჯისაგან. მაგრამ მეორე წესდებას კომისიისას ასეთი მნიშვნელობა სრულებით არა ჰქონია; იმან სოფლის ხალხს სრულებითაც არ შეუმსუბუქა შავ-ბედი. ადრე ყოველ მუშა-გლეხს სდებოდა სარჯი და თუმცა საჭირო იყო ამ წესის ძირეულად შეცვლა, სარჯის განაწილება ვაჭრებისა, მექარხნეებისა და მამულის მეპატრონეებს შორის, მაგრამ კომისიამ კი ადრინდელ უსამართლო სარჯს შეუცვალა მხოლოდ ფორმა. ადრე გლეხს ედო სარჯი,—კომისიამ კი ეს სარჯი დაადო ყოველ სოფლის სახლს გლეხისას და სოფელში მცხოვრებ მოქალაქისას. სარჯი კისერზე

დაკარგა ისევ გლეხს და თავად-აზნაურობამ კიდევ თავი დაიხსნა ამ საქმიდამ: თავად-აზნაურობას მხოლოდ მაშინ ერთმევა ხარჯი, როცა გლეხებისაგან მოგროვილი ფული ნაკლებად აღმოჩნდება. ამ გვარად ესლაც სახელმწიფო შემოსავალში მხოლოდ მერვედს ანუ მეცხრედს ნაწილს შეძლებულები ხდიდნენ და დანარჩენი შვიდი თუ რვა ნაწილი შემოაქვს გლეხობას. რუსეთის მეცნიერ ფინანსისტის ა. გოლოვაჩოვის გამორიცხვით, თითო მუშა-გლეხს, გარდა სანადელო და საერო ფულისა, ხდება სახელმწიფოს სასარგებლოდ წელიწადში 33 მან. ე. ი. ორი მესამედი წლიურ მონაგებისა. მეორე რუსის ეკონომისტი თავ. ა. ვასილჩიკოვი ამბობს: ზოგიერთ გუბერნიებში გლეხს კისერზე უფრო მეტი გადასახადი აწევს, ვიდრე შემოსავალი აქვსო.

ხშირად გამოუცხადებიათ ცალკე ბირებს და ერობას ამ წესის გამოცვლის სურვილი, მაგრამ ამ საქმეს არას დროს კეთილი ბოლო არა ჰქონია. მაგალითად ამ თხუთმეტიოდ წლის წინად ბევრმა საერო კრებამ მოინდომა საერო გადასახადის განაწილება არა მარტო გლეხებში და სხვა მემამულეებში, არამედ კაპიტალისტებშიაც (ფულის მქონე კაცებში), რომელთაც აქვთ ქარხნები, დუქნები, ან სხვა რიგად ამუშავებენ თავიანთ ფულს. აშკარაა, ეს რომ ასრულებულიყო, გლეხებს შეუმსუბუქდებოდათ ხარჯის გადახდა; მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროინდელ შინაგან საქმეთა მინისტრმა სხვაფერივ შეხედა ამ საგანს და ერობას აღუკრძალა ამ გვარ განკარგულების მოხდენა. მართებლობის გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ქარხნებზე ხარჯის დადება შეიძლება მხოლოდ შენობის კვალობაზედ და საკაჭრო მოწმობას საერო ხარჯი სახელმწიფო ხარჯის მესამედზედ მეტი არ დაედებაო.

ამ მმართველობის განკარგულებამ ფრთები შეუკვეცა ერობის მოთავეებს; ესენი დარწმუნდენ, რომ ძველის წრიდამ გამოსვლა შეუძლებელია, და ასალ რეფორმებს არ შეუძლიანთ ისეთი დიდი ცვლილება მოახდინონ ხალხის ცხოვრებაში, როგორც ადრე ეგონათ.

ვისაც კი უდევნებია თვალი რუსეთის სახელმწიფო ანგარიშისათვის ამ უკანასკნელ ოცს წელიწადს, ყველამ იცის, რომ სახელმწიფო ხარჯი თითქმის ყოველ წლივ უფრო და უფრო მატულობს. ესეც აშკარაა, რომ ამ ხარჯის მომატებასთან ის ღარიბი გლეხობა, რომელიც ხარჯს ხდიდა, თან-და-თან უარესად ღარიბდება, გადასახადი დროზე ვერ შეაქვს, აუკრეფავი ხარჯი მრავლდება უთვალავად და მართველობის შემოსავალი მომატების მაგიერ, ხშირად კლებულობს.

უკანასკნელ ათის წლის გაზეთებში სასამართლოს ქრონიკაში დიდი ადგილი უჭირავთ ერთ-გვარ საქმეებს: ხშირად ირჩევა სასამართლოში აკანუებულ გლეხების საქმე; მაგრამ, სწორე რომ ვთქვათ, ეს აკანუება კი არ არის, ეს არის სიღარიბის ნაყოფი. ბევრი გლეხი სიღარიბის გამო ვერ აძლევს პოლიციას იმ ფულს, რომელიც უნდა სახელმწიფოს სასარგებლოდ აძლიოს. პოლიციაც არ კითხულობს, ეს რისგან წარმოსდგება, რადგან ჯანრთი არ სინჯავს ამ შეუძლებლობის მიზეზს. პოლიციას მოწერილობა აქვს—გლეხს აერთვას ამდენი და ამდენი ფული და ვინც ამას ასრულებს, ის დაჯილდოებული იქნება. პოლიციელებიც ხშირად წინ-დაუხედავად გლეხს უყიდიან უკანასკნელ საქონელს და გუთანსაც კი, რომ დროზე შეიტანონ მართველობისაგან მოთხოვნილი ფული და ელირსონ რომელსამე ჯილდოსა. ხშირად გლეხი არ ანებებს ამათ თავის უკანასკნელს ქონებას; მოხდება ხოლმე შეტაკება და ამ-

გვარად იბადება საქმე «გლეხების აჯანყებაზე.» ამ გვარ საქმეებით, ვიმეორებთ, რუსის სასამართლოები საგსავ. სასამართლოში უმეტეს ნაწილად მართალი გამოდის პოლიცია და მტუანი «აჯანყებული» გლეხი, მაგრამ უმაღლესმა მთავრობამ ამ უკანასკნელ დროს სხვა თვალით შეხედა ასეთ მოვლენას.

მართლადაც, მთავრობისთვისაც არ უხდა იყოს სასურველი, რომ გლეხს უკანასკნელი ქონება გაეყიდოს. რა კი გლეხი მთლად გაღატაკდება, ველარაფერს მისცემს სახელმწიფოს და სახელმწიფოც, რომელიც იმის თვალით სულდგმულობს, უეჭველია დაეცემა ეკონომიურად. ეს მთავრობამაც გაიგო და ამ უკანასკნელ დროს ცდილობს მიიღოს რამე ზომა თავის სარჯის შესამოკლებლად.

ჯერ კიდევ განსვენებულმა სელმწიფემ, ალექსანდრე II, მარშან, 19 თებერვალს, თავის მეფობის ოც-და-მეხუთე წლის შესრულების დღეს, ხალხს აპატია აუკრეფავი სარჯი. ამ ერთის წლის წინად შედგენილი იყო აგრეთვე ცალკე კომისია სახელმწიფო სარჯის შესამცირებლად. ოფიციალ-მსრივ ისმის, რომ ამ კომისიას მხედველობაში აქვს ჩინოვნიკების რიცხვის შემცირება და ამ დღეებშიაც მივიღეთ ტელეგრამმა—სასახლის სამინისტრო მოისპობაო. ამას გარდა ახალმა სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა სურვილი თავის სამინისტროში სარჯის შემცირებისა. ამ განზრახვას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგან თითქმის მესამედი სახელმწიფო შემოსავალისა იხარჯება სამხედრო საგნებზე. რუსული გაზეთები იმედეულობენ, რომ ამ გვარ შემოკლებით შემოსავალ-გასავალი მერმის ერთ მეხუთედით დაიკლებს. მაგრამ იგივე გაზეთები ამბობენ, რომ ეს არ დააკმაყოფილებს არც მთავ-

რობას და არც საზოგადოებას, რადგან ბევრს ვერს უშველის მშიერ გლეხობას, თუ სასულმწიფო სარჯი სხვა წოდებათა შორისაც არ განაწილდაო.

---

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, რეფორმებში, საზოგადოებაც და მწერლობაც უველაზე მეტს მნიშვნელობას აძლევდა ერობის შემოღებას. ერობას, იმათის აზრით, უველაზე მეტად უნდა აესსნა რუსეთისაგან ძველებური ბატონ-ყმობის ბეჭედი.

მართლადაც, ერობის აზრი ძლიერ ძვირფასი აზრია ყოველ კეთილ-განწყობილ სახელმწიფოში. ერობის შემოღებით ადგილობრივ საქმეებს განაგებენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ამორჩეული პირები. უმაღლეს მთავრობას ზოგჯერ ღონისძიება არა აქვს თვალ-ყური ადევნოს თავისთან ახლო მყოფ ჩინოვნიკებს. პეტერბურღში, მაგალითად, ხშირად მინისტრებმა სრულებითაც არ იციან, რა უკანონო საქმეები ხდება იმათ დეპარტამენტებში და კანცელიარიებში, და გასაკვირველიც არ არის ეს, რადგან ყოველ მინისტრს აბარია მრავალზედ მრავალი საქმე, მრავალზედ მრავალი კანცელიარია და დეპარტამენტი. მით უფრო ძნელია უმაღლეს მთავრობისათვის შეტყობა იმისი, თუ რა ხდება ათას და ორი ათას ვერსის იქით, გადაკარგულ სოფელში. მაშასადამე საჭიროა, ადგილობრივ საზოგადოებას ეჭიროს თვალ-ყური თავის საქმეებზედ, თითოსნვე ამოირჩიოს თავისი კეთილ-სინიდისიანი კაცები და იმათ ჩააბარონ საქმეების მართვა. ან სხვას ვის ეცოდინება ისე კარგად საქმეები, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს? თუ რუსებს არა, ჩვენ ხომ კარგად უნდა გვესმოდეს, რა ბოროტებაა, როცა რომელიმე მხრის

პატრონად ნიშნავენ უცხო ადგილის კაცს: ამ შემთხვევაში მმართველს არავერი ესმის ხალხისა, და ხალხს მმართველისა.

რუსულის ერობის წესდება 1864 წ. ანიჭებს საზოგადოებას პირველ შესედვით დიდ უფლებებს. აქ მოგვყავს ის საგნები, რომელზედაც ზრუნვას ანდობს კანონი ერობას: *)

1) ერობის ქონების, კაპიტალის და შეკრებილის თულის უფრის-გდება;

2) აშენება და შენახვა შენობებისა, რომელნიც ერობას ეკუთვნიან და იმ გზებისა, რომელნიც მის ხარჯით უნდა ინასებოდენ;

3) ზრუნვა ხალხის შიმშილისაგან დახსნაზე;

4) მართვა ერობის ქველ-მოქმედ გაწეობილებისა (საა-

---

*) ხელში რადგან თვით წესდება არა გვაქვს, ეს ალაგი ამოვწერეთ ერთ ქართულ სტატიიდამ: «ერობა» (იხ. «კრებული» 1871 წ. № 5.) ამ სტატიის ავტორს, ბ. სკანდელს განზრახვა ჰქონდა ქართველი მკითხველისათვის აეხსნა ერობის მნიშვნელობა. იმას მოჰყავს ერობის წესდების შინაარსი და ორიოდ სიტყვით გვიამბობს, რა დიდი სარგებლობა მოუტანა ამ საქმემ რუსეთს. ჩვენის აზრით, ამ სტატიაში ბევრად გადაჭარბებული ქებაა. ბ. სკანდელს, რომ წაეკითხნა მაგ. გოლოვაჩოვის წიგნი «Десять лѣтъ реформъ», ან ვასილჩიკოვის თხზულება «О самоуправленіи», ან ესეც რომ არ იყოს, ორიოდ-ჯერ ჩაეხედა მაშინდელ გაზეთებში, ის დარწმუნდებოდა ბევრის და ბევრის საბუთით, რომ ერობას რუსეთში სრულებითაც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია. ამას ჩვენც დავამტკიცებთ შემდეგ, ამ სტატიაშივე.

ვად-მოთეო, სალარიბო, მოსუცებულების თავ-შესაფარი სახლები და სხვ.), ღონისძიების მოპოვება მათსოფრობის მოსასპობლად, ზრუნვა ეკლესიების გაშენებაზე;

5) მართვა იმ საქმეებისა, რომელნიც შეეხებიან ერთიერთის საშუალებით ტეტხლის ზიანის მოსპობას;

6) ზრუნვა სდგილობრივის ვაჭრობის და წარმოების გავრცელებაზე;

7) წილის მიღება (გასასეუთრებით შემოსავალ-გასავალში და კანონით დაწესებულ სამზღვრებში) ზრუნვაში სახალხო განათლებაზე, სალხის ჯან-მრთელობაზე და საჭირობილებებზე;

8) დახმარება ბირუტუეის ჭირის დროს და ბურის, ან სხვა მტესარეების დაცვაში სხვა-და-სხვა საგნებელ ფრინველებისა და ბირუტუეებისგან;

9) აღსრულება სამოქალაქო და სამხედრო მთავრობის იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც კანონით ერობამ უნდა შასრულოს და მონაწილობა ფოსტის გარდასახადში;

10) განაწილება გუბერნიებსა ს მაზრებს შორის იმ სახელმწიფო გარდასახადისა, რომელიც ერობასა აქვს მინდობილი, თანხმად ამ საგანზე გამოცემული კანონებისა, ან ცალკე განკარგულებისა დამტკიცებულის სელმწიფე იმპერატორისაგან;

11) დანიშვნა, განაწილება, მოგრეფა და დასარეკვა საერო გარდასახადისა, წესების თანხმად, საერო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

12) წარდგენა უმაღლეს მთავრობასთან, გუბერნიის მთავრობის საშუალებით, ცნობების და აზრისა იმ საგნებზე, რომელნიც შეეხებიან გუბერნიის ანუ მაზრის სდგილობრივ სარგებლობას და საჭიროებას და თხოვნა ამ საგნებზე. აგრეთვე გუბერნიის მთავრობის საშუალებით წარდგენა უმაღლესის

მთავრობის ან გუბერნიის მმართველის თხოვნისაებრ. იმ ცნობებისა, რომელნიც შეეხებიან საერო ბატრონობას;

13) კენჭის-ყრა სხვა-და-სხვა პირების ამოსარჩევად საერო სამმართველოებში და დანიშვნა სარჯისა ამ სამმართველოებისათვის;

და 14) ის საქმეები, რომელნიც მიენდვიან ერობას, თანხმად ცალკე კანონების, წესდების და განკარგულებისა.

რა გინდა სულო და გულო, რომ არ არის ამ პროგრამაში! მაგრამ ამ საქმეს, როგორც გლესთა განთავისუფლების რეფორმას, ხელ-ფეხი შეუკრა კიდევ და კიდევ უფულობამ.

მმართებლობამ ბევრი საგანი გადასცა ერობას საზრუნველად, მაგრამ ყველა ამისათვის ერობას უნდა ახალი გარდასახადი დაენიშნა ხალხისათვის, რადგან ამ საგნებისათვის ადრე მმართებლობა ცოტა ფულს აგროვებდა და შემდეგაც იმათ გამო როდი შეამცირა თავის სასულმწიფო სარჯი.

ახალის გარდასახადის დანიშვნა ხალხისათვის შეუძლებელი იყო, რადგან სასულმწიფო სარჯმა არამც თუ არ იკლო, უფრო მატულობდა; გლესობისაგან ასადები ადარასფერი იყო და სხვა წოდებისაგან კი, როგორც ზემოდ ვთქვით, ერობას არ შეეძლო ბევრი რამ აღო, მართებლობის ერთ განკარგულების გამო.

ერობა ცდილობდა სხვათერივ გაესწორებინა ეს ძნელი მდგომარეობა. ის იმცირებდა თავის სარჯს იმ საქმეებში, რომელზედაც ადრე სხვა - და - სხვა ჩინოვნიკები უსამართლოდ ბევრსა სარჯავდენ. მაგალითად, ნოვგოროდის ერობამ თავის მოვალეობა შესასრულებ ფოსტისა 42 ათას მანეთით უფრო იაფად ასრულა, ვიდრე ფოსტის ჩინოვნიკებმა; სარატო-

ვის ერობამ იმავ საგანზე მოიხმარა 93 ათას მან. მაგიერ, მხოლოდ 65 ათასი; ბალაშოვის ერობა შეშას შოულობდა ორჯერ უფრო იაფად, ვიდრე ჩინოვნიკები, და ბევრი სხვა ამ გვარი, მაგრამ ამ ყაირათიანობამაც ვერ უშველა ერობას, რადგან იმისათვის საჭირო იყო დიდი ფული: სასოფლო ბანკების, სასოფლო სკოლების, ბურის მაღაზიების, სასოფლო ექიმობისა და სხვა სასალო წესდებულებისათვის საჭირო იყო ათასი და ათი ათასი მანეთი კი არა, საჭირო იყო ასი ათასები და მილიონები.

მეტი ღონე არ იყო, ხალხს გადასასადი მოუმატეს. მაგრამ გაუუმჯობესეს ბედი თუ არა? ამ საგანზე სხვა-და-სხვა ბასუხს იძლევიან.

ზოგი ამბობს, რომ ერობამ სასალხო სკოლები დააარსა, ბევრგან გამართა ურთი-ერთ დაამსმარებელი საზოგადოებანი, სასოფლო ბანკები, მაღაზიები და სხვ. და ყველა ეს უერობოთ ვერ მოსერხდებოდა. მაგრამ ვისაც ასსოვს ჩვენი ქვეყანა, ან ვერშავის მსარე, სადაც ერობა არ იყო, მაგრამ ეს დაწესებულება კი არ აკლდა, ის, რასაკვირველია, ზემოხსენებულ საქმეთ მარტო ერობის ნაყოფათ არ ჩასთვლის. მართალადაც, სადაც კი ხალხი განთავისუფლდა ბატონ-ყმობისაგან, იქ უეჭველია განათლებაც ტოტად თუ ბევრად უნდა გავრცელებულიყო.

უმრავლესობა რუსეთში ფიქრობს, რომ ყველა ეს სიკეთე დრომ მოიტანა და ერობამ კი მხოლოდ მოუმატა ხალხს სარჯი და ამით უფრო გაუძნელა უამისოთაც ძნელი ცხოვრება.

რისგან მოხდა ესა?

ყველგან, ევროპაში, სადაც კი ადგილობრივ საზოგადოე-

ბას მიეცა თვით-მმართველობა, პოლიცია გამხდარა ამ თვით-მმართველობის დამსმარებელი მსასური და არა ბატონი. ბისმარკს თავისუფლების მტრათა რაცხავს მთელი ქვეყანა და არცა სცდება, მაგრამ ბისმარკსაც კი ესმოდა, რომ იქ თვით-მმართველობა შეუძლებელია, სადაც პოლიცია განუსაზღვრელად ბატონობს; იმან საქვეყნოდ გამოაცხადა 1871 წ., რომ ახლად შემოერთებულ ელზას— ლოტარინგიასათვის სრული თავისუფლება მსურსო, მაგრამ მეშინიან ადგილობრივ საზოგადოების გამგეობას ჩინოვნიკებმა სელი არ შეუშალონო.

რუსეთში კი ერობა ბევრად გუბერნატორებზეა დამოკიდებული. გუბერნატორს შეუძლიან იმის გარდაწყვეტილება არ შასრულებინოს და უკან დაუბრუნოს ხელმეორედ გასასინჯავად. ამ მიწერ-მოწერაში ხშირად ბევრი ხანი გადის და ხშირად იმ კეთილ საქმეს, იმ დახმარებას, რომელსაც დაპირებს ერობა, ეკარგება ყოველი მნიშვნელობა ამ დაგვიანებისა გამო. მაგალითად, ხშირად ერობა ღარიბ გლეხებს ესმარება და მუქთად აძლევს თესლსა. ამ გვარი გარდაწყვეტილება გუბერნატორმა რომ შეაუენოს, ვიდრე თავის აზრს გამოუცხადებდეს ერობას, შეიძლება კარგა დაგვიანდეს. მაზრის საერო კრება წელიწადში მხოლოდ ერთხელ იყრის თავსა და გრძელდება ათ დღეს. გუბერნატორის ქალალდი ამის გამო გარდაეცემა კრებას მხოლოდ მეორე წელს, როცა იქნება საჭირო ალარ იყოს ერობის დახმარება და პირველ წელს კი, როცა დახმარება საჭირო იყო, ერობა ვერ მიეშველებოდა.

ერობა დიდ დამოკიდებულებაშია აგრეთვე პოლიციისაგან, ამიტომ, რომ თითქმის ყოველ-გვარი ერობის გარდაწყვეტილობა პოლიციამ უნდა შეასრულოს. ესეც თუ ინებებს,

გაარიგებს ერობის საქმეს, თუ არა და გამოუცხადებს: დრო არა მაქვს, მე ჩემი საქმეები მაწუხებენო. ერობას არავეერი უფლება არა აქვს პოლიციაზე და სშირად ამის გამო უქმდება ბევრი საერო განკარგულება. ერობას რომ ჰქონდეს ადრინდელ რუსის თავად-აზნაურობისამებრ პოლიციის ჩინოვნიკების არჩევის ნება, და ამას გარდა ხელში ეჭიროს იმითი კამაგირი, მაშინ პოლიციას გაუძნელდებოდა თავის მოვალეობის დავიწყება.

ეხლა ერობა პოლიციის ხელშია და ვერ გაუკეთებია-რა თავისუფლად. რუსის საზოგადოება ცდილობდა განეთავისუფლებინა თავის ამორჩეული კაცები ამ გვარ დამცირებისაგან, მაგრამ დიდი დაბრკოლება ნასა თავის სურვილის ასრულებაში როგორც გუბერნატორების, ისე ადრინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის მხრივ. შარშან იყო გამოცხადებული წერილი ობუხოვისა, რომელიც ამ ათიოდ წლის წინად კერ გუბერნატორობდა და მერე მინისტრის თანაშემწეთ იყო დანიშნული, ამ წერილში ცხადად იყო გამოთქმული ის აზრი, რომ თვითმმართველობა უნდა პოლიციის ხელ-ქვეშ იყოსო.

რასაკვირველია, უკუთესმა მშრომელმა-ხალხმა, განათლებულმა პირებმა არ მოინდომეს პოლიციელების მსახურებათ გამხდარიყვნენ და, მეტი ღონე არ იყო, სრულებით დაანებეს თავი ერობას, იმ ერობას, რომლისაგანაც რუსეთისათვის ბევრს კეთილს მოელოდენ და რომელსაც სწირავდენ უანგარო თავიანთ შრომას და თავიანთ წოდების ინტერესებს.

ადრე რუსეთის თავად-აზნაურობა უკეთ მდგომარეობაში იყო ამ მხრით. იმას ნება ჰქონდა თავის კაცები ამორჩია პოლიციის ჩინოვნიკებათ და ამას გარდა განესილა გუბერნატორის მოქმედება შესახებ «ზემსკის» გარდასახადის ფოგრაკე-

ბისა. ამ გვარი ზედამსედველობის ნება რომ მიენიჭათ ერობისათვისაც, მაშინ, რასაკვირველია, პოლიციის მონათა ადარ გახდებოდა და რუსეთის თვით-მმართველობა ცოტად მაინც დაემზგავსებოდა ნამდვილ თვით-მმართველობას, იმ თვით-მმართველობას, რომელსაც ვხედავთ თითქმის უკელგან ევროპაში და ამერიკაში.

პოლიციის გარდა, სხვა ადგილობრივ ჩინოვნიკობასაც დიდი ძალა აქვს ერობის საქმეებში. მაგალითად ავიღოთ სახალხო განათლების საქმე. ერობის ვალია თავის თულიო გამართოს სოფლებში პირველ-დაწყებით სწავლის სკოლები, მასწავლებლებისათვის სემინარია და სხვა სასწავლებლები. ამ უფლებით ისარგებლა ერობამ და ბევრგან გამართა არამც თუ პატარა სკოლები, მთელი რეალური სასწავლებლებიც კი; მაგრამ ჩინოვნიკობა გაერია საქმეში და ერობას სალისი დაეკარგა, განეგრძო იმავ გზით მოქმედება. ადრინდელმა სახალხო განათლების მინისტრმა, გრაფ ტოლსტოიმ, დააყენა უველგან სასოფლო სკოლებისათვის ინსპექტორები და ამათ ჩაბარა სკოლის ბედი; ასე რომ ერობის ფულები ისარჯებოდა და იმათი მოხმარება კი სხვის სელში იყო; ერობას არაფერი გავლენა არა ჰქონდა სკოლის მოწყობაში, თუმცა ორი დეპუტატი ჰყავდა «სამასწავლებლო რჩევაში». ადგილობრივს საზოგადოებას არა ჰქონდა ნდობა ინსპექტორებისა და ამიტომაც გული აუცრუვდა სახალხო განათლების საქმეში.

ერობის მნიშვნელობა დაამცირა, წვრილ ჩინოვნიკების ბატონობას გარდა, თვით ერობის სმოსსების არჩევის წესმა: საერო კრებებში ადგილობრივ მამულის მეპატრონეებს უფრო მეტი ხმა აქვთ, ვიდრე გლეხებს, როდესაც ამ უკანასკნელებთან ერობა უფრო ახლო უნდა იყოს, ვიდრე სხვა კისმესთან. სა-

ხალხო სკოლები, ბუნის მაღაზიები, სასოფლო ექიმი, სასოფლო ბანკები, მომრიგებელი მოსამართლე, ყველა ესენი უფრო გლეხობისათვის უნდა იყვნენ გაჩენილნი, რადგან სხვა ხალხს ამათთან იშვიათად აქვს საქმე. ეროვნა უფრო გლეხობის ხელში უნდა ეოფილიყო, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ. რუსეთში 13,024 სამაზრო ერობის ხმოსანია, აქედან მამულის პატრონებისაგან ამორჩეული—6.204 კაცია, გლეხებისაგან—5,171, და ქალაქელებისაგან—1,649. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მამულის პატრონები თავიანთ დეპუტატებათ გლეხებს არას დროს არ ირჩევენ, და გლეხები კი ხშირად ხმოსნათ კრებაში გზავნიან ადგილობრივ შდიდარ თავადს ან აზნაურს; თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ გლეხები სიღარიბის გამო უფრო იშვიათად დადიან ქალაქებში საერო კრებებზე; თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ საერო კრებებზე თავსმდომარედ კანონით მაზრის და გუბერნიის მარშლები ინიშნებიან,—მაშინ ცხადად ვნახავთ, რა დიდი ძალა აქვთ ამ კრებებზე მამულის პატრონებს, რომელთაც უფრო ნაკლებად შეეხებათ საერო საქმეები, ვიდრე გლეხებს. გუბერნიის კრებებზე თითქმის არას დროს გლეხ-კაცს ვერა ნახავთ, და მაზრის კრებებზე უმრავლესობა მაინც თავად-აზნაურებს ეკუთვნით, თუმცა იშვიათად ისიც კი მოხდება ხოლმე, რომ ამ გვარ ერილობაში გლეხები მეტნი არიან, ვიდრე სხვა წოდების ხალხი.

ჩვენ აქ ვაჩვენეთ მკითხველს უმთავრესი მიზეზი რუსეთში ერობის დამტირებისა და უმნიშვნელობისა. ყველა ამ მიზეზებს ცხადად ხედავენ რუსეთში მწერლობაც და საზოგადოებაც ჯ სცდილობენ იმათ მოსპობას. შარშან, ლორის-მელიქოვის მინისტრობის დროს, დიდი ყურადღება იყო მიქცეული ამ საქ-

მეზე, სხვა-და-სხვა კუთხეში გაგზავნილ რეკიზორებს მინდობილი ჰქონდათ მმართებლობისაგან გამოეკვლიათ, რა გზით შეიძლება ერობის გაუმჯობესება. ეხლანდელ შინაგან საქმეთა მინისტრმაც, გრაფმა იგნატიევმა, როგორც რომ მიიღო მინისტრობა, გამოაცხადა, რომ ერობას მიენიჭება უკეთა ის უფლება, რომელიც იმას თავ-და-პირველ კანონით უნდა მიეღოო, მაგრამ სანამ საქმე გაჩერებულია. . . . .

ბ. ოუმანიშვილი.

## საბშოგლო ხმესურისა.

---

სადაც ვშობილვარ, გაგზდილვარ და მისრულია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი გუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვზეულვარ,—ჩემი სამშობლო ის არი,
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უგვდაგებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც გადმოჭქუსს ბრალი-წყლიანი,
ციხვი და არჩვი მეყოფა, სორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უგვდაგებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

ბარათ რომ ვიყო ფალადა სული მთისკენვე ისარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ ისარის,
იქ მიეჯობს შავი სიგვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უგვდაგებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

ბარათ რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ცარი და ზღვაზე ნავია,

არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ამობილო, მირჩევნია ორსავ თავლზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

ი. რაფ. ერისთავი.

# ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ.

წრეგვანდელ «ივერიის» მარტის წიგნში მოვიყვანეთ ირლანდიის მდგომარეობაზედ და ვეცადეთ გაგვეცნო მკითხველისათვის ის მიზეზები, რომელთაც ძნელად ამოსაფხვრელი მტრობა ჩამოაგდეს ამ ქვეყანასა და ინგლისს შორის . . .

ჩვენ გვსურვეთ, რომ ირლანდიელი რეკოლიუციონერები, რომელთ პროგრამა პირველში რიგიანად გამორკვეული არ იყო და კაცი დაბეჯითებით ვერ იტყოდა, რასა თხოულობდენ — სოციალურს ანუ ეკონომიურს განთავისუფლებას, თუ პოლიტიკურს დამოუკიდებლობას, — თან-და-თან გაიწვრთნენ, გამოიცადენ და დაკვირდენ თავიანთ ავსა და კარგსა . . .

უკანასკნელმა არეულობამ ირლანდიაში ამ გაწვრთნილს პარტიას, ესრედ წოდებულს «ჭომ-რულებს», დიდი სასელი და გავლენა მიანიჭა. ეს პარტიავე არის წინამძღოლი ადელგებულ ირლანდიელებისა და რამდენსაც ინგლისი მეტს წინააღმდეგობას გაუწევს მათ, იმდენი ამ პარტიას ძალა ემატება, მოქმედების ასპარეზი უფართოვდება.

ამ პარტიას თავის ფესვები მართლაც და ირლანდიის წყობილობაში აქვს გამდგარი და არც ერთს უწინდელს პარტიას ამდენი გავლენა არა ჰქონია ირლანდიის საქმეებზედ. ეს გავლენა კი იმაზედ არის დამყარებული, რომ ჭომ-რულებმა ზედ-მიწევნით გაიცნეს ინგლისის პოლიტიკა და ის სუსტი

მსარე თავიანთ ხალხის მდგომარეობისა, რომელიც თუმცა აღარიბებს და აუძალურებს ირლანდიის ერსა, მაგრამ იგივე შეადგენს საუკეთესო ზღუდეს ინგლისთან საბრძოლველად და თავისუფლების მოსაპოვებლად.

ჰომ-რულებმა ძლიერების გამოსაჩენად და თავიანთ გავლენის დასამყარებლად გამონახეს იმისთანა ნიადაგი, რომლის შეძვრაზედ მთელი ირლანდიაც შეიძვროდა; იმით ხელზედ დაიხვიეს გაღატაკებულ და მამულებიდამ განდევნილ ხიზნების საქმე, რომელნიც თითქმის მთელის ირლანდიის დაბალს ხალხს შეადგენენ, მოითხოვეს, რომ მათი უფლება მიწა-წყალზედ აღიარებულ ყოფილიყო მთავრობისაგან და ესრედ თავიანთ პოლიტიკური განზრახვა ეკონომიურს საძირკველზედ დაამყარეს. ესრედ წოდებული საძამულო კავშირი (Land League), რომელსაც ათი-ათასობით მომხრე ჰყავს ირლანდიაში გამოწვეულია ჰომ-რულებისაგან ჰომ-რულებისვე მეოხებით....

ირლანდიის ბედი ახლა დამოკიდებულია ამ პარტიის გამჭრიახობაზედ და ჭკუა-გონიერებაზედ. ეს პარტია ახლა მომქმედი ძალა, რომელსაც ირლანდია სულ-განაბული ემორჩილება და ინგლისის მმართველობა თავის თანაბარ მებრძოლად ჰხადის. თუ მართლა ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ამ პარტიის მოქმედება, ტრუ და ფუჭი არ არის, მაშინ მას დარჩება სრულად ბურთი და მოედანი და იქნება აუსრულდეს კიდეც ის უმთავრესი განზრახვა, რომელიც ზოგიერთს მათგანს გულში ღრმად აქვთ ჩანერგილი. . . .

არ არის ძნელად დასამტკიცებელი, რომ ამ პარტიის მოქმედება სწორედ შეეფერება ირლანდიის გარემოებას და თუ ირლანდიას როდისმე თავისუფლად ამოსუნთქვა ეღირსება,

ელირსება ამ პარტიის წყალობით. ამ პარტიას ორი ძარღვი ამოქმედებს და აქ მოკლედ განვიხილოთ—ეს ძარღვები იმდენად ღონიერნი არიან, რომ აიტანონ იმ გვარი ჭიმვა და წეწვა რა ჭიმვასა და წეწვაშიაც არის ირლანდიის საქმეები, თუ გერ შესძლებენ, გაწყდებიან და იქნება მათ გაწყვეტასთან გასწყდეს ირლანდიის ბედის ძაფიც.

პირველი ესა რომ სწორედ ისტორიის მაგალითით ხელმძღვანელობენ ჭომ-რულები თავიანთ მოქმედებაში: მხოლოდ 1830 წელს ელირსა ირლანდიას სრული პოლიტიკური გათანასწორება ინგლისთან და ამის მიზეზი მხოლოდ იმ დროინდელს რევოლიუციაში უნდა მოვნახოთ. უკვლგან რომ მშვიდობიანობა ყოფილიყო დამყარებული, იქნება დღესაც კათოლიკე ირლანდიელები მონასავით მორჩილნი ყოფილიყვნენ პროტესტანტებისა, თუმცა ირლანდიის ხალხის ბევრად უმეტესი ნაწილი კათოლიკე სარწმუნოების მაღვიარებელია. მართალია, ესლანდელი ირლანდია ბევრად უფრო უკეთესს მდგომარეობაშია, ვიდრე მაგალითად ამ ასის წლის წინად იყო; მართალია ინგლისის მთავრობამ ბევრი სასარგებლო ცვლილება მოახდინა ამ ქვეყნის მდგომარეობაში,—მაგრამ ყოველივე ეს ცვლილება ძალ-და-ძალ გატანილი იყო. ირლანდიაში რომ ხშირი ხალხის კრებები არ მომხდარიყო ხოლმე და ამ კრებებს მთელს კუნძულზედ მღელვარება არ მოეფინათ, საეჭვოა, რომ ამ ნაწილს ინგლისის სამეფოსას ან პარლამენტში დეპუტატების ამორჩევის უფლება მისცემოდა, ან პროვინციის წარმომადგენელთა რჩევები. მაშინ იქნება არც ამდენი რკინის გზები ყოფილიყო, რაც ეხლაა, არც იმდენი ნავთ-საყუდრები, არც წესიერად მოწყობილი ლაზარეთები, ბავშვების სადგურები და სხ.; იქნება არც ხალხის განათლებისთვის ეგდოთ ყური. ად-

ვილად მისახსოვრია, რომ თუ უკანასკნელნი უწესოებანი არ მომსდარიყვნენ, იქნება ინგლისის მინისტრს გლადსტონს არც კი მოენდომებინა სამიწა-წყლო კანონების შეცვლა ირლანდიაში.

რასაც კი კეთი, უგულოდ მოქმედა და რასაც მხოლოდ მაშინ მოიქმედებს, როდესაც უარის-თქმის ილაჯი აღარა აქვს,—ოთხელს ამას ეეწველია დაეტეობა იგივე უგულობა და სასასეერობა. ირლანდიაშიაც ესე მოსდა: ინგლისის მთავრობისათვის, როგორცა ვთქვით, მხოლოდ მისდა უნებურად უნდა გამოეჩინჩლათ სელიდამ სხვა-და-სხვა უფლებები და ამიტომაც თითქმის ყოველს სასელმწიფო ცვლილებას ირლანდიაში ეტეობა უმარეგვეობა და უეერულობა. ირლანდიის სალსს მიეინიჭა ინგლისის პარლამენტში დეპუტატების ამორჩევის უფლება, მაგრამ რას არგებთ ეს უფლება, როდესაც ამ პარლამენტში ირლანდიელ დეპუტატების ხმა ჩამწყდარია? ინგლისის პარლამენტში ორი განყოფილებაა, ორი პალატა: ერთში—ქვემო-პალატაში—სხედან სალსის პირ-და-პირი წარმომადგენლები და ამორჩეულები, რომელთა შორის ირლანდიის დეპუტატებიც; ეორეში—ზემო-პალატაში—ლორდები, ე. ი. მთელის ინგლისის დიდნი-კაცნი. ყოველი კანონი, რომელიც კი პირველს პალატას მოსსენდება და მისგან მიღებულ იქმნება, მეორესაც უნდა მოსსენდეს და მხოლოდ მაშინ მიეცემა ძალა, თუ ეს პალატაც არ უარ-ყოფს პირველ პალატის გარდაწყეტილებას. ახლა წარმოიდგინეთ, რა გზით უნდა იმოქმედონ ირლანდიელმა დეპუტატებმა, თუ არ უნდათ რომ მხოლოდ პარლამენტის დასამშვენებლად ჩამომწკრივდენ სკამებზედ ? თუ ტოტალითიც არის გული შესტკივათ თავიანთ სალსისთვის? ქვემო-პალატაში, ესლა, მაგალითად, მხოლოდ 103 დეპუტატია

ირლანდიიდამ და რა ხმა გაუგა ამ ას სამს კაცს ოთხას-ხუთას სხვა დეპუტატებთან. მართალია, ზოგიერთი ინგლისისა და შოტლანდიის წარმომადგენელიც გულით თანაუგრძნობს ირლანდიელ ხალხსა, მაგრამ ამ გვარ იდეალურ პირთა რიცხვი მეტად მცირეა და ბევრად დიდი უმრავლესობა მაინც იმ აზრისაა—ირლანდიის საქმე ჩვენ უგულ ვიცით, ვიდრე თვით ირლანდიელებმა.

წარმოვიდგინოთ თუნდა რომ ქვეყნიერ-პალატაში რომელიმე სასიგეთო კანონი ირლანდიისათვის მიღებულ იქმნა. განა მაშინ კი ფონს იქნება გასული ეს კანონი? სრულებითაც არა. გზაზედ ისეთი მორევი დასდგება, როგორიც არის ლორდების პალატა, ანუ ზემო-პალატა, რომელშიაც დიდ-ძალის მამულის და სიმდიდრის მეპატრონენი სხედან. თითქმის ოთვეულიგე დაბალ ხალხის შემამსუბუქებელი კანონი აასრულება ხოლმე ამ «წარმომადგენელთა» მოუსშავს კანს და უქმად რჩება. შემდეგში ამის დამამტკიცებელ მაგალითებსაც დავასახელებთ.

ამ გვარად ირლანდიამ ბევრად ვერ გამოიყენა ეს საგანგებო უფლება—უფლება წარმომადგენელთა ამორჩევისა, რათა ამ წარმომადგენელთა, სადაც ჯერ არს, ხმა ამოიღონ მის შეწუხებაზედ, მოითხოვონ ირლანდიის მდგომარეობის გაუმჯობესება და თავიანთს მოთხოვნილებას კანონის ასხე მისცენ. სხვა სამოქალაქო უფლებაც თითქმის სულ გაუქმებულია ირლანდიელ დაბალის სალხისათვის. მაგალითად, თუმცა დაბალი სალხი თითქმის სულ კათოლიკე სარწმუნოებისაა,—ამორჩეულნი პირნი სათეკო და საქალაქო რჩევებში და აგრეთვე ამორჩეულნი მსაჯულები თითქმის მხოლოდ პროტესტანტები არიან. ეს იმიტომ არის, რომ მამულის პატრონნი და სხვა მდიდარნი

ბირნი პროტესტანტების სექტას მისდევენ და ყოველ-გვარ საზოგადო და კერძო საქმეზედ დიდი გავლენა აქვთ; ასე რომ თუმცა უფლება სალსისაა, ამ უფლებას მხოლოდ რამდენიმე გავლენიანი ბირნი სმარობენ.

რაღა გასაკვირველია, რომ ირლანდიის სალსი კარგის თვალით არ უცქერის ინგლისის მმართებლობას, რომელსაც თუმცა სსვა-და-სსვა ცვლილება შეაქვს ირლანდიაში, მაგრამ შეაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალით მოითხოვენ და მხოლოდ იმ ბირთა სასარგებლოდ, რომელთაც თუმცა ირლანდიელები ჰქვიანთ, მაგრამ უფრო ინგლისში სცხოვრებენ და ინგლისთანა აქვთ ყოველივე კავშირი და დამოკიდებულება? ირლანდიელ მდიდარ, თავ-მოყვარე ლორდებისათვის ის არის მარტო საჭირო, რომ შემოსავალი თავიანთ მამულებიდამ თავთავის დროზედ არ მოაკლდეთ და თითონაც არ იუნენ მოგლებულნი იმ უფლებებს, რომლითაც ინგლისელები სარგებლობენ და დაბალს სალსს, ან ირლანდიისათვის ნამდვილ გულშემატკივართ ექნებათ რამე ირლანდიის საქმეებზედ გავლენა, თუ არა,—მაგაზედ ისინი დიდად არა ნაღვლობენ.

ლორდები დიდად არა ნაღვლობენ, მაგრამ ირლანდიის სალსი კი ნაღვლობს და ეძებს კიდეც რაიმე წამალს თავის წელულების განსაკურნებლად. ირლანდიის დაბალ სალსის უმთავრესი წადილი ის არის რომ ადგილ-მამულის საქმე, რომელიც მეტად აწეწილია იმ ქვეყანაში, გარიგდეს როგორმე და უფრო სამართლიანს საფუძველზედ დამყარდეს. ეს წელული დაბალის სალხის წელულია და სწორედ ამაკე მდგომარეობის მისედვით მოქმედობენ ჭომ-რელები, როდესაც დაბალს სალსს მხარს აძლევენ და თავიანთ სამშობლოს საქმეების ინგლისის სელიდამ განთავისუფლებაზედ ამყარებენ სრულს თავიანთ იმედს. ჭომ-

რულები და დაბალი სალხი ესლა ირლანდიაში შეერთებულნი არიან და ამ ერთობის განმაცხოველებელი სხივი არის ინგლისის მმართველობის სიძულილი და იმ მებატონეებისაგან თავის დახსნის სურვილი, რომელთაც მხოლოდ იმოდენადა აქვთ კავშირი თავიანთ სამშობლოსთან, რამდენადაც ეს საჭირო თავის დროზედ მამულის შემოსავლის ასაღებად.

უმთავრესი უსამართლობა ირლანდიის ადგილ-მამულის წუობილებაში ეს არის, რომ მებატონესა აქვს უფლება სიზანი ანუ ტერმერი აჴყაროს და ერთის ბძანებით მოაშოროს მთელი სასლობა მამა-პაპიდგანვე შეჩვეულს მიწა-წყალს. ამ უსამართლობამ გამოიწვია ის მეფეკვარება. რომელმაც მთელი ირლანდია ფესზედ დააყენა და რომლის თავიდამ აცილებასაც ცდილობს გლადსტონისგან პარლამენტში წარდგესილი კანონის პროექტი—სამამულო კანონი (Land Bill).

კარგა სანია, რაც ინგლისის მთავრობა და, რასაკვირველია, თვით ირლანდიელებიც გრძნობენ ამ გვარ წესების უსამართლობას და კარგა სანია, რაც ცდილობენ რაიმე ღონისძიებით მათ გაუკეთესებას, მაგრამ ჯერედ ეოგველივე ღონისძიება ფუჭი გამოდგა. მმართებლობამ გამორკვევით არ იცის, რა საფუძველი აქვს ლორდებს მიწის მეფლობელობისა და რა პირობით უჭირავთ ტერმერებს მამული შესამუშავებლად; ან მამულის საკუთრებაში უდევს რამე წილი ტერმერს, თუ არა. 1860 წელს მმართებლობამ მიიღო რომ მიწის პატრონსა და ტერმერს შუა დამოკიდებულება კონტრაქტით არისო და არა სიზნობის პირობაზედაო და ათ წელიწადს შემდეგ—1870 წელს—სრულებით ამის წინააღმდეგად ამტკიცებდა, რომ კონტრაქტი აქ არაფერს შუაშია, ტერმერები სიზნები არიან და სიზნობის კვალობაზედ უჭირავთ მიწაო. მთავრობა ხან ერთს

ლონეს მიადგებოდა, სან მეორეს, მაგრამ ვერც ერთმა კი ვერ გაარიგა-რა. 1870 წლის აქტის შემდეგ, რომლითაც ფერმერები ხიზნებათ ცნობილ იქმნენ, 

ინგლისის მთავრობა შეაშინა ირლანდიის ერეულობამ მეტადრე მას შემდეგ, რაც ორგან თუ სამგან ირლანდიაში მამულის პატრონები დაჭსოტეს მამულიდამ განდევნილებმა და სასო-წარკვეთილმა ფერმერებმა; მაგრამ ჩვეულებრივ სასტიკის ღონის ხმარების მაგივრად მთავრობამ მოინდომა იმისთანა წესის შემოღება ირლანდიაში, რომელმაც უფრო გააშმაგა და გააბოროტა სალსი, ვიდრე დაამშვიდა. იმავე პალატამ, რომელმაც საჭიროდ იცნო გადასდის კანონი, ეხლა მიიღო მეორე «ძალდატანების კანონი» (Coercion Bill), რომლის ძალითაც ირლანდიაში შემოიღეს მეტად სასტიკი წესები, ინგლისიდამ შუასაუკუნოებშივე განდევნილნი. სხვათა შორის ინგლისელებს თავი იმიტომ მოაქვთ მაღლა, რომ მათ კანონების თვალს შეადგენს ერთი კანონი (Habeas corpus act), რომლის ძალითაც გამოუმიებლად და საქმის გაუჩხრეკლად მთავრობას არა აქვს უფლება ვისმეს დაჭერისა. ეს კანონი რამდენიმე საუკუნეა, რაც ინგლისის საზოგადოებამ ძალ-და-ძალ შეიძინა მთავრობისაგან და ამ კანონით ამპარტავნობს ყოველი ინგლისელი, კონსერვატორი თუ ლიბერალი. ინგლისში ამ კანონის დროებითაც არის გაუქმება უეჭველად რეკოლიუციის გამოიწვევდა; ამ_მოვლენას უეჭველად ჩასთვლიდენ ადამიანის უფლების უარყოფად და მხეცთა თანა მიმზგავსებად, მაგრამ მმართებლობამ არ მიხედა ყოველს ამას და თვალ-დაუსამსამებლივ მოსპო დროებით ირლანდიაში ეს კანონიც და სხვა სასტიკს ზომებს ესეც ზედ დაურთო. ამ ამბავმა არა თუ ირლანდიელები, ბევრი ინგლისელიც აალელვა და შეაცრად ჭკიტხავდენ მმართებლობას. აი, სხვათა შორის, რას ამბობს შესანიშნავი ინგლისის პუბლიცისტი ჯონ მორლეი თავის სტატიაში «ინგლისი და ირლანდია»

«ინგლისმა ირლანდიაში მარტო კანონი და წესიერება კი არ უნდა დაიცვას, უნდა დაამკვიდროს კარგი და სიფუძვლიანი მმართველობა და ამისთვის საჭიროა ირლანდიის სალსი შეირიგოს. შესარიგებლად საჭიროა კიდევ — დავაკერთ ირლანდიელები, რომ ჩვენ იმათთვის გული გვტკივა. ირლანდიელებს თავის დღეში არა სჯერდათ ესა და არცა ჭმონდათ მიზეზი დაეჯერათ, ძალ-დატანების კანონი ყველაზედ უფრო უვარგისი საბუთია ჩვენის გულის-ტკივილისა.... როდესაც ამ ბარ სასტიკ ზომების შემოღებაზედ ვლაპარაკობთ, მარტო ის კი არ უნდა გავიხსენოთ რა არის თვით ეს ზომები, არამედ ისიც, რა თვალით შეხედავს ამ ზომებს თითონ ირლანდიის სალსი... ჩქენ შეგიძლიანთ გააუქმოთ თავის-უფლების მომასწავებელი კანონები. ჩაიყენოთ ირლანდიაში ოც-დათი ათასი ჯარის-კაცი, მშვიდობიანობა ჩამოაგდოთ ძალ-დაძალ ერთსა თუ ორს წელიწადს, მაგრამ ამით ვერც კანონების პატივისცემას ჩამოაგდებთ, ვერც სამუდამო მშვიდობიანობას, ვერც ჩვენს მმართველობას შეაყვარებთ ირლანდიის სალსს. ამისთანა ღონე სმირად ექმნა სმარებული და კარგად კიცით რაც მოსდევს ძას, რამ წამს ცისის კარებები გაიღება, ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ბარმა ღონემ, რომელსაც უნდა დაემშვიდებინა ირლანდიის სალსი, უფრო ათას წილად გაამწარა იგი და უფრო შეაძულა ჩვენი კანონებიც და ჩვენი მმართველობაც.»

ასე მოქმედებდა ინგლისის მთავრობა. ცალის ხელით მაჯრუჭს უჭერდა, მოთმინებიდან გამოსულს ირლანდიას და მეორეს ხელით წინ უშლიდა სამამულო კანონს ინგლისის პარლამენტს და იმედეულობდა რომ თუ ეს კანონი პარლამენტს დაემტკიცებინა, ირლანდია დამშვიდდებოდა, ძალ-და-

ტანების კანონიერ საკუთრად იქნებოდა და მთელს იმ მსარეში მშვიდობიანობა და კეთილი განწყობილება დამყარდებოდა.

ჩვენა ვნახეთ, რომ თითონ ინგლისელებიც ჭკვიანურად მთავრობას სასტიკ ზომიერების მიღებისათვის ირლანდიის დასამშვიდებლად და ირლანდიის არეულობას თითონ ინგლისსაც აბრალებდენ. მართლაც ჯერ-დესაც ინგლისი ერთს თავის ქვეყანას—შოტლანდიას—კეთილ-ბრიუნულად ეპყრობოდა, იქაურს საქმეების მართვას თვით შოტლანდიელებსვე ანდობდა, ირლანდიას დედა-ნაცვალის თვალით შესცქეროდა; ირლანდიის ეკლესიის მმართველად ინგლისის არსიეპისკოპოზს ჭეზავნიდა, სასამართლოებში ინგლისელ მსაჯულებს და თითქმის არც ერთი კანონი არა მტკიცდებოდა, რომელსაც ირლანდიელი დეპუტატები პარლამენტში არ დგენდენ.

ინგლისელებიც ჭკვიანურად მთავრობას, რადგან ძალ-ადატანების კანონმა უფრო გაამწარა ირლანდიის სალსი და ზოგიერთი ისეთი საშუალება ასმარებინა, რომელიც უველასაგან გასაკიცხია. სხვა ღონე რომ აღარ გაუგიდათ, ირლანდიელებმა დინამიტს მიჭეგეს ხელი. რამდენგანმე ინგლისში იპოვნეს ეს საშინელი ასაფეთქებელი წამალი საზოგადო შენობებთან დაბალული და მზა ასაფეთქებლად; ინგლისის გემებში ნახეს ამერიკიდამ გამოგზავნილი ასაფეთქებელი მაშინები, რომელიც აგრეთვე ილაჯ-გაწყვეტილ და ამერიკაში გადასასლებულ ირლანდიელების საქმე იყო. ირლანდიელები თითქო ამით ეუბნებოდენ ინგლისელებს, რამდენიც გინდათ ჯარი მოჭეთ ირლანდიაში, ჩვენ ყველგან მეოთხენი გარო და თუ ჩვენს სასლში ვერას დაგაკლებთ, ზღვაში ამოგესოვრებით და თქვენს საკუთარს ქალაქებში ამოგწვავთო.

სასტიკის ღონისძიებით რომ ვერას გასდა, ინგლისის მთავრობას უნდა დაეჩქარებინა სამუშაოო კანონის დამტკიცება. ორის სიტყვით გავიხილოთ, რა არის ეს სამუშაოო კანონი და შეუსრულებს იგი ირლანდიელებს წადილს თუ არა.

უმთავრესი საგუმველი ამ კანონისა არის «სამართლიანი ღალა» (Fair rent). როდესაც მამულის პატრონი ციზანს ანუ ტერმერს შეაწუხებს, მაშინ ციზანმა უნდა მიმართოს დადგენილს კომისიას და ამ კომისიამ უნდა გადასწყვიტოს, ციზნის მამულიდამ რამოდენა ღალა ერგება მამულის პატრონს. რასაკვირველია, ამ კომისიას ვალადა სდევს მსედველობაში მიიღოს მამულის პატრონისა და ციზნის ამაგი და ისე დააგუმნოს ეს სამართლიანი ღალა. ციზანმა უნდა ეს ღალა აძლიოს მამულის პატრონს სამუდამოდ და უკანასკნელს არა აქვს ნება ციზანი მამულიდამ გამოიყვანოს, თუ ღალას უკლებლივ აიღებს. ამას გარდა ციზანსა აქვს უფლება თავის მამულის სხვისადმი გარდატემისა მუქთად ანუ ფასით. ახალმა ციზანმაც უნდა უკლებლივ აძლიოს მამულის პატრონს სამართლიანი ღალა.

ამას გარდა ამ ახალის კანონის ძალით მთავრობამ უნდა ხელი გაუმართოს ციზნებს მამულის შესყიდვაში და სამი მეოთხედი მამულის ფასისა თითონვე ასესხოს იმ პირობით, რომ ამ ფულს ციზნებმა მეოთხედიც დაუმატონ და მამული დაისაკუთრონ.

თქმა არ უნდა რომ ეს კანონი თავის უარესსა სჯობია და ტოტალთიც არის შეუმსუბუქებს ბედს ირლანდიელ ციზნებს, . . . . . სამუშაოო კანონი სრულებით რეკოლიუციური კანონი არ არის, მაგრამ ამ კანონსაც კი დიდი წინააღმდეგობა ამოუჩინა ლორდთა პალატამ. ორჯერ-

სამჯერ იწოწიალა ამ კანონმა ქვემო და ზემო პალატას შუა, ორჯერ-სამჯერ შეაკვეცეს ლორდებმა სხვა-და-სხვა ხიზნების სასარგებლო მუსლები და ისე დასასიჩრებულის კანონის მიღებასაც კი ზარობდენ, მაგრამ ინგლისის საზოგადოებამ და ეკლესიერ-გაზეთობამ ისე დაატანა ძალა, რომ უკიათობა ალარ გამოდგებოდა. ეს ძალის დატანება გულ-წრფელი არ იყო. ინგლისის საზოგადოება დარწმუნდა, რომ თუ ეს კანონი არა, მთელი ირლანდიის ხალხი აჯანყდებოდა და იქნება კიდეც ბოლო მოელო ინგლისის მფლობელობისათვის. ამ კანონმა მთელი ირლანდია ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ ერთს ნაწილს მაინც კრიჭა შეუკრა და მოჯანყეთა რაზმები შუა გაჭრა.

აგვისტოში მიიღო პარლამენტმა ეს კანონი და მაშინვე ინგლისის დედოფლისაგან დამტკიცებულ იქმნა.

ახლა რა მდგომარეობაშია ირლანდიის საქმეები და რა სწადიათ ირლანდიის მოთავეებს?

ირლანდიის წარმომადგენელი ინგლისის პარლამენტში და ალელვებულთა მოთავე პარნელი ამბობს: «ირლანდიელი იმიტომ არ არის კეთილ-ცხოვრებაში, რომ არც ერთი ხალხი სხვის ხელში კეთილ-ცხოვრებაში ვერ იქნებაო.» პარნელს არ მოსწონს სამამულო კანონი იმიტომ რომ ეს კანონი წვრილ ხიზნებს შელავათს არ აძლევს და სამართლიან ლალაზედ ნაკლების გადახდას უკრძალავს. პარნელი თხოულობს მამულების სრულს შესყიდვას მმართებლობისაგან და ხიზნებისადმი დარიგებას და ამას გარდა ინგლისის მთავრობა სრულებით უურადღებას არ აქცევს ირლანდიის მუშა ბოგანო ხალხს, . . . .

თუ ინგლისმა ყურადღება არ ათხოვა ამ ბოგანო ხალხს, შეიძლება ხიზნების საქმე ირლანდიაში კვალად განახლდეს და განახლდეს სრულებით სხვა მხრივ...

---

# სიყვარულის ცოლ-ქმრობა.

## ძოთხრობა ლ. ჭალეკვისა.

(ფრანცუზელიდამ)

ყმაწვილ-კაცი — ოთვალ დიდით და ოთვალ სალამოთი სწერდა პატარა წიგნში მოკლედ, თითქო სატელეგრამოდ, რა უნდა გაეგეთებინა, ან რა გაეგეთა იმ დღეს. ეს წერა დაიწყო ოქტომბრის წლისამ, 3 ოქტომბერს 1869 წ. და ამ დღეს ჩაწერილი სიტყვები იყო:

«მე დამნიშნეს პოდპორუჩიკად მსროლელთა ოცდა-მეერთი პოლკში.»

მომავალს 31 დეკემბერს, ახალ-წლის წინა დღეს, ჩასდო უკანა-ში წარს-ულის წლის პატარა წიგნი და აიღო ახალი მომავალის წლისათვის.

ყმაწვილი-ქალი — ოთხ-ოთ დალაგებით და დაწერილებით სწერდა ცის-ფერ-ტუჯ-გადაკრულ, პაწია კალიტით დასაკეტ წიგნებში თავის თავ-გარდასავალს. პირველად ეს წერა დაიწყო თექვსმეტის წლისამ და პირველი სიტყვებიც დაწერილი 17 მაისს 1876 წ. იყო:

«დღეს მე პირველად ჩავიცვი გძელი კაბა».

ქალი დაქორწილდა 17 აგვისტოს 1879 წელს და მაქუკან აღარა უწერია-რა. თავის ცის-ფერ ტუჯ-გადაკრულ წიგ-

ნებში. მაგრამ მძიმედ და ფარულად კი ჭქონდა შენასუდი საიდუმლო უჯრაში ის პატარა წიგნები, რომლებშიაც ნაამბობი იყო მისი ცხოვრება 1876 წლას მაისიდამ 1879 წლის აგვისტომდე, გაქელის კაბის ჩაცმიდამ—ქმრის შერთვამდე.

ყმაწვილმა-კაცმაც ცოლი 17 აგვისტოს 1879 წ. შეირთო, მაგრამ წერა კი არ შეუწყვეტია, ასე რომ იმის სტოლის ერთს უჯრაში ეწყო ცამეტი პატარა წიგნი, სადაც დღე-დღეზედ აღწერილი იყო მოკლედ ყოველივე მისი თავ-გარდასავალი. სანდისანი, დროს გასატარებლად, აიღებდა ხოლმე ერთერთს ამ პატარა წიგნს, გაშლიდა, წაიკითხავდა ოსუომეტს ანუ ოცს გვერდს, სინჯავდა წარსულს და „მაშინ“ და „ეხლა“-ს ადარებდა ერთმანერთთან.

* * *

19 ივნისს 1881 წელს ასალ-გაზდა ბოდბორუხეკი 1879 წლისა, იყო კაპიტანი და უფროსი ოჯვის ესკადრონისა. ის ოჯდა მარტო, საღამოს ათს საათზედ თავის კაბინეტში, სტოლის წინ, თავი ხელებზედ დაებჯინა და ჭიკიკრობდა, რომელსაც გაზაფხულს იყო 1878 თუ 1879 წელს, როცა მე ოფიცრების ყურნალში დავბეჭდე სტატია ავსტრიის ჯარის ასალს დაწყობილებაზედა. ამ დროს მოაგონდა, ნამდვილს, რიცხვს ჩემს პატარა წიგნებში ვიპოვიო.

გაიღო ის უჯრა, რომელშიაც წიგნები ეწყო. ჯ შემთხვევით ხელი 1879 წლის წიგნს წაეტანა. დაიწყო მისი სინჯვა. ჯერ შალა, შალა, მერე ეცემ შეჩერდა და ყურადღებით წაიკითხა რაღაცა ადგილი, რომელმაც ღიმილი მოჭგვარა. წამოდგა, გაშორდა სტოლს, ჩაჯდა დიდს სელში და იქ განაგრძო კითხვა. ესლა ის სიტყვებით აღარა ჭიკიკრობდა ავსტრიის ჯარის ასალს დაწყობილებაზედ, ძველთა მოგონებათ გაიღვიძეს

იმის გულში, სახეზედ ოდნავ ღიმილი მოჰგვარეს და თვალებში სიამოვნება გამოუსატეს; სამჯერ თუ ოთხჯერ ამ კავალერიის კაპიტანს ხელით შეწმენდა მოუნდა თვალებში გამოსახულის ბაწია, სულ ბაწია ცრემლისა.

ეს რომ წიგნში ჩაკვირვებული იყო, ერთი კარი ოდნავ გაიღო და კარის თვრდებში გამოჩნდა მშვენიერი ქერა-თმიანი თავი....

ნეტა რას აკეთებს ამ დიდს სელში? იქნება სძინავს? ნახეკარ საათის წინად დაითხოვა უწყალოდ თავის ოთახიდამ, უნდა ვიმუშაო და როცა შენ აქა მეკვხარ. არ მასვენებ, მაღელვებ და ისეთი აზრები მოდის თავში, რომ მუშაობასთან საერთო სრულებით არა აქვთ-რაო.

ნელ-ნელა, დიდის სიფთხილით, წვრილი მოქნილი წელი ბატარა ქერა-თმიანის ქალისა კისეიის თეთრს სალათში გახვეული შეტეურდა ოთახში, ფეხის წვერებზედ წასდგა წინ სამითუ ოთხი ნაბიჯი და გვერდიდამ შეხედა თვალებში.... იმას არ ეძინა.... კითხულობდა წიგნს დიდის გულ-მოდგინებით, უძრავად, რადგან ვერაფერი ვერა შეამცნია-რა... ვინ გაამტეუნებს მერე? განა კითხვა კი მუშაობა არ არის... ქალმა სული გაიგმინდა და კიდევ წინ, სელისკენ, წავიდა, ნელა, სულ ნელა.... ფეხს რომ წინ სდგამდა, თან ფიქრობდა — ჯერ კიდევ ტოტა უმაწვილი იყო, ოც-და-ერთის წლისა და ძალიან შეეკარებული. ამას მიეტევება ეს თავის-თავის დაკითხება:

— სად ვაკოტო? შუბლზედ, ლოყაზედ... თუ ტოტ-ტოტა უკელგან, ჯკარედინად?

ქალი მიუახლოვდა.... თითების წვერებით თმაქმის ესეიბოდა კაპიტნის თმებს და აპირებდა კიდევ კოცნას «ტოტ-ტოტა უკელგან, ჯკარედინად», მაგრამ უეცრად საშინელი ეკითე-

ლი ფერი გადაეკრა... ბატარა წიგნის ორს გადაშლილ გვერდზედ ამოიკითხა:

16 ივნისს
მე ის მიყვარს!
17 ივნისს
მე ის მიყვარს!!

პირველ «მე ის მიყვარს»-ის შემდეგ ერთი გაკვირვების ნიშანი და მეორეს შემდეგ ორი,.. თექვსმეტიდან შვიდმეტამდე სიყვარული გასძლიერებია!

ერთი შეჭიეულა და განგაშით წამოიძახა:

— ეს რა ამბავია? ეს რა ამბავია?

კინალამ გული შეუწუხდა... ყმაწვილი-კაცი წამოდგა, ხელი მიაშველა, მაგრამ ვერ დაამშვიდა. ქალს თვალიდან ცრემლები ნაკადულივით მოსდიოდა და ქვითქვითით ლაპარაკობდა:

— თექვსმეტს ივნისს მე ის მიყვარს! შვიდმეტს ივნისს მე ის მიყვარს!!» დღეს ცხრამეტი ივნისია! შენ სხვა გიყვარს! ოჰ, რა საშინელი ამბავია, რა საშინელი ამბავია!

ყმაწვილმა-კაცმა თვალები ორის კოცნით შეუშრო და უთხრა:

— დასდე, გიორ, დასდე!

გადაშალა წიგნი პირველს გვერდზედ, სადაც დიდის ციფრებით იყო დაბეჭდილი: 1879.

— აა!—წამოიყვირა ქალმა სიხარულით და ცოტათი კიდევ სლოკინებდა ტირილისაგან—მაშ ეგ მე ვიყავი!—და გულ-წრფელად დაუმატა:

— მაშ შენცა გქონია დღიური?

— როგორ თუ მეცა! მაშ შენც...

მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა გასტეხილიყო, რომ მარ-

თალია ქმარს ჩაუწერია «მე ის მიუვარს» შაგ-ედიან წიგნში, მაგრამ იმასაც ჩაწერილი ჰქონდა ეს სიტყვები ცის-ფერ-ედიანში და მერე აუტყდა ქმარს:

— მიჩვენე შენი წიგნი, აბა ვნახო, თვრამეტს ივნისს სამი გაკვირვების ნიშანი არის და ცხრამეტს ოთხი, თუ არა.

— მე თუ გაჩვენებ, შენც უნდა მაჩვენო, მიუგო ქმარმა, აბა შენი წიგნებიც მოიტანე და შეკადარეთ. აბა ვნახოთ ვის უფრო ბევრი გაკვირვების ნიშანი უზის.

გამაგრება ძნელი-და იყო. ქალი წავიდა თავის 1879 წლის დღიურის მოსატანად და სამი კარგა მოზდილი წიგნი შემოიტანა.

— სამი წიგნი!—წამოიძახა ქმარმა.

— თითო წიგნი სამის თვისაა. შენ კი მთელის წლისა ერთი პატარა წიგნის მეტი არა გაქვს-რა.

— ცოტა სიტყვებით ბევრი რამ ითქმის.... აი ნახე.... მოდი აქ, ჩემს გვერდით, დაჯექ... ორივესთვის არის ადგილი ამ სელში.

— ჭო, თუ მუხლებზედ დაგაჯექი. მაგრამ ეგ არ შეიძლება.

— რატომ?

— იმიტომ რომ იქნება ჩემს წიგნში იმისთანა რამ არის რომლის ჩვენება არ მინდა.

ცოლმა თავის წიგნზედ ანიშნა, ქმარმა თავის პატარა წიგნზედ:

— იქნება აქაც იყოს რამე... შენ მართალი ხარ. შორი-შორს დავსხდეთ, ერთმანერთის პირ-და-პირ. მარტო ის წავიკითხოთ, რასაც არა ვმალავთ.

— მაშ შიგა-და-შიგ გამოკლების ნება გვექნება.

— რასაკვირველია, აბა დაიწყე.

— არა ჯერ შენ დაიწყე, რომ უფრო წამაქეზო.

— ბატონი სარ; მაგრამ საიდამ დავიწყო?

— იქიდამ დაიწყე, სადაც ჩემზედ იწყებს.

— არა შენზედ ადრე უნდა დავიწყო; იქიდამ, სადაც ჩემს «რაშზედ» იწყობს.

— მართალს ამბობ. აბა «რაშზედ» სად იწყობს?

— მოიცა... მგონია მაისის დამდეგ იყო ის ამბავი... ჰო, სწორედ ეგრეა.... «ხუთშაბათს, 15 მაისს. უნდა წავიდე შერისთან და ვნახო «რაში». შავი ცხენი, შვიდის წლისა. სიაში ასე სწერია: «კაი საჯდომი ცხენი, ლამაზად დადის, ქალის უნაგირი სდგმია.» ოც-და-ერთს მაისს უნდა გაიყიდოს. დესტილის ძალიან მოსწონს.» ორის გვერდის შემდეგ: «შაბათს, 17 მაისს. რაში ვნახე. კარგი სჩანს, ორი ათას ხუთას თერანკამდე ავალ.» ბოლოს, ოთხის გვერდის შემდეგ: «ოთხშაბათს, 21 მაისს....»

— ჰე, ჰე, ეგ ის დღეა, ჩვენ რომ ერთმანერთს რკინის გზაზედ შევხვდით. მე მახსოვს ეგ რიცხვი.

— მართალი სარ... «ოთხშაბათს, 21 მაისს, სამხედრო სამინისტროში—ჩემს დასთან.—რაში ვიყიდე ათას ცხრაას თერანკათ.—უკან რომ დავბრუნდი, რკინის გზაზედ მშვენიერი უმაწვილი-ქალი იჯდა ჩემს ზირ-და-ზირ.»

— მანდ ეგრეა? თავაზით სომ არ ასწორებ?

— მე არაფერს არ ვასწორებ.

— აბა მაჩვენე.

— აჭა, ნახე...

— ჰო, ვხედავ... «მშვენიერი»... «მშვენიერი» სწერია...

— აბა ასლა შენ წაიკითხე... შენც უნდა გქონდეს რამე 21 მაისს ჩაწერილი.

— არა მგონი! იქნება იმედი გაქვს, ჩამეწერონ: «უკან რომ დავბრუნდი, რკინის გზაზედ მშვენიერი უმაწვილი-კაცი იჯდა ჩემს პირ-და-პირ»?

— არა, ვინ ამბობს, მშვენიერი უმაწვილი კაციო, მაგრამ მაინც ნახე.

— კარგი, ჭირხვ სინიდისის დასამშვიდებლად... აბა: «ოთხშაბათს, 21 მაისს... ლუგრში... დედიდა-ჩემთან... სალონში... არათერია შენზედ; არ გითხარი... აი, ეოთვილა...

— აკი გითხარ... შემამჩნიე განა...

— აი რა არის: «უკან რომ დავბრუნდი, რკინის გზაზედ ჩემს პირ-და-პირ ერთი უმაწვილი-კაცი იჯდა. სულ მე მიცქერდა, მთელი გზა. თავს რომ მაღლა ავიღებდი, ის დაბლა დაღუნავდა; მე რომ დავღუნავდი, ის მაღლა აიღებდა. შატუდამ მოუოლებული, თვალები მაღლა არ ამიღია, მეშინოდა იმის შემოსედვისა... ჩემს საგში ინგლისური რომანი მქონდა; ამოვიღე და კითხვა დავიწყე, მაგრამ საღამოზედ სელმეორედ წაკითხვა მომინდა იმისი, რაც ვითომ რკინის გზაზედ წავიკითხე.»

— ეგელა არ წაგიკითხავს... კიდევ რაღაც არის...

— არის, მაგრამ სრულებით საინტერესო არ არის.

— მაინც წაიკითხე. მე როდი რამ გამომიშვია.

— შენ... შენ... მე ვიცი რაც მოხდება. შენ სულ პატარა, უმარილო შენიშვნები უნდა იკითხო; მე კი დაწვრილებით, დაღაგებით მოგიყვე. მე შენ გეტყვი ამის მიზეზს: როცა ჩემმა ოსტატმა თავი დამანება, მითხრა: «ჩემო კარგო ბავშვო, შენ ურიგოდ არა სწერ, მაგრამ კიდევ გეჭირვება შრომა. როგორც ეორტეპიანოს დასაკვრელად გამებია საჭირო, ისე კარგად წერისათვისაო. ჩვეულებად შემოიღე, რომ ყოველს საღამოს სამი

ან ოთხი გვერდი სწერო, რაზედაც გინდა... თუნდ რა გაკვეთე იმ დღეს, ვისთან იყავ, ან ვინ იყო თქვენთან....» მასუკან მე ჩემის ოსტატის რჩევას მივდევ.

— ძალიან კარგი.

— მე ეს იმიტომ ავიხსენ, რომ ვიცი რაც მოხდება: შენ გეგონება რომ აღელვებულის გრძნობის გამოთქმაა ის, რაც არის მხოლოდ წერაში ვარჯიშობა. მე არ მინდა რომ შენ მოსტყუვდე.

— ნუ გეშინიან, მე არ მოვტყუვდები... შენ ჯერ ის მითხარი, რა არის ამის შემდეგ: «ის სულ მე მიცქერიდა»?

— შენზედ არაფერია... აი, დაუგდე ყური: «ნეტა ეს მართალია, რაც იმ დღეს ბებიამ თქვა—საკვირველია, ეს ბატარა ყანა რა უეცრად გალამაზდაო—მერე რამდენი ხანი ილაპარაკეს დედამ და ბებიამ. დედა უსაყვედურებდა ბებიას მაგისთანებს რად აგონებო, თავს წაგაო და სხვ. არაფერი საინტერესოა, აგი გეუბნები... შენი წაიკითხე.

— მე არაფერი არა მაქვს-რა 22-ს.

— არც მე.

* * *

— «23 მაისს. რაში მომივიდა. გამოვცადე ფერდობზედ და ტყეში. ჩინებული რამ უნდა იყოს.»

— ჩემზედ?

— არაფერია.

— ეგ დამტირებია ჩემი; მე შენზედ მაქვს ცოტა რამ 23-ს. «გუშინ-წინ რომ ყმაწვილი-კაცი მიცქერიდა? რკინის გზაში, სამხედრო სამსახურში ყოფილა. ეს არის ეხლა მუნდირში გაიარა ცხენით. მაჯაზედ სამი შეკერცხლილი ბუზმენტი ჰქონდა. გაიარა კი არა, მეტიც მოუვიდა—სისულელეა, რასაც ვწერ,

მაგრამ სხვისთვის ხომ არა ვწერ, მარტო ჩემთვისა ვწერ... ნეტა მართლა შემამჩნია რკინის გზაში? იქნება შეიტყო ვინა ვარ? იქნება იცოდეს, რომ აქა ვდგევარ? იქნება ჩემს წინ თავის მოწონება უნდოდა? თითქმის თხუთმეტ წუთზედ მეტი დაჰყო თვრდობზედ ჭანრი მეოთხის პავილიონისა და მესერს შუა; ცხენი ტარებით დაჰყავდა, სან შემოატრიალებდა, თვალს აცვლევინებდა... თუ ამითი უნდა ჩემი გული მოიგოს, ძალიან უბრალო ვინმე ყოფილა.

— რა უსამართლობაა! ანა ჩემს წიგნში ჩახედა: «რაში გამოგცადე ძალიან კარგი დაგეშალია...» განაგრძე, განაგრძე.

— აჭა: «სადილს უკან მე გუთხარი ყორეს, რომელიც, თუმცა თორმეტის წლისაა, მაინც ტუკიის სალდათებს ათამაშებს და სამხედრო სამსახური ძლიერ მოსწონს—რას ნიშნავს, რომ ოფიცერს მაჯაზედ სამი შეკერცხლილი ბუზმენტი აქვს მეთქი—ეგ კაპიტნის ნიშანია.—კარგია მერე კაპიტნობა-მეთქი?—ეგ სანზედ ჭკიდია: ოც-და-ხუთის წლის კაცისათვის ჯარგია, მაგრამ ორმოც-და-ათის წლისათვის კი საძაგელია...

«ოც-და-ხუთის წლის კაცისთვის! იქნება ის მეტისა იყოს, მაგრამ ბევრით არა. ბებია-ჩემს უური კარგად უჭრის, გაეგო ჩემი ლაპარაკი ყორეთან და წამოიძახა: «გესმით რა ამბავია? ყანა ყორეს სამხედრო სამსახურის ამბებსა ჭკითხავსო...

«უაყაჩოსავით გავწითლდი. მერე მთელი ბასი მორთეს. ბებია ამბობდა, ოფიცრები მომწონსო, დედამ უპასუხა, ღმერთმა დამიფაროს, ჩემი ქალი იმისთანა კაცს ჰიკცე რომ აქაიქა გარნიზონებში მიბრიალოს. ნეტა რისთვისა ვწერ ამ სისულელეებს ჩემს წიგნში? მართლა, ჩემის ოსტატის სიტყვას ვასრულებ.» აი, ხედავ, ასე სწერია... ანა ახლა შენი ჯერია, მე გავათავე.

— 24-ს ორი სტრიქონია მხოლოდ.... «ოთხშაბათს რომ ქალი ვნახე, ცხენით შემომეყარა ტყეში. სწორედ დამაზი ყოფილა და ცხენზედაც კარგადა ზის.»

* *
*

— სულ ეგ არის... მეტად მოკლეა! ბატარა განმარტება ურიგო არ იქნებოდა.

— აი, ჩემო კარგო, ეგ ბატარა განმარტებაც. შენ მართალს ამბობ... მეტად უგემურად არის ეს შენიშვნები დაწერილი... მაგრამ, დამერწმუნე, ლექსების შეთხზვისა რომ არა მრცხვენოდეს...

— ნუ გრცხვენიან, ნუ, აქ არავინ არ არის...

— მე შენ გეტყვი, რომ რაც მანდ არა სწერია, აქ, გულში მაქვს ჩაწერილი. ის მაისის დილა, ტყეში შესვედრა... დღესაც, ორის წლის შემდეგ, ცხადლივ თვალ-წინ მიდგია. ჩვენ სამხედრო კარჯიშობა გვქონდა საშინელს მტვერში ხუთი საათიდან შვიდამდე. ჩემი ესკადრონი შინ მიგიყვანე, ცხენი გამოვიცვალე, რაშზედ შევჯექ.

— რა კარგი რამ არის ის რაში!

— თხუთმეტის წუთის შემდეგ, მე ერთს ადმართს შევუდექ. ვნახო, ცხენოსნები მოდიან: შენ შავს ცხენზედ იჯექ, ყორეი თავის წითელ ცხენზედ და ბებერი ლეი უკან მოგდევდათ ერთს დიდ რუსვს ცხენზედ... ხომ სადავ, ცხენების ფერიც კი არ დამვიწყებია. სამოცს ნაბიჯზედ რომ მოგიახლოვდით, უცებ თვალზედ ბინდი გადამეკრა... გიცანი შენ... უცბად აღვირი ამოვკარ ჩემს რაშს და ნაბრჯით წავიყვანე. ცხენოსნებმა გვერდით ამიარეთ... აი, ახლაც თითქო თვალ-წინ მიდგეხარ შენის თაგვის-ფერის ამაზონკით, შენის შავის შლიპით და შენის ლამაზის თმით, რომელიც ხუჭუჭ-ხუჭუჭად გა-

მოსჩანდა ბირ-ბადის ქვეშ... შენ რომ გაიარე, გულში ვსთქვი. ამ ბაწია ქალზედ ლამაზი ქვეყანაზედ ადარა იქნება-რა მეთქი... შენ რაღას ამბობდი შენს გულში?

— გულში რას ვამბობდი, ადარ მახსოვს. მაგრამ აი რა დამიწერია,

ყანა მოჭეკა კითხვას სმის კანკალით, რადგან «ბატარა განმარტებამ» ცოტა არ იყოს აღელვა:

— «დღეს მე ის ტყეში ვნახე. ჭენებით მოდიოდა, მაგრამ მე რომ დამინახა, უცბად შეჩერდა... ჰო. მე რომ დამინახა... სწორედ ესე იყო. მე ვიცი. როგორც უნდა გაჭენებული ცხენის შეჩერება... უნდა ნელ-ნელა გაჩერონ... იმან კი ერთის აღვირის ამოკვრით შეაჩერა, ერთს წამს, ერთს თვალის დახამხამებაზედ... ისლო გაგვიარა. ვერ გავბედე, შემეხედნა. მაგრამ კი ვიგრძენ, რომ ის მიყურებდა. ათს ნაბიჯზედ არ მოგვშორებოდა ჯერ, რომ სულელმა ყორყმა მითხრა—ყანა, ნახე, რა სასაცილოდ იყო მტვერში გათხუპნული, სწორედ მასხარასა ჰგავდა. ეგ ოც-და-მეერთე ბოლკის კაპიტანია; მუნდირის საყელოზედ 21 აკერია...

«საშინლად გული მომიკვიდა ყორყზედ... ნეტა არ გაეგონა იმას მაინც!»

— მე გავიგონე... ესლა მომაგონდა.

— აბა, ახლა შენ წაიკითხე...

* *
*

— «ოთხშაბათს, 25 მაისს. კიდევ ვნახე ჩემი უცნობი ქალი. ის ფერდობზედა სდგას. მე დროშკით გავიარე; ის ფანჯარასთან იდგა; დამინახა და მგონი იმიტომ მოშორდა ისე უეცრად ფანჯარას რომ მე დამინახა... მეტად უეცრად მოშორდა... ღმერთო ჩემო, რა ლამაზია!»

— ხედავ, ეხლა უფრო ლამაზად არის ნაამბობი წელიწადზედ. წარმატება ეტყობა... ზმნებსა ხმარობ... წერაც წერასა ჰგავს.

— ალბად იმიტომ რომ სიყვარული ჩამიკარდა გულში... ახლა შენ...

— «25 მაისს. მე ფანჯარასთან ვიდექი; ერთმა პატარა ლამაზმა ინგლისურმა დროშკამ ჩამოიარა, მზეზედ სულ ბრიალებდა, შიგ მელანსავით შავი შოტლანდიის ბონი ება, აუჩერთან ლამაზად ჩაცმული ლაქია იჯდა... ლაქიის გვერდით ... ს იყო, კაპიტანი... უნდა წყნარად ვმდგარვიყავ ფანჯარასთან, მაგრამ ვერ მოვასერხე. ჩემს გულში ვთქვი — ვერ მოვითმენ არ შევსედო-მეთქი და შევამჩნევს რომ იმას ვუყურებ. — შიშმა ამიტანა, შიგნით ოთახში შევიჭერ. ბებიამ მკითხა — ყანა რა დაგმართვია? — არაფერი, ბებია-მეთქი.

«ყორეი ჩემთან იდგა ფანჯარასთან და წამოიძახა: — ყანა, მგონი ეგ კაპიტანი, დროშკით რომ ჩაიარა, გუშინდელი მასხარაა.»

— მაშ მასხარა მე ვყოფილვარ, რადა.

— 26 მაისს არაფერი არა არის-რა. აი, თუნდა წაიკითხე; შენზედ არაფერია ჩაწერილი. «ჩემი ვარდის ფერი კაბა გავისინჯე. კარგად მადგა, მაგრამ ტვინიკები აკლდა. მოვამატებინებ და სხვ. და სხვ.» მარტო ჩემს ვარდის-ფერს კაბაზედ ვფიქრობდი. სომ ხედავ, ჯერ გატაცებული არ ვიყავ.

— ჩემთვის კი 26 მაისი დიდი დღეა. ეს არის ჩემის პიკოს დღე. ორის სტრიქონის მეტი არა ჩამიწერია-რა, მაგრამ ეს ორი სტრიქონი ბევრსა სჯობს: «პიკოს ოცი თვრანკი მიკეცი. ეს გამოცდილი დიპლომატია.»

— აი ესლაა განმარტება საჭირო.

— «დილით სასტუმროში ვისაუზმე. იქ ვკითხე ერთს ჩემს ამხანაგს, რომელიც მუდამ დასეირნობს ტუეში ცხენით: «ხომ არ იცნობ ერთს უმაწვილს-ქალს, რომელიც ცხენით დასეირნობს სოლმე ოორმეტის წლის უმაწვილთან და ბებერ მსახურთან ერთად-მეთქი?— მოიცა... ქალი ხომ შავს ცხენზედ არა ზისო.— ბებერი მსახური კიდევ რუსულ ცხენზედ — სთქვა მეორემ.— ბავშვი კიდევ წითელს ცხენზედ— დაუმატა მესამემ.» ჩამოვარდა ლაპარაკი ცხენების დირსებაზედ. წითელს ცხენს ძალიან აქებდენ და შავზედ კი ამბობდენ, ცოტა გალახულიაო.»

— მართალი უთქვამთ.

— მართალი კი უთქვამთ, მაგრამ მე მაინც ვუთხარი იმათ: „მე თქვენ არც რუსულ ცხენზედ გელაპარაკებით, არც შავზედ; მე ქალზედ გელაპარაკებით-მეთქი.“ სამთავ ერთბაშად მოიგეს, ჩვენ მარტო ცხენებს ვუყურებთ სოლმეო. საუზმეზედ კარგა დამიგვიანდა. მასუკან შინ მოვედი. სამს საათზედ დავინახე რომ ბიკო, ჩემი სალდათი, ეზოში დასეირნობდა. თანდრიდამ დავუძახე. ბიკო ბარიქელია ლ ეშმაკობაში გამოცდილი. მე ვუთხარი: «ბიკო, ერთი ჩუმად შემიტყე, ვინა სცხოვრობს იმ სახლებში, ფერდობზედ რომ სდგას. შესავალი არკადების ქუჩიდამ აქვს-მეთქი.—ბატონი ბძანდები, კაპიტანოო.—მაგრამ ხომ გესმის ჩუმად უნდა შეიტყო-მეთქი— მესმის, კაპიტანოო.— თუ შეიტყო რამე, სკვალ კაზარმაში მითხარ-მეთქი.»

— კარგი მომთმენი ბძანებულხარ. ვერ ეტყოდი, რომ მაშინვე დაბრუნებულიყო.

— მაინც ეგრე ჰქნა. ერთის საათის შემდეგ გამარკვევებული დაბრუნდა.... და ისეთი გასაკვირველი სიტყვა წარმოსთქვა, რომ წაგსალისდი და როგორც კი შეიძელ სრულად ჩავწერე ეს სიტყვა ჩემს წიგნში.

— «წავსალისდი!...» ცრუ-პენტელა! მართალი სთქვა, ის არა სჯობს... გატუდი, რომ გესიამოვნებოდა იმისთანა ამბის ჩაწერა, რომელშიაც ჩემზედ იყო ლაპარაკი და იქნება მეც გავტუდე რომ მეც მესიამოვნებოდა იმისთანა ამბის ჩაწერა, რომელშიაც...

— ჭო, კარგი გაგიტუდები!

— მეც გაგიტუდები... ახლა წაიკითხე.

— აი ვკითხულობ: «პიკო მოვიდა და მითხრა: — კაპიტანო, მე უველაფერი ვიცი, მაგრამ ამასა გთხოვთ, როცა დაიწყო, სხვა-და-სხვა კითხვებით სიტყვას ნუ გამაწყვეტინებთ, ამიტომ რომ აქ, გულში, დუღს, დუღსო! გზაზედ სულ ამას ვიმეორებდი, რომ არ შემშლოდა. ის სასლი სამის კვირის წინად პარიყელებს დაუჭერიათ. შიგა სდგას ინყენერი ლაბლინიერიო... ორთქლის მაშინების, ტელეგრაფების მკეთებელი. თავისთანა ჰყავს თავისი სიდედრი, ცოლი და ორი შვილი: ქალი ცხრამეტის წლისა და კაკი თორმეტისა... მოითმინეთ, მგონი სასელებიც ვიცოდი იმ ბავშვებისა... ჭო, ანა და ეორეკ... ძალიან მდიდრები არიან... საჯინიბოში ხუთი ცხენი ჰყავთ, სამი კარეტა სარაიაში უდგიათ, ოთხი ბიჭი ჰყავთ, ერთი მზარეული გოგო და სამი მოახლე: ჯულია, ადელინა... მაგრამ თქვენთვის საჭირო არ უნდა იყოს, კაპიტანო, გოგოების სასელები... ისინი სცხოვრებენ პარიყში ჭოსმანის ბულვარზედ, 28 სასლში, როგორ შევიტყე უველა ესა, ანა? მეკარესთან უბედობით... ნუ გამაწყვეტინებთ სიტყვას, ნუ... თორემ ავიარევი... მე ვსედავ, რომ ერთი რამ გაღონებთ, კაპიტანო. თქვენ გგონიათ, რომ სისულელე ჩავიდინე და თქვენს მაგიერ გამოვკითხე, ანა? სრულებითაც არა. თქვენს გულში ჰფიქრობთ, ამ სულელმა პიკომ ისე როგორ მოახერხა, რომ ლაპარაკი გა-

მართალ. ეს სრულებით ძნელი არ იყო, კაპიტანო! დიდი გამ-ჭრიახობა არ დამჭირდა... მეკარე კარის წინ იდგა. მე ნელ-ნელა წინ ჩავუარე, ვითომც უსაქმოდ დავესეტებოდი, რომ დავუპირდაპირდი, ასე ვოქვი:— უჰ, რა ცხელა მეთქი!... იმან მიპასუხა:— მართლაც რომ ცხელა... მე განვაგრძე:—მაგრამ გუშინდელსავით მაინც არა ცხელა-მეთქი... იმან მიპასუხა:— ჰო, დღეს უფრო ნიავია... ამით გავტეხეთ ნავსი; მოვუეგით ლაპარაკს; ის იყო გადავუხ-გადმოვუხვიე, რომ რაც მინდოდა, გამომეკითხა, ამ დროს ეზოში კიბეზედ ჩამოვიდა ერთი უმაწვილი-ქალი, მეტის-მეტად მშვენიერი და სელში ეჭირა, უკაცრავად ნუ ვიქნებით, კაპიტანო, ერთი დიდი ნაჭერი პური. მე ვკითხე მეკარეს, ეს თქვენი ქალ-ბატონი იქნება მეთქი?— არა ეს მდგმურის ქალია, პარიკიდამ არიანო... მომიყვა და სულ მიამბო, რაც ესლა მოგახსენეთ. აკი გეუბნებით, კაპი-ტანო ჩემის მსრივ ცდა სრულებით საჭირო არ იყო. თითონ მეკარემ მიამბო უველაფერი. ჯერ კიდევ ამაებს მიამბობდა, დავინახე, რომ ქალმა უკანვე შეიარა, მაგრამ პური კი აღარ ეჭირა ხელში. მეკარემ მითხრა:— აი ეს არის იმ პარიკელის ქალი. ყოველ დღე პურს აჭმევს საკინიბოში თავის ცხენ-საო...

«ქალი კიბეზედ ნელ-ნელა ადიოდა და თან მე მიყურებ-და. გაუკვირდა რომ იქ დამინახა. თითქო თავის-თავს ეკით-ხებოდა, ნეტა რა უნდა იმ „მსროლელს“ აქაო?... შებრუნდა სასლში... მეკარემ ძალიან მიქო ის ქალი და როგორ მიქო! ძალიან კეთილის გულისაა არამც თუ მარტო ცხენებისთვის, ადამიანებისთვისაცაო. აი რა მიამბო: სამის კვირის წინად რომ მოვიდნენ, მეკარის პატარა ქალი ავად ყოფილიყო თურმე... იქნება არ დაიჯეროთ, ის ქალი... უკაცრავად კაპიტანო... იქ-

ნება ეს ამბები თქვენთვის საჭირო არ იყოს... თუ საჭიროა, ბატონი ბძანდებით, გიამბობთ... იმას მოგახსენებდით; ის ქალი თურმე ყოველ დღე მოდიოდა მეკარის ქალის სანახავად, უგზავნიდა სხვა-და-სხვა საჭმელ-სასმელს; თავის ხელითვე მოჭრიდა სათამაშოები, კონფეტები. მთელი ნახევარ საათობით რჩებოდა თურმე მეკარეს ოთახში და უამბობდა ბევრს სხვა-და-სხვა ამბებს. მეკარე რომ ამას მეუბნებოდა, ერთი მოახლე შემოვიდა... უკვლრავად ჭი ნუ ვიქნები, კაპიტანო, და ძალიან ლამაზი მოახლე იყო. მოვიდა და ჭკითხა მეკარეს:— «ბატონის ქალისთვის წერილი ხომ არ არის - რაო?— არა არის-რა, თორემ კარგად იცით, მე მაშინვე ამომაქვს ხოლმე წერილებიო.—მე გავიფიქრე, იქნება ამ მოახლისაგან შევიტყო რამე-მეთქი. დავიწყე:—დღეს ცხელა მეთქი.—ჰო ცხელაო. —მაგრამ გუშინდელსავით მაინც არა ცხელა-მეთქი... აქაც ისევ გასჭრა ამ სიტყვამ, როგორც მეკარესთან... მოახლემ მკითხა ხომ არ იცნობთ კამუსს, ჭუსრების მეათე ბოლვის სალდათიაო... უბედობაში რომ ვიყავით, მოახლემ შეჭყვირა:—ვიიმე დამიგვიანდა, ბატონის ქალი მელისო!—გაგიჯავრდებათ ბატონის ქალი დაგვიანებისათვის, გაგლანძღავთ გარა მეთქი?—ჩემი ბატონის ქალი და გაჯავრება, გალანძღვა, ვის გაუგონია! იმისთანა კაი ქალი ქვეყანაზედ არ იქნებაო.

„მოახლე წავიდა და მეც რამდენსამე წუთს შემდეგ გამოვწიე, რა კი ვნახე, რომ მეკარეს მეტი სათქმელი აღარა ჭქონდა-რა. მხოლოდ ეს შევიტყე—იმ მოახლეს ჯულია რქმევია.“

— სულ ეგ არის?

— ეს არის.

— მაშ ჯაშუშებს მიუყენებდი?

— რა ვუყოთ. აბა, ასლა შენ წაიკითხე 26 მაისისა.

* * *

— აი ჩემი ამბავი. „ორშაბათს, 26 მაისს. შუადღის უკან ჩემს ცხენს ბური წაგუდე; კიბეზედ რომ ჩავდიოდი, დავინახე ვიღაც სალდათი ელაპარაკებოდა მეკარეს. ხუთს წუთს დავრჩი საკინიბოში. რომ გამოვედი კიდევ იქით შევიხედე; სალდათი ისევ იქ იჯდა... ავედი ჩემს ოთახში; ჯულია იქ დამხვდა. ოჰ, საშინელებაა, როდესაც ცნობის-მოყვარეობაში ჩავარდება კაცი! მე ვუთხარი ჯულიას:— ბარიყიდამ წერილს მოგელი; აბა წადი ჰკითხე მეკარეს, ხომ არ მოუტანიათ ჯერა მეთქი.., ჯულია წავიდა... გელი... ჯულია აღარ დაბრუნდა. შეველ ჩემს საწოლს ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოში გაიცქირებიან: დავინახე რომ ჯულია სალდათს ელაპარაკებოდა. ძლივს ძლივობით დაბრუნდა.— წერილი არაფერი არა გასალდათ-რა, ბატონის ქალოო —შენ კარგა ხანი დარჩი იქა-მეთქი.—არა, ბატონის ქალოო.—როგორ არა, რომ მე დაგინახე, ჭუსარს ელაპარაკებოდი-მეთქი.—ჭუსარს არა, ბატონის ქალოო.—მე ოითოან დაგინახე-მეთქი...— მე ჭუსარს კი არ ველაპარაკებოდი, მსროლელების ბოლკისა გასალდათო; განსხვავებაა იმათ მუნდირებში. ჭუსრებს თეთრი ბუზმენტები აქვთ და მსროლელებს შავი. ამას კარდა მსროლელებს წითელი საყელო აქვთო.— საიდამ იცი ეგ ყველაფერი-მეთქი.— მე ერთი ბიძა - შვილი მყავს, ჭუსრებში ემსახურებაო. აქ მხოლოდ მსროლელები სდგანან ორი ბოლკიო: 21 და 22-ე; ერთს ბრიგადას შეადგენენო, ის სალდათი ოც - და - მეერთე ბოლკის მსროლელი იყოო...

„ოც-და-მეერთე ბოლკისა! იმის ბოლკისა! ჩემს ლაპარაკს

ჯულიასთან ცუდი ბოლო ჰქონდა... ეძგს სასთუმალ მე და დედა-ჩემი წავედით ფეხდობზედ სასეირნოდ ძვეკითი. ორი მსროლელების ოფიცერი შემოგხვდა. დედამ მითხრა:— მშვენიერი ცხენები ყოფილ ამ ჭუსრებსაო. მე მოუფიქრებლად წამოვისროლე:—ეგ ჭუსრები კი არა, მსროლელები არიან მეთქი. ჭუსრებს თეთრი ბუზმენტები აქვთ და მსროლელებს შავი; ამას გარდა მსროლელებს წითელი საუე... სიტყვა ველარ გავათავე.. შეეხედე დედა-ჩემს... ის განცვიფრებული იდგა. სიიდამ იცი შენ ეგეებიო?... ალისფერი სახე დამედო.—ჯულიამ მითხრა, დედა; იმას ერთი ბიძა-შვილი ყოფილ, ჭუსრებში მსახურებს... ერთხელ, თავს რომ მვარცხნიდა...— კაი სალაპარაკო საგანი კი აგირჩევია, მითხრა დედამ... ამითი გავათავეთ... მამა დაბრუნდა პარიყიდამ; სტოლზედ დაგსხედით და სადილად მამამ გვიამბო, რომ რკინის გზაზედ ერთს ოფიცერს შეეხვდიო... იქნება ის იყოს... პოლკოვნიკს... არა, ეს ის არ არის! მამასა და იმ პოლკოვნიკს ერთად გაუტარებია მთელი ერთი წელიწადი; ერთად უთამაშნიათ ქალალდი. ესლა გაუასლებიათ ნაცნობობა. მამას სადილად დაუპატიჟნია მომავალ ოთხშაბათისათვის, 4 ივნისს. მე ვკითხე მამას—განა იმ პოლკოვნიკის პოლკი სენ-ყერმენში არის-მეთქი?— ჰო, იმის პოლკი აქ არისო — ოც-და-მეერთეა, თუ ოც-და-მეორე-მეთქი?—მაშ ორი პოლკია აქაო?—ჰო, მამა, 21 და 22 ერთად ბრიგადას შეადგენენ-მეთქი... ამ სიტყვებმა მამა უფრო მეტად გააკვირვა დედაზედ.—მერე კიდ გითხრა შენ ეგეებიო?—ჯულიამ მითხრა, მამა. იმას ერთი ბიძა-შვილი ყოფილ, ჭუსრებში მსახურებს... ნეტა ეს რა ამბავია— სთქვა დედამ— ყანა უკანასკნელს დროს სულ ჭუსრებზედ და მსროლელებზედ ლაპარაკობს.— იქნება ლამაზი ოფიცერი დაიგულა ვინმე—სთქვა ბებიამ... საშინლად

გავწითლდი. მოუთმენელად, თითქმის გაჯავრებულმა მივეცი პასუხი. თითქმის გული მოვდის იმ ვაჟ-ბატონზედ, რომელსაც არც ვიცნობ და არც თავის დღეში გავიცნობ. სწორედ გული მოვდის: რად შემოერია ჩემს ცხოვრებაში? რად მიუურებდა რკინის გზაზედ? რას ნავარდობდა ჩემის თვალწინ? ცხენი ნელა რად წამოიუვანა იმ დღეს, მე რომ დამინახა? მე რომ შემხვდეს, რამწამს ვიცნობ, მაშინვე ცხენს გავაჭენებ, ძალიან გავაჭენებ... მაგრამ ვაიმე რომ ჩემს ბებერს ცხენს გაჭენება ალარ ესერსება, დამიბერდა. მამა აკი დამშვირდა შენის დაბადების დღისთვის სხვა ცხენს გიყიდიო... ნეტა ვიცოდე, იმის პოლკოვნიკი ხომ არ არის, ოთხშაბათს, 4-ს ივნისს, რომ აქ სადილად გვეყოლება!

ეს იყო უკანასკნელი თრაზა 26 მაისის დღიურისა. მასუკან ათიოდ გვერდს გადასვლა თავის წიგნისას.

— 27 მაისიდამ 3 ივნისამდე არაფერია შენზედ, სრულებით არაფერი...

— შენზედაც არაფერია,— მიუგო ქმარმა— ამ რვა დღის განმავლობაში... ეს იმიტომ რომ სამწუხაროდ ამ ხანში ჩვენ ერთმანერთს არ შევხვედრივართ. მე აქ არ ვიყავი... ოციოდ ოფიცერი ორივე პოლკისა, ღენერალი და პოლკოვნიკები წასული ვიყავით მანევრებისათვის. ჩემი რაში თან წავიყვანე და იმ კვირის შენიშვნები სავსეა ჩემის ახალის ცხენის ქებით: „რაში უწუნო გამოდგა... ლონიერი, ცხარე და ჩქვიანი... გუშინ პოლკოვნიკი შეკვდა და ძალიან მოიწონა და სხვ. და სხვ.“ 3 ივნისს, საღამოს რვა საათზედ დავბრუნდით სენ-ყერმენში და ოთხს ივნისს... მხოლოდ ორი სტრიქონია ოთხის ივნისისა. არ დამვიწყებისარ, აი, სედავ... «ნეტა ვნახავ იმ პაწია ქერა-თმიანს ქალს, თუ არა?...»

— ეი ასლა ჩემი ოთხი ივნისი: «მე ვიცი იმისი სახელი. დღეს პოლკოვნიკი გვეკვდა სადილად... შვიდ საათზედ მოვიდა. პირველად იმის მუნდირის საყელოს შევხედე... 21 წელრია... იმისი პოლკოვნიკი ყოფილა. სადილზედ უბრალო საქმეებზედ ლაპარაკობდენ... მაგრამ სადილს უკან, სანამ ყავას ვუმზადებდი, მამამ უთხრა: პოლკოვნიკო, იქნება ერთი სიკეთე გამიწიოთო: მინდა ცხენი ვაჩუქო ამ ჩემს ქალს; იქნება იცოდეთ სადმე კარგი, ძალიან მშვიდი ცხენიო... მე ავიტკიცე...—ძალიან მშვიდიც ნუ იქნება, პოლკოვნიკო; მე ძალიან კარგადა ვზივარ ცხენზედ... (ეს მართალია, ძალიან კარგადა ვზივარ ცხენზედ)... ვნახოთ, მოვიკითხავ.— სთქვა პოლკოვნიკმა—ჰო, ერთს ოფიცერს ჩემის პოლკისას ჰყავს ერთი ცხენი, რომელიც ძალიან კარგი იქნება ამ ქალისათვის... იმ დღეს შეკვეკ... ჩინებული რამ არის...—ნეტა დამითმოს და კაი თასს მივცემო—სთქვა მამამ...— იმ ოფიცრისთვის თასი სულ ერთია. ის მდიდარია, ძალიან მდიდარია... ის არის კაპიტანი, სასელად დე-ლეონელი ჰქვიან.—კაპიტანი და მდიდარია!—წამოიძახა ყორეამ—იქნება ის ოფიცერი იყოს, იმ დღეს რომ ინგლისურ დროშაით ჩაიარა შავის პონით.—ჰო, სწორედ ის არისო.— ჩვენ იმას კარგად ვიცნობთ, მე და ჩემი და; რამდენჯერმე შეგვსვდა წინ... მე ვგრძნობდი რომ ლოუები ამეწვა, სწორედ ამეწვა... პოლკოვნიკმა შემომსედა... ალისფერი უნდა ყოფილვიყავი მაშინ... უეცველია შემამჩნია... ათ საათზედ კამოგვეთხოვა და წასვლაზედ მითხრა:— სვალ დე-ლეონელს მოგელაპარაკები, მაგრამ ვაი თუ ვერ ვაიმეტოს... მეტად უყვარს ის ცხენიო...

«ასეა საქმე? იმის ცხენი უნდა ვიყიდო? მამამ სამი ათასი ფრანკი გადასდო ჩემის ცხენისათვის.»

— 5-ს ივნისამდე მივედით. ეს დღე გადაწყვეტის დღეა... ფოტოგრაფთან რომ ვიყავით ასადღესასწაულოდ სურათის გადასაღებად...

— შენი პირველი მოსვლა ჩვენთან... აბა დაიწყე.

ისინი ერთმანერთს დაუასლოვდენ. ცოლი მუსლებზედ კი არ დაჯდა, იმის ფეხთით მოიკეცა და სანამ ის ქითხულობდა, მუსლებზედ ედო ალერსიანად თავი... ასე რომ კაპიტანმა, რომელიც მაღლა იჯდა, იგდო ხელში დრო და დაუწყო ცხარედ კოცნა ყანას. ყანა სულიდამ გამოუსხლტა, მაგრამ... მაშინვე კი არა...

— გაათავე, კარგი.— უთხრა ყანამ— გაათავე და დაიწყე.

კაპიტანმა დაიწყო:

* *
*

— «ხუთშაბათს, 5 ივნისს. დღეს დილით მოვდიოდით მანევრიდამ ნელის ნაბიჯით. პოლკოვნიკის ადიუტანტი მოვიდა ჩემთან და მითხრა, პოლკოვნიკი გიბარებსო. მე მივედ პოლკოვნიკთან, რომელიც ჯარის წინ მიდიოდა.— კაპიტანო, —მითხრა იმან თქვენ ახალს ცხენს ხომ არ გაჭვიდითო?— არა, პოლკოვნიკო-მეთქი.— კი ეასიც რომ მოგცენო?— არც კი ფასზედ მივცემ-მეთქი.— ერთს ლამაზს ქალს უნდა, რომელიც თქვენც გიცნობთო.—მეც მიცნობს მეთქი?— ჰო, რამდენჯერმე შეგხვედრიათ, ფერდობზედაც უნახავსართ... ერთის სიტუვით, ეტყობოდა, რომ გიცნობდათ... და ისიც შეკამჩნიე, თქვენი გვარი რომ წარმოვსთქვი გუშინ, ძალიან გაწითლდაო. —ვინ გახლავთ, პოლკოვნიკო.— ერთის ინჟენერის ქალია, ლაბლინიერისა.— ქერა-თმიანი ხომ არ გახლავთ-მეთქი?— ქერა-თმიანია.— ფერდობზედა სდგას?— სწორედ ფერდობზედ. ხომ ხედავთ, რომ იცნობთო.— მხოლოდ დამინახავს, პოლ-

კოვნიკო, მეთქი.— აბა კარგად იფიქრეთ, დაუთმობთ თუ არა ცხენს იმ ლამაზ ქალსა... ნახვამდის კაპიტანო...

«გავიდო ჩემი რაში? სხვას თავის დღეში არ მივიდი.. იმას კი... არ ვიცი... ძალიან ლამაზია... ჩემი სახელი რომ გაუგონია, გაწითლებულა... არა, პოლკოვნიკს მოსჩვენებია... რად გაწითლდებოდა? არა, რად გაწითლდებოდა?

«ჩემი და ლუიზა მოვიდა ჩემთან თერთმეტს საათზედ... მთხოვა ჩემს ბავშვებთან ისაუზმეო. დღეს სენ-ჟერმენის დღეობაა და ბავშვებმა მთხოვეს, საუზმის შემდეგ ბაზარში წავიდეთო.— თუ ფოტოგრაფი იქნება იქ, პორტრეთები გადაგვიღებინე, ბიძიაო, მითხრეს იმათ...— კარგი-მეთქი... ეოთვილა ფოტოგრაფი; შეკვდით იმის კარავში... ის იქ იყო... თანა ჭყავდა ძმა, დედა და ერთი დიდი შავი ძაღლი. იმის პატარა ძმა ძაღლს გვერდით მოსწოლოდა და ცდილობდა მშვიდად დაეწვინა:—ნუ ინძრევი, ბობ... შენი პორტრეთი უნდა გადავიღოთ... მაგრამ ბობი უურსაც არ იბერტყავდა, იმ ბავშვის თხოვნაზედ, ბავშვი მოთმინებიდამ გამოვიდა:—ყანა, შენ უთხარიო... შენის მეტისა არავისი ეშინიან.... ინგლისურად უთხარი; ინგლისური უფრო ეყურება ფრანცუზულზედაო.— რას ამბობ, ყორეყ, რას მასხარაობ.— ყანა, ჩემო ყანა... ყანა დათანხმდა, სასტიკად შეჭხედა ბობს და უთხრა ინგლისურად: —მორჩილი იყავ, ბობ! აქ შემომხედე, აგრე, ჩუმად იყავ, ჩუმად!... სწორედ შინებია ძაღლს იმისი... სრულებით გაჩერდა. რა მშვენიერი ხმა ჭქონია. სახე!... კარგად გავშინჯე იმ კარავში... სრული სინათლე იყო. სწორედ მშვენიერება ეოთვილა.»

— მოიცა, მოიცა... აბა, მაჩვენე.

— რად გინდა?

— მგონი შიგა და შიგ ასწორებ.

— რა სათქმელია... აბა წაიკითხე.

— ჰო, ვნახე, კარგი... მერე?

«რაში იმისი იქნება! წასვლის დროს უთხრა ჩემს დას (მგონი ხმა ცოტა უკანკალებდა):—უკაცრავად, რომ ამდენი ხანი გაცდეკინეთო... მე უნდა მეთქვა რამე... მაგრამ ვერაფერი ვერა მოვახერხე-რა. სწორედ სულელსავით ვიყავ გაჩერებული... თავი კი დაგუკარ... იმანაც დამიკრა ოდნავ... მერე გავიდა ფოტოგრაფის კარვიდამ.—რა მშვენიერი ქალია, მითხრა ჩემმა დამ.— მშვენიერი და კეთილ!... მოვუეკ იმაზედ ლაპარაკს... ვუთხარი ჩემს დას, ან სახელად რა ერქვა, ან სად იდგა... მამა ინყენერი ჰყავს, ძალიან ღირსეული კაცი-მეთქი და სხვ. და სხვ. მეეჭირვებოდა იმაზედ მელაპარაკნა... ჩემი და განცვიფრდა.— შენ შეყვარებული ხარ! მითხრა იმან.—შეყვარებული, არა.—სწორედ, სწორედ შეყვარებული ხარ... მაშ უნდა გამოვიკითხოთ... ლამაზი რძალი მეყოლება... მე გავაცილე ლუიზა რკინის გზამდე... არა, მე შეყვარებული არა ვარ... მაგრამ რაში იმისი იქნება. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს... მაგრამ არა, სიაში ისე ეწერა «ქალის უნაგირი სდგმია...» სიაში ხანდისხან ტუალეტები სწერია ხოლმე... საწყალი პაწია ქალი... რომ დაემართოს რამე!... შინ ერთი ქალის უნაგირი მქონდა. ხანდისხან ჩემი და და მე ერთად დავდიოდით ცხენებით... მე ვუთხარი პიკოს:— რაშს ქალის უნაგირი დაადგი და მეიდანზედ გაიყვანე, საბანიც წაიღე მეთქი... პატარა ხანს უკან პიკო შევხვი ქალურად რაშზედ; ფეხები საბანში გავუხვიე, ვითომ და ქალის ამაზონკაა. რაში ჭენებით წავიდა.— კაპიტანო, დამიყვირა პიკომ, ეს კარგადა ყოფილა გაწვრთნილი, ქალის უნაგირი სდგმია... მე თითონ მოკინდომე გამოცდა. მე თითონ შევჯექ რაშზედ. ჯერ ტარებით წავიყვანე, მე-

რე ჭენებით და მინამ ისე ვატარებდი და ვაჭენებდი, ჩემს გულში ვამბობდი: — როცა ვფიქრობ: იმიტომა ვარ ესლა ამისთანა უცნაურ მდგომარეობაში და სასაცილო ტანისამოსში რომ ორის კვირის წინად რკინის გზაზედ შევხვდი ერთს ქერა-თმიანს ქალს, რომელიც ინგლისურს რომანს ჭკითხულობდა!... არა, რაში სწორედ საქალოდ გაწვრთნილი ყოფილა... ეს იმისი იქნება!... კარგი, მაგრამ როგორ მიცნე? ის ემჯობინება რომ ეს ცხენი პოლკოვნიკს ჩავაბარო. არა, მე თითონ წავალ, ესლავე... წავედი... პიკო უკან მომდევდა და თან .რაში მოჭ-ყავდა... მივედით; შევედით ეზოში. მე შევხედე პიკოს, სახეზედ ეშმაკური ღიმილი მოსდიოდა; ალბად ჭფიქრობდა: — მაშ ამისთვის გამომაკითხვინა კაპიტანმა... ზარი დავაწკარუნე. — ბატონი ლაბლინიერი აქა ბძანდება მეთქი? — პარიკში ბძანდებაო. — ქალ-ბატონი? — ქალ-ბატონი კი აქა ბძანდებაო. — მიართვით ჩემი კარტიჩკა და მოახსენეთ, რომ ცხენის თაობაზედ მოველ მეთქი... ბიჭმა მოახსენა. კაი თუ ის იქ არ იყოს! შევედი... ის იქ იყო თავის დედით, ბებიით, პატარა ძმით და თავისი შაკი ძაღლიც იქა ჭყავდა. ადარ მახსოვს, მასუკან რა მოხდა. მე უნდა სულელური სახე მქონოდა. ეს კი მახსოვს რომ ლაპა-რაკი ჩამოკარდა მათრახებზედ და ალვირებზედ... მე მახსოვს, ვუთხარი რომ ცხენს რაში ჭქვიან ლ ერთი ან ორი კვირა გა-მოსაცდელად გეკადეთ მეთქი.. ფასზედაც უნდა მოგველაპარაკნა, მეტი გზა არ იყო. სიტყვები ამ დროს ტუჩებს მიწკავდა... მაშ საჩუქრად ხომ კერ მიცემდი. უნდა გამომერთმია იმისი ფული. ეზოში ჩავედით... იქ, რაშთან, იმისთანაკე სულელური, რეტიანი ლაპარაკი მოგვისდა, როგორც სასტუმრო ოთახში. უელში გაჩერებული მქონდა ეს სიტყვები: «შენ ანგელოზი ხარ და მე ჩემს ღმერთად გხადი» და ამის მაგივრად ვეუბნებოდი

«უნდა ცხენს თხუთმეტი გირვანქა შვრია ამლიოთ მეთქი» ბევრი სისულელე ვილაპარაკე. მე გუთხარი, ეხლა მომაგონდა, ეს ცხენი უფრო კარგად ჭამადავს მსუბუქს ტვირთს და თქვენს ხელში უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ჩემსაში მეთქი... ამისთანა სიტყვებით საძაგელს ჩაბეჭდილებას გიქონიებდი მასზედ. ბოლოს მე და პიკო წამოგვედით. თავი ისე დარეტიანებული მქონდა რომ მთელი გზა პიკოს ვესაუბრებოდი... რომ იმაზედ მეოქვა რამე. გული სასიამოვნოდ მიფანცქალებდა, როცა პიკო მეუბნებოდა:— რა ნაირად შემომხედა იმ ლამაზმა ქალმა... მგონი მიცნო. მაშინ კარგად დააკვირდა ჩემს სახეს, როცა მეკარეს ველაპარაკებოდი. ეგ ქალი ეოფილა, გაპიტანო, რომ ისე ტაბიდად მოჭქცევია მეკარის ავად-მყოფეს ქალსაო.»

— საწყალი პიკო! ისიც ცოტა რეულა ჩვენს ცოდ-ქმრობაში...

— რასაკვირველია, ერია. პირველმა იმან შემატყობინა შენი ვინაობა.

— მე კი შენის ვინაობისა არა ვიცოდი-რა ლ ისე უვინაობოდ შემიყვარდი! აი... ეური დაუგდე.

* * *

«ხუთშაბათს, 5 ივნისს. ერთი ამბავი მეორეს მოსდევს; ღმერთო, როგორ გათავდება ეს ეკალეფერი? მე იმისი ცხენი მყავს; რაში ჭჭვიან; ჩვენს საჯინიბოშია, ჩემსა და ეორეის ცხენს შეა. აბა პატარა აზრები დავიღაგოთ. რამდენი რამ მოსდა დღესა! ეორეამ საუზმის შემდეგ მითხრა:— ანა, იცი დღეს უნდა ფოტოგრაფთან წავიდეთ და ბობის პორტრეთი გადავაღებინოთო.— შენ და დედა წადით უჩემოდ მეთქი.— არა, თუ შენ არ წამოსვალ, ბობს ვერ დავაწვენთო... მე დავთანხმდი; წავედით, მივედით ფოტოგრაფთან. ბობი დაწვა თუ

არა, კარავში შემოვიდა... ვინა?... ისა... მარტო კი არა... ვიდაც უმაწვილს და ლამაზ ქალთან. ვინ უნდა იყოს ის ქალი? აი ორი ბავშვიც. ბიძას უმახიან... მაშ იმის და ყოფილა... ყორეემა ბობს ვერა გააგონა-რა; მე უნდა სასაცილოდ გავმხდარვიყავი იქ, იმის თვალ-წინ; უნდა თავი მომესულელებინა და ბობთან ინგლისური ლაპარაკი დამეწყო, მითომ და აი რა ჭკვიანი ძალი მყავს-მეთქი. იქიდამ სირცხვილისაგან გაწითლებული წამოვედი. შინ გულ-მოსული, გაკაპასებული მოვედი. შეეიკეტე ჩემის ოთახის კარები. ხუთს საათზედ უნდა ჩაისთვის ჩავსულვიყავ. ჩაგელ თუ არა, ბიერმა ერთი კარტიჩკა შემოიტანა.— ვინ არისო? ეკითხა დედა-ჩემმა.— ერთი ოფიცერი გახლავთ, მსროლელების პოლკის კაპიტანიო.— მსროლელების პოლკის კაპიტანი!... მე მაგისთანას არავის ვიცნობ. საზიზღულოდ იმიტომ წამოველ, რომ დამშვიდებული ვიყო და სალდათებმა საქმე გამიჭირესო! გუშინ პოლკოვნიკი!..... დღეს მსროლელების პოლკის კაპიტანი! ხვალ მთელი პოლკი მოგვაწყდება! რა უნდა იმ კაპიტანს!— ცხენის თაობაზედ გახლავთ.— აბა დახედე ამ კარტიჩკას, ყანა... რა დაგმართვია, რას გაწითლებულხარ!... სისხლი ხომ თავში არ აგივარდა?— არა, დედა.— მაშ აბა ეს წაიკითხე... ავიღე კარტიჩკა და წავიკითხე: «გრაფი როუერ დე-ლეონელი, 21 მსროლელთა პოლკის კაპიტანი.» გრაფი! გრაფი ყოფილა! ესღა აკლდა!— ლეონელი! წამოიძახა ყორეემა, ეგ ოფიცერი ყანას ცხენის გულისთვის მოსულა.— მართალს ამბობ, სთქვა დედამ, პოლკოვნიკმა გუშინ ეგ გვარი სთქვა... მამა-შენი რომ აქ არ არის... მაინც უნდა მივიღოთ... ბიერ, მოასსენე, შემობძანდეს... ყანა, შენ უნდა ელაპარაკო, თორემ, კარგად იცი მე ცხენებისა არა გამეგება რა... შემოვიდა... თავი დაგვიკრა... დედამ, ორიოდე თავაზიანის

სიტყვის შემდეგ, რომელსაც ბატონი მეტი ზდილობა ეჭირ-
ვებოდა, მითხრა: ყანა, შენის ცხენის თაობაზედ მობძანე-
ბულა ეს ბატონი; შენ მოელაპარაკეო... დავრჩით ორნი მარტო.
ლაპარაკის ტვირთი სრულად მე დამაწვა. რა კარგი რამ არის,
რა ზდილობიანი, რა ბისერა-მოხვრა აქვს! მე კი სულ სულე-
ლი ვიყავ, მტკნარი სულელი. მე ვგრძნობდი რომ აღარა მეს-
მოდა-რა, მიწასთან გასწორებული ვიყავ. აბა, იქნება მოვი-
გონო რა ლაპარაკი გვქონდა, რომელსაც ისეთი ტუდი აზრი
უნდა შეედგინებინა ჩემზედ. ორნი მარტოკა ვისხედით, ერთ-
მანერთის პირ-და-პირ. მადლობა ღმერთს, მე სინათლისგან არ
ვიჯექ.—დღეს პოლკოვნიკმა მითხრა, რომ თქვენ ცხენს ეძებ-
თო.— დიაღ, ბატონო, მამა მაძლევს ცხენს ჩემს დაბადების
დღეს-მეთქი... არა, რა სისულელე იყო ჩემგან! რაში ეჭირ-
ვებოდა ეს ამას?... იმიტომ მომივიდა ასე რომ აღელვებულს
სიტყვები დამებნა და რაც მომადგებოდა ენაზედ, ვამბობდი.
ამან მითხრა კიდევ —მე ერთს ცხენს მოგართმევთ და მგონი
სწორედ სათქვენო უნდა იყოსო.—პოლკოვნიკმა სთქვა გუშინ,
რომ ის ცხენი ძალიან გიყვართ ლ მე არ მინდა რომ...—მარ-
თალია, კარგი ცხენი გახლავთ და კარგი რომ არ ყოფილიყო,
ვერც შემოგბედავდით, მაგრამ ჩემთვის ცოტა სუსტია და მსუ-
ბუქს ტვირთს უფრო კარგად ატარებს.

«ტყუოდა, სწორედ ტყუოდა; თითონ პოლკოვნიკს გაე-
სინჯა და ძალიან მოსწონებოდა.., ლ პოლკოვნიკს კი ზიდვა
უნდა... ცოტა ტვირთი კი არ არის პოლკოვნიკი! საშინელი
სქელი რამ არის! ეს ფრაზა: «მსუბუქს ტვირთს უფრო კარგად
ატარებს» რა ლამაზად იყო ნათქვამი და რა ზდილობიანად!
ეს ის თქმა იყო: შენ სუსტი ქმნილება ხარ, მსუბუქი, ბუმ-
ბული, ჩიტი!... მერე დაუმატა: —ჩვენი საქმე ხანდისხან საშში-

მოა... ცხენი თქვენს ხელში უფრო ბედნიერი იქნებაო.... «თქვენს ხელში უფრო ბედნიერი იქნება!!!» ეს თვრაზა ნაზად, თითქმის ალერსიანად წარმოსთქვა. ესეც იმას ნიშნავდა: თქვენს ხელში ვინ არ იქნება ბედნიერიო. თქვენს ხელში ყველანი ბედნიერნი იქნებიან, ცხენებიც კიო!... იმაზედ ლამაზად მოლაპარაკე და თავაზიანი განა იქნება კიდევ ვინმე!...»

ყანამ უცებ შესწყვიტა კითხვა:

— შენ კი არა გრძნობდი, რა ლამაზად მელაპარაკებოდი?

— არა.

— ხომ ასე ჭეიქრობდი — მაინც?

— აგრე ვეიქრობდი.

— საქმეც ეგ არის... შემდეგს ვკითხულობ.

«მე, მადლობის მაგივრად, მკვახედ ვუპასუხე: — ჭე მივიღებ, ბატონო, თქვენს ცხენსა. როდის შემეძლება იმისი გასინჯვა მეთქი. — თან მოვიყვანე; და ქვეით გახლავთ და აქ დაგიტოვებთო. გახლდეთ გამოსაცდელად ერთს, ორს კვირას, რამდენი სანიც გნებავთ; ცხენს კი გასინჯვა ეჭირვებაო. —დიდად გმადლობთ, ბატონო, ხვალ გავსინჯავ და მაშინვე მამა-ჩემი პასუხს მოგართმევთ, მეთქი. — არა, ბატონო, ორისამ დღე მაინც იყოლიეთ, ვიდრე გადასწყვეტდეთო. ჩემთვის სულ ერთი არისო. — თქვენი ნებაა. დიდად მადლობელი გასლავართ, მეთქი...

«წამოდგა, თავი დამიკრა და წასვლა დაიპირა... ამ დროს დედამ სთქვა: — ყანა ერთს საჭირო საქმეზედ მოლაპარაკება დაგავიწყდა... ცხენის ფასზედაო... ოჰ, დედა-ჩემო, მე შენ მიყვარხარ სულით და გულით, მაგრამ ერთს წამს... ერთს წამს, მეტს არა... შენ მე მეჯავრებოდი! დედა სწორედ მართალს ამბობდა. იქნება ოთხი, ხუთი ათასი თვრანგი ღირდა... მე ცხე-

ნისთვის იმდენი არა მქონდა... მაგრამ ბირ-და-ბირ იმასთან თვასზედ ლაპარაკი, რა საზიზღარი, რა საშინელი რამ იყო!... მე ვუთხარი:—მართალა, ბატონო, მართალა... ღვთის მადლით ის წამოჭეშვილა:— ცხენი დიდის თვისია არ გასლავთო.— მამა-ჩემი სამს ათასს თრანკზედ მეტს არ მაძლევს ცხენისთვის, მეთქი.—სამს ათასს თრანკსაო! ჩემი ცხენი სრულებით სამიათას თრანკად არა ღირსო. მე მხოლოდ ათას ცხრასი თრანკი მივეცი და როცა ცხენს გასტემენ, ძვირად აიღებენ ხოლმე მიტემული თვასაო...

«მაშინ გულში გავიფიქრე: ვუფვარვარ, სწორედ ვუფვარვარ მეთქი. ის ცხენი გულითა ჭეფარებია და მე კი ნასყიდობის თვასზედ ნაკლებ მაძლევს მხოლოდ ჩემის სიამოვნების გულისათვის... მე შემკრთალმა ვუთხარი:—როგორ შეიძლება, რომ პატარა მოგება არ დაგრჩეთ, მეთქი.— ჩემი მოგება ის იქნება, რომ თქვენი სამსასყიდი შევიძლოო. ოღონდ ცხენი მოგეწონოთ და დარწმუნებული ბძანდებოდეთ მე და მამა-თქვენი ადვილად მოვრიგდებიო თვასზედაო...

«ამ სიტყვებზედ საერთოდ დაგვეკრა თავი, ბებიას, დედას, მე, ყორეს, ბობს, ეგელას. წავიდა კიდეც, მაგრამ კარის დირეზედ შეხერდა: სწორედ ეზარებოდა წასვლა.»

— მართალია, მეზარებოდა.

— «მე მითხრა, მინდა თქვენი კუჩერი დავარიგო, როგორი სადავე ისმარონ ჩემის ცხენისთვისაო... მაშინ ბებიამ... ოჭ, რა კარგი რამ იყო მაშინ ბებია... არა ჭვავს დედას, იმას რადი ეკავრება სამსელრო სამსასყიდის სალხი.. კარგი რამ იყო მაშინ ბებია... ასე სთქვა:—ჩავიდეთ ძირს, ყანა, ამ ემაწვილთან ერთად და ცხენი ვნახოთ... ლეი ეზოში იქნებაო.

«ჩავედით ძირს, ბებია, ყორეი, ბობი და მე... ცხენი იქ

იყო; ერთს მსროლელს ეჭირა ხელში; ზურგზედ ქალის უნაგირი ედგა. კაპიტანმა შეამჩნია, რომ გაკვირდი.—მე ქალის უნაგირი მაქვს ჩემის დისთვის, რომელიც ხანდისხან სენაერმენში მოდის ცხენით სასეირნოდაო. და რა კი არ მინდოდა რომ მცირედიც არის შეემთხვია რამე თქვენთვის, მე გავიუკანე ცხენი მოედანზედ და ჩემი სალდათი შევსვი ქალურად.

«მე შევხედე სალდათს: იმ დროს რომ მსროლელი ვნახე, მეკარეს რომ ელაპარაკებოდა, ის იყო. იმანაც მიცნო, მეც ვიცან. მე გავწითლდი. კაპიტანიც ტოტა გაწითლდა. მგონი მიხვდა რომ მე და სალდათმა ერთმანერთი ვიცანით... ეს კიდევ არაფერი. სალდათმაც ხმა ამოიღო და სთქვა:—კაპიტანიც შეჯდა ქალურად ამ ცხენზედ და საბანი ამაზონკასავით წამოიჩუღა. თითონვე უნდოდა გული დაეჯერებინა... კაპიტანი ისე გაწითლდა და მე ისე გავუკვირდი, რომ სალდათი შეხერდა, სისულელე ხომ არა წამოგრომე-რაო. ისე ავღელდი, რომ ტრემლები მომერია და წამოვილუღლუღე:—ოჰ რა კეთილის გულისა ბძანებულხართ, ბატონო, მეთქი!... იმასაც მითხრა:—მაშ როგორ უნდა მოვქცეულვიყავ, სწორედ აგრე უნდოდაო!... ბებია-ჩემი კი გამოცდილია და ჩუმად გვიყურებდა თავის პაწია თვალებით, რომელნიც ისე ნაზად და თან ისე ეშმაკურად გამოიცქირებოდენ. ღუი, ღვთის მადლით, მალე მოვიდა. ეზოში არ იყო და ყორეი წავიდა მოსაყვანად. მაშინ ღუის წინ კიდევ ლაპარაკი მოგრთეთ... ალარ მახსოვს, რაზედ ვილაპარაკეთ. იმან აგვიხსნა რომ ცხენს მაგარს სადაგეს ნუ გაუკეთებთო. მე გავაწყვეტინე სიტყვა...—ლაგამი ხომ არ უნდა მეთქი?—არა, ლაგამი კი არა, უბრალო ალვირი უნდაო... ალარ მახსოვს რალაც ნაირი ალვირი სთქვა... მერე ისიც

გვიამბო, რა უნდა ვაკეთოთ ცხენსა, ამა და ამდენი შვრია, ამ-
დენი ბზე, ამდენი თივაო. მერე თავი დაგვიკრა, წასვლა და-
პირა. მე ერთი ნაბიჯი წინ წავდგი. გაჩერდა. ძიელ მინდოდა
თავაზიანად მეთქვა რამე... მაგრამ ხმა ჩამიწყდა, სიტყვა ვე-
ლარა ვთქვი. ის იცდიდა და მეუბნებოდა: გნებავთ რამე, ხომ
არა გნებავთ-რაო? საშინელს მდგომარეობაში ვიყავი. უნდა
უპასუხელად მეთქვა რამე... ამის მეტი ველარა მოვახერხე-რა:—
უკაცრავად, რა ჭვრიან ცხენსა, მეთქი?— რაში, ბატონო.—
გმადლობთ მეთქი.—მშვიდობით ბძანდებოდეთო...

«წავიდა და თან სალდათი წაიყვანა, რომელმაც მსრით
ქალის უნაგირი წაიღო. ბიკო ჭვრიან იმ სალდათს. ყორეი და
ლეი საჯინიბოში შევიდენ. მე და ბებია მარტო დავრჩით. ბე-
ბიამ მითხრა: ყანა, წამო ბაღში გავისეირნოთო... იქ ბებიამ
ალსარება მითქმევინა ღ მეც ეველა ვუთხარი... ყიელა, ესე იგი
არაფერი, რადგან ჯერ არაფერი ამბავი იყო, თუმცა ეს არა-
ფერი რაღაც არის ბებიამ მითხრა:—სულელო, თავში მაგისთანა
ფიქრს ნუ ჩაიდებო...— მე თავში ფიქრი არაფერი ჩამიდგია,
ბებია, მე კარგად ვიცი, რომ ეს უცაბედი შემთხვევაა, ჭო-
შემთხვევა მეთქი... მაგრამ შენი ჭირიმე დედას არაფერი უთ-
ხრა მეთქი. დედა დამტინებს მხოლოდ; ის შენისთანა როდის,
იმას როდი უყვარს სამსედრო სამსახურის სალხი, მეთქი.—
მაშ მეო!—შენ, ვიცი რომ ისინი გიყვარან და ხშირად მით-
ქვამს ჩემს გულში ბებიას უსიამოვნოდ არ დარჩება, მე რომ
ოფიცერი შეკირთო მეთქი.»

«შინ შეკედით.— ძლივს არ მოსკვედითო, ეკითხრა დე-
დამ. ერთი მითხარით, რა ამბავი იყო. ეხლა მგონი სალდათე-
ბით სავსე იყოო.— სრულებითაც არა, დედა. მხოლოდ ის
ოფიცერი და იმის სალდათი იყვნენ მეთქი.—ის ოფიცერი კი

კაი გვარის კაცსა ჭვავს. ამას გარდა იმის კარტიჩკას რომ ჭკითხულობდი, უურადღება არ ახხოვე. გრაფი ეოფილა.— გრაფი მეთქი?— ჭო გრაფი, აი ნახეთ.— მე ვერ შევამჩნიე მეთქი...

„ასეთი ტოტხალი ტუეილი იქნება! დედა ძალიან მორ-ბილდა... კარგი დედა მეავს, მაგრამ ერთი სუსტი თვისება აქვს: ცაში აფრინდება მე რომ მარგიზის ან გრაფის ცოლი გავხდე. მე ამ ღირსებებს დიდად არად ვაფასებ. ვინც არ მეუ-კარება, ამით თავს ვერ შემაყვარებს; მაგრამ ვინც მიყვარს, ეს არ შემაძულებს.»

— გაათავე?

— გავათავე... მგონი საეოფი იყოს ერთის დღისათვის... ახლა შენი ჯერია.

* *
*

— «პარასკევს, 6 ივნისს. უნდა თავ-შენახულად მოვიქცე. დღეს მე ტუეში არ წავალ, არც ფერდობზედ. მოვიცდი.»

— «პარასკევს, 6 ივნისს. დღეს რაშზედ შევჯექ და მგონი ურიგოდ არა ვზიარ. საკვირველი ცხენია. ბებიას ჯერ ეძინა, როცა წავედი. დავბრუნდი თუ არა, შევედი მისასალმებ-ლად. რადასაცა სწერდა. ვერ გაიგო, კარები რომ გავაღე. მინ-დოდა შემეშინებინა და ხუმად მიეპარე.

— როგორც ეტეობა, ეგ ეოფილა შენი ჩვეულება...

— «ბებია წერილსა სწერდა, რომელიც ამ სიტუვებით იწ-ყობოდა: «პატივცემულო ღენერალო...» ამის მეტი ვერა და-ვინახე-რა. ბებიამ მაშინვე დამალა. მე მომაგონდა, რომ ბებია ერთს ღენერალს იცნობს, რომელსაც კაი ადგილი უჭირავს სამხედრო სამინისტროში. რადა დღეს მოაგონდა იმასთან მიწერა?! არა, რად დამიმალა! სადილს უკან ცხენის თო-

ბაზედ იდაპარაკეს; სვალ მამა პარიეში შეა-დღის მაშინით წავა. დილით დე-ლეონელთან მივა... კარები გაიღო. შემოვიდა პოლკოვნიკი... რასაკვირველია, კიდევ ცხენზედ მოჭეენენ ლაპარაკს, სვალინდელს ვიზიტზედ; მამამა სთქვა, ვწუხვარ რომ ხვალ დილითვე ვერ მივდივარ პარიეში, იქ საქმეები მაქვსო.— რადა სწუხდებითო, უთხრა პოლკოვნიკმა. მე ვნახავ დე-ლეონელს და მე თითონ შევასრულებ მაგ საქმესაო. თვასი ათას ცხრაასი თრანკია. იმას მოგება არა ჭქონდა გულში. ნახა რომ მე თქვენ გიცნობდით და ეცადა ზდილობიანად მოქცეულიეო, თავის პოლკოვნიკი ესიამოვნებინა... თქვენც შეგიძლიანთ მაგიერი კარდაუსადოთ და ამ დღეებში სადილად დაჭპატიეოთ. მაინც უარს იტუვის: მეტის-მეტი მიუკარებელი რამ არის,— არასად არ დადის; საღამოთი კარებს შეიკეტავს ხოლმე და მუშაობს.

«საქმე ასე დაიწყეს. ნეტა ვიცოდე უარს იტუვის? არა, არა მგონი.»

* *
*

— «შაბათს, 7 ივნისს. ცხრის ნასეკარზედ ჩვენ ჩამოვხტით ცხენებიდამ კაზარმებთან. პოლკოვნიკი მომიასლოვდა და მადლობა მითხრა იმის სიტუვის შესრულებისათვის; ასე ჭგონია იმის გულისთვის მოვიქეცი ასე. თვასი ორის სიტუვით გადავწუვიტეთ. პოლკოვნიკმა დაუმატა:—ამ დღეებში მგონი სადილად დაგპატიუებენ, მაგრამ ნუ გეეიქრებათ, შეგიძლიანთ უარი უთხრათ. მე ვუთხარი, რომ მიუკარებელი სართ.— პოლკოვნიკო მეთქი...—ტუვილია თუო? სრულებით არასად არ დადისართო.— მე მგონი მაგ დაპატიუებაზედ უარს არ ვიტუვი, პოლკოვნიკო...— აგი მივმსვდარვარ! ნასუიდობის კვალობაზედ მიეცით ცხენი, რაძელიც ორი იმდენი ღირდა და რომლის

გაცეშასაც სრულებით არ ავიწრებდით... ჭო, ლამაზი თვალები კი აქვს იმ ქალსა.—მართალი გახლავთ, პოლკოვნიკო. გაგიტყდებით, რომ ძალიან მომწონს ის ქალი!

«უეცრად წამოიტაცა... მესიამოვნებოდა იმაზედ ლაპარაკი... მარტო პიკო ჭეავდეს კაცს მესაიდუმლოდ, ცოტა ძნელია... ესკადრონის უფროსი მოვიდა და მოახსენა პოლკოვნიკს იმ კვირის ამბავი. ვიდრე პოლკოვნიკს უამბობდენ: ამა და ამ ცხენს წაიღი მოარტყესო, ესა და ეს სალდათი ღამე არ გამოცხადდაო, ამა და ამ ცხენს ცხენმა უკბინაო და სხვ.—ის მე ღიმილით მიცქერდა და თავის ჭკვიარა ულვაშს იგრეხდა. მოახსენება რომ გათავდა, პოლკოვნიკი წავიდა და გვერდზედ რომ ჩამიარა, მითხრა: — ნახავ, თუ გარეული არ მოაშინაურონო!...

«ჩინებული კაცია ჩვენი პოლკოვნიკი, მაგრამ მეტად უბედია. ჩემი საიდუმლო მაღე მთელის პოლკის საიდუმლო იქნება.

* *
*

— «შაბათს, 7 ივნისს. რა უბედურებაა! წუხელის სიზმარში ის ვნახე. მართალია გამბეტაც ვნახე, მაგრამ გუშინ მთელი სადილი იმაზედ ლაპარაკობდენ. ის უფროს ღენერალად დაენიშნათ... გამბეტი კი არა, დე-ლეონელი... მთელის საფრანგეთის ჯარის მბძანებელი ის იყო: სადღაც ძალიან გაემარჯვნა. გამბეტა მივიდა და უთხრა: თქვენ ბონაპარტე იყავით და ეხლა ნაპოლეონი სართო! გამბეტას უნდოდა თავზედ გვირგვინი დაედგა მისთვის, მაგრამ იმან ბავ-მდაბლად მიუგო: ბონაპარტობა მეყოფა, ნაპოლეონობა არ მინდაო... გამბეტამ უპასუხა: ეგეც საქებურია; უფლება მე დამრჩესო. რა სისულელეა სიზმარი, რა სისულელეა, რომ ამაებსა ვწერ!... დიდით რაშ-

ზედ ვიჯექ. სწორედ კარგია და კარგი. ის არსადა სჩანს; ალბად განგებ სჩადის. სალამოზედ პოლკოვნიკი კიდევ გამოცხადდა. ბიჭმა რომ მოახსენა იმის მოსვლა, დედამ ცოტა სახე შეიჭმუსვნა, თითქო უნდოდა ეთქვა: კიდევ ის სალდათებიო! პოლკოვნიკმა გვითხრა, რომ რაშის საქმე ათას ცხრაას თრანკად გაუთავებულიაო... მერე მიტრიალ-მოტრიალდა ისე, რომ მამა ბაღში გაიყვანა სიგარის მოსაწევად. თხუთმეტმა წუთმა გაიარა. დედას ეწუინა: — რა საქმე აქვთ მამა-შენს და იმ პოლკოვნიკასაო. თავშიშველა გავიდა, სურდო შეეურებაო. ქუდი წაიღე და უთხარ შემოვიდესაო... — ბატონი ბძანდებით მეთქი.

«ბაღში შევედ... პოლკოვნიკის სიტუვებს მოვკარ ყურიო: «სწორედ მარგალიტია, მე თქვენ გეუბნებით სწორედ მარგალიტიაო!» მერე: «სუ, გაფთხილდითო!» ლაპარაკი გადაასხვაფერეს. ეს ძალიან ამბავია! იქნება პოლკოვნიკის პირით მითხოვა კიდეც? ჯარში განა უვედა ასე უცებ მოხდება ხოლმე. ცოტა აჩქარებულა! ერთის ნახვის შემდეგ, რომელზედაც მხოლოდ თიკაზედ, ბზეზედ და შვრიაზედ ვლაპარაკობდით! პოლკოვნიკი წავიდა. მამას ფიქრიანი სახე ჰქონდა. თერთმეტს საათზედ, როცა დასაწოლად ვეთხოვებოდი და ჩემს ოთახში ასვლას ვაპირებდი, ორივ ხელი გამომართვა და მითხრა: — კმაყოფილი ხარ იმ უმაწვილის კაცის ცხენისა, თუ არაო?... — ძალიან კმაყოფილი ვარ... რო იცოდე რა რიგად შემიყვარდა ჩემი რაში მეთქი!...

«მგონი ეს სიტუვები მეტად ცხარედ, მეტის-მეტის ადტაცებით წარმოვთქვი. სულ მეშინიან არ გავამხილო ჩემი თავი. როცა იმის ცხენზედ ვლაპარაკობ, ასე მგონია იმაზედ

ვლაპარაკობ მეთქი!... რა ვქნა «მარგალიტი» ვინ უნდა იყოს, ისა, თუ მე?!»

* *
*

— «კვირას, 8 ივნისს. დღეს დილით ჩემის დისაგან ეს წერილი მივიღე: «მეტი აღარ შემიძლიან; ორს დღეს ორმოცამდე ვიზიტი გავაკეთე. ლაპარაკში შეეაპარებდი ხოლმე ამ ფრაზას—ხომ არ იცნობთ ლაბლინიერის ოჯახობასა მეთქი?— ხუთგან თუ ექვსგან ამისთანა კაი პასუხი მომცეს; ხალხი ძალიან კარგია. კარგა ფული აქვთო. ფული თავის დღეში მეტი ქონება არ არის. მერე სინიდისიანად მოგებული ფულიო. ქალზედ უფალა ერთისმად იძახის: სწორედ ანგელოზიაო! თუ გული გეუბნება, წინ წადგი ფეხი, ჩემო კაპიტანო.» გაოცებული დავრჩი. მაშ ეტყობა შეეკარებული ყოფილვარ. ჩემს დასაც შეუნიშნავს. ექვს საათზედ იმის მამისაგან პატარა ბარათი მომიგიდა. ოთხშაბათს, 11 ივნისს, სადილად მპატიჟობენ. პოლკოვნიკმა კაი მითხრა, «ამ დღეებშიო.» ესლაგე უნდა მივცე პასუხი? არა ხვალ მივცემ.

— «კვირას, 8 ივნისს. დღეს დილით ადრე ქვეით ჩავედი. პოსტალიონი კიდეც მოსულიყო. დერეფანში იოდნოსზედ ბევრი წერილები ეყარა. ჩემთვის არა იყო-რა, მაგრამ ერთი იყო ბებიას სახელზედ. დიდი წიოული ბეჭედი აჯდა; კონვერტზედ ეწერა: «სათვრანგეთის რესპუბლიკა. სამხედრო სამინისტრო». ვინ იცის იქნება ჩემი ბედი ამ წერილშია?! დარწმუნებული ვარ, რომ ბებიამ იმის ამბავი მოიკითხა. ვიღაც მსახურმა გამოიარა. ქურდსავით გავიპარე. ათი საათი შესრულდა. ბებიას უნდა ჭიეიძეობდა; თავის წერილს წაიკითხავდა. მე ავედი იმასთან.— ოჰ, პაწაწკინტელა, აქა ხარო... ძალიან მსიარულად იყო ბებია:— მომეხვია და კვლავინდებურზედ უფრო

ლამაზად გადამკოცნა. ოჰ, რადაც უსარიან ბებიას, რადაც უსარიან; მოხვევნაზედ ეტყობა... იმ ღენერლის წერილს გაუხარებია... დღეს კვირაა; მამა პარიაში ადარ წავიდა. საუზმის შემდეგ ბებიამ უთხრა: შენთან სალაპარაკო საქმე მაქვსო.— მეცაო... ორნიგ მეორე ოთახში გავიდენ. რად გავიდა ბებია მეორე ოთახში? თუნდა დავითვიცავ, რომ ღენერლის წერილის საჩვენებლად... საშინელი პატრიოტია ბებია-ჩემი. რამდენჯერ გამიგონია იმისაგან რომ სამეფოდ სამსახურისთანა ჩისებული სამსახური არ არისო და დამნაშავენი არიან ის დედები, რომელნიც თავიანთ ქალებს თავის მოუკარეობის გამო ოფიცრებს არ აძლევენო. ბებიას საშინლად ეჯავრება ის ვაკ-ბატონები, რომელნიც მხოლოდ ამით იჩენენ თავს, რომ გაზათხულზედ ბევრს მტრედებსა ჭხოცვენ და შემოდგომაზედ ბევრს ხოსებს. დედას კი ძალიან უყვარს იმისთანები, რომელთათვის ღმერთს ათი თითი მხოლოდ ამ მაკრინველების დასახოცად მიუცია. დედასა და ბებიას ხშირად მოსდით ხოლმე ამ საგანზედ ლაპარაკი. ძლივს, დღემ გაიარა. საღილზედ მამამ თქვა:—ძალიან თავაზიანად მოგვექცა ის უმაწვილი ოფიცერი; ოთხშაბათისათვის საღილად დავპატიჟეო; ჰ ისე თქვა, ვითომ აქ არაფერი ამბავიაო.—ოთხშაბათისთვისაო! წამოიძახა დედამ... რატომ ეგრე აჩქარებულხარ?... ახლა ყველა ოფიცრები გინდა შემოიჩვიოო... ის, ბართალია, კაი უმაწვილი კაცია, მაგრამ იმას ახლა სხვები მოჭყვებიანო.»

***

— «ორშაბათს, 9 ივნისს. სწორედ გამოვსულელდი. დღეს მთელი ერთი საათი ვწერე რვა პატარა სტრიქონი, რომელშიაც ვმადლობდი დაპატიჟებისათვის და წასვლას ვატყობინებდი. ათჯერ, ოცჯერ მეტად ხელახლავ დავიწყე წერა და რაცა

წერილი გავგზავნე, მხოლოდ მაშინ მოვაგონდა რომ ორჯერ ჩაეწერე სიტყვა «სიამოვნება» იმ რვა სატოდავს სტრიქონში.»

* *
*

— «ორშაბათს, 9 ივნისს. მიიღო დაპატიჟება! დღეს დილით საუზმესა ვჭამდი; პურის საჭმელ ოთახის ფანჯრებიო ეზოში გაიცქირებიან... დედამ უცებ შეჭვირა...— კიდევ ვიღაც სალდათი დაეხეტება ეზოშიო!... გავისედე და წამოცდა: — ეგ პიკოა მეთქი! უნდა გენახათ, დედა – ჩემს რა სახე დაედო: — გეტყობა, ყანა, შენ ეხლა ყველა სალდათების სახელები იცი.— მარტო ერთისა ვიცი... ეგ ის არის, იმ დღეს რომ რაში მოგვარა მეთქი... ბებიამ ბევრი იცინა... რა მხიარული რამ არის ბებია! დღეს დილით, კიბეზედ მღერიდა! ეტყობა ძალიან კარი ამბავი მიუღია!... საუზმის შემდეგ იმისი წერილი ჩავიგდე ხელში... რა უბრალოდ და თან ლაზათიანად არის დაწერილი. აი ის წერილი სიტყვა სიტყვით: «მოწყალეო ხელმწიფევ! მე მივიღე თქვენი წერილი, რომლითაც ნებულობთ ჩემს დაპატიჟებას ოთხშაბათს, 11 ივნისს. დიდის სიამოვნებით მივიღებ თქვენს დაპატიჟებას და დიდს მადლობასაც განგიცხადებთ. ძლიერ მესიამოვნა რომ თქვენს ქალს ცხენი მოსწონებია.. თქვენი ღრმა პატივის-მცემელი...» განგებ გაუმეორებია სიტყვა «სიამოვნება...» იცოდა რომ მე ვნახავდი იმის წერილს... იმიტომ ჩასტიებია ამ სიტყვას.»

* *
*

— «სამშაბათს, 10 ივნისს. ხვალ იმასთანა ვარ სადილად.»

— «სამშაბათს, 10 ივნისს. ხვალ ის აქ არის სადილად.» აი მივედით სადილის დღემდე. შენი ჯერია სადილის ამბავი.

— მოდი, ყანეტა, დღეს აქ გავჩერდეთ. აბა, ნახე რამდენი საათია?

— ორი საათია დილისა.

— ჰო, ორი საათი ყოფილა. ეს ჯერ პირველი საბუთია, რომ ამაღამ გვეყოფა... ამას გარდა იმ დღეს იქით ჩვენი წიგნები მეტად ერთფერნი იქნება. იქნება ლაპარაკი სიყვარულზედ. კიდევ სიყვარულზედ, სულ სიყვარულზედ. ამაზედ მეტი არა იქნება-რა... ჩემში მაინც მარტო ეგ არის.

— ჩემშიაც ეგ არის მარტო.

— არის ლაპარაკი სიყვარულზედ ჩვეულებისა-მებრ; ერთმანერთისადმი ნასვის თავისუფლობაზედ კ კიდევ სიყვარულზედ. ერთმანერთთან ლაპარაკის თავისუფლებაზედ და კიდევ სიყვარულზედ... მასუკანაც, რაც ახლა გნახე, როცა გიცან სრულად რაც იყავი, რაცა ხარ, არის ლაპარაკი ამაზედ, რომ შენ ყველა ქალებზედ ლამაზი და კარგი ხარ. ხომ ხედავ ჩვენის რომანის საუკეთესო, საგანგებო დრო დასაწყისი თუ. ჩვენ ერთმანერთი თითქო წინად—გრძნობით გვიყვარდა, შორეულად, პირველის დანახვიდამეე: არც ერთმანერთთან ლაპარაკი გვეკბილებოდა, არც ერთმანერთის გაცნობა. მე მაინც პირველადვე შენს თვალებში ამოვიცან შენი სული. 11 ივნისიდამ, სადილის დღიდამ, 17 აგვისტომდე, ჩვენის ქორწილის დღემდე, ბევრი რამ ვუთხარით ერთმანერთს; ბევრი ტკბილი და ალერსიანი სიტყვა გავაგონეთ, მაგრამ, ჩემო ყანეტა, ჩვენში იმისთანა ტკბილი და ამაღელვებელი ლაპარაკი არასად ყოფილა, როგორც ის უმნიშვნელო სიტყვები ეზოში, საკინიბოს ახლო, ბობისა კ პიკოს წინ. ისე მიცემდა იმ დღეს გული, რომ გსთქვი, ეს არის ჩემი ბედი გადაწყდა მეთქი. იმ ეზოდამ გულ-დაჯერებული გამოვედი, რომ შენ ჩემი იქნები და მთელს ჩემს სიცოცხლეს იმას ვეცდები, ბედნიერი გამეოფო... აგერ ორი წელიწადია მას აქეთ... დღემდის ხომ ავასრულე ჩემი სურვილი?

— ასრულე, ჩემო კარგო, ასრულე!...

ქალი ქვეით ადარ იწვა... ის იჯდა იმის მუხლებზედ... რგეულები გვერდზედ ეყარათ და იმ დღეს მეტი ადარ უკითხავთ.

# თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი.

(შემდეგი *)

## IV

### გაიოზი პოტემკინის სიახლოვეს.

### (1783—1793)

არხიმანდრიტი გაიოზი დიდი ხანი არ ყოფილა რექტორად თელავის სემინარიისა. ესე უნდა ვიფიქროთ, თუ მივიღებთ, რომ ესეც სხვებთან დაესწრო გიორგიევსკში, როდესაც ირაკლი მეორის და ეკატერინე მეორის ვექილებმა ხელშეკრულობა დასდვეს. ესე ჰფიქრობს არხიმანდრიტი ნესტორიც (საქ. რ. სასულ. მახარებელი 1865 წ. რუსული განყოფ. გვ. 114). ბლ. იოსელიანიც სწერს, რომ თელავის სემინარიის რექტორად ყოფილა დავით ალექსიევი 1784 — 1799 წლამდე, მაშასადამე გაიოზი შეიძლება რექტორად ყოფილიყო 1783 ანუ 1784 წლამდის (Икортскій монас. въ Картал. П. Іоселіани გვ. 87 და სასულ. მახარებელი, ნოემბერი 1865 წ.) თუ რომ მართლა გაიოზი მესამე ვექილად იყო (საქართ. ეკლესის მსრით),

*) «იგერია» № 8, 1881 წ.

რატომ ამას ხელი არ უწერია ხელ-შეკრულობაზე და ან ამის შემდეგ რაღად დარჩა რუსეთში? რა თქმა უნდა, რომ ამის აზრსაც მოქმედება ექნებოდა საქართველოს ვექილებზედ, ხელ-შეკრულობაზე საუბრის დროს, მაგრამ, ვგონებ, გაიოზი უმეტესად იმისთვის დაესწრო თათბირის დროს, რომ იმან რუსული იცოდა, რუსები ამას უფრო გულს ანდობდენ, როგორც რუსეთის აკადემიაში ნასწავლს და ამას უფრო ჩქარა მიიმხრობდენ, ვიდრე სხვებს, რომელთაც რუსული ენა არ იცოდენ და რომლებთანაც მსოლოდ მოენის შემწეობით შეიძლებოდა საუბარი. ამითვე შეიძლება ავხსნათ გაიოზის დაახლოება მაშინდელ რუსეთის ხერხიან დიპლომატთან, გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტემკინთან, რომელიც ხელ-შეკრულობის დროს იყო ვექილად რუსეთის მხრივ, ხოლო ჩვენიდგან — თავადნი ივანე ბაგრატიონი და გარსევან ჭავჭავაძე.

გაიოზი ხელ-შეკრულობის გათავების შემდეგაც პოტემკინის მახლობლად სცხოვრებდა. ჩვენ ვიცით, რომ 1783 წ. ეირიმი შეერთდა რუსეთთან. ამ ახლად შეძენილ ქვეყნის მმართველობა მიენდო გენერალ-გუბერნატორს ნოვოროსიის სამფლობელოისას თ. პოტემკინს, რომელიც ერთგულად შეუდგა თავის უწყებაში მეოთე ადგილების განკეთილებას. პოტემკინის სურვილით მასთან მახლობლად სცხოვრებდა არხიმანდრიტი გაიოზი. ამავე დროს, სახელდობ 1785 წ., გაიოზი დაინიშნა წევრად ოსეთის კომისიისა (Осетинс. комис.) რომელიც დაწესდა მოზდოკში 1760 წ. მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გასავრცელებლად მთის ხალხში. აქვე გაიხსნა სკოლა ახლად მონათლულ ოსების უმაწვილების სასწავლებლად 1765 წ. ამ დროდგან ეს ქალაქი ისე გაკეთდა, რომ 1785 წ., როდესაც ეკატერინოვრადი შეიქნა სანამესტნიკო ქალაქად, მოზ-

დოკი დაიდო სამაზრო ქალაქად და ამას ეს დირსება არ მოჰკლებია 1842 წლამდის. თუმცა გაიოზი ოსეთის კომისიის წევრად დაინიშნა 1785 წ., მაგრამ 1783—1791 დროს განმავლობაში, როგორც შეიძლება ვიფიქროთ მიტროპოლიტის იონას მოთხრობის მისედულობით, არხიმანდრიტი გაიოზი განუშორებლად ანუ მახლობლად უნდა ყოფილიყო თ. პოტემკინთან, თუმცა ჩვენ გაიოზზე 1782—1789 წ. ნამდვილი არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ 1789 წელს იკლისის თვის განმავლობაში სტხოვრებდა პოლტავის გუბერნიის ქალაქს კრემენჩუგში, როგორც ესა სჩანს თვით მისგანვე გადაწერილის წიგნისაგან ჯ 1790 წ. ის შესვდა მოლდავიის ქალაქს იასაში მიტროპოლიტს იონას, რომელიც მივიდა მაისში, 1790 წელს.

«მოვიდა, სწერს იონა მიტროპოლიტი თავის მოგზაურობაში, იმერეთის მეფისაგან გამოგზავნილი დესპანი ანუ ელჩი, ბესარიონ გაბაონი და სვიმონ ბიძის მისისა ძე, და ვკითხე ამბავი მოსვლისა მისისა ქვეყანასა ამას და მომითხრა ყოველივე: უგანათლებულესის პოტემკინის აქა ყოფნა და არხიმანდრიტი გაიოზის, მეფის ირაკლისაგან გამოგზავნილის მდივანი სულხანის, და ასევე დესპანი თუმანოვი და სხვანი მრავალნი. არა მოვიდა გაიოზ და ვნახეთ ერთმანერთი, გარდავეხვიენით. იტირა არხიმანდრიტმა გაიოზ და ვკითხე: რისთვის სტირი, მამაო და ძმაო? მიპასუხა: სადა ვარ თო და სად შევიყარენ ითო? სადაობა და ვინაობა სულთ-ითქვნა და მეცა მასულთქმა» (გვ. 111). აქ იყო ამავე დროს ამბროსი არხიეპისკოპოზი პოლტავისა ჯ ეკატერინოსლავლისა ჯ ექსარხოსი მოლდავო-ვალახისა, იონას შენიშვნით, «ყმაწვილი-კაცი და ბრძენი» (გვ. 30).

როდესაც თ. პოტემკინს შეეტყო იონა მიტროპოლიტის იქ ყოფნა, ებრძანებინა ამბროსისთვის: «ქართველი არქიელი მოსულა, და გვირას თან-წამოიყვანე (ამაღლების დღე იყო იმ გვირას) და ერთად მოდითო. შაბათს კაცი ებოძა ამბროსი არქიელსა: გნიაზს შენი ნახვა ნებავს, სვალ ჩემი კარეტა მოგერთმევა, დილაზედ მოდი, წირვა მოისმინე და შემდგომად წირვისაჴ წარვიდეთო...» «უამსა ამას, სწერს იონა, გაიოზი ჩემთან იყო და შეეჭცეოდა რომელსამე ისტორიის მოთხრობასა და გიხილეთ კაცი იგი მომავალი ამბროსი არხიეპისკოპოსი-სა. კაცმან მან გამოგვიცხადა, სვალ აქ მონასტერში წირვაა. მსწრაფლად მიეგება გაიოზ არხიმანდრიტი და აღმოიღო ქისა თეთრისა თვისისა და რაიცა იყო ქისასა მას შინა, ხელში ჩაუდო და გამობრძანდა სიხარულის პირით და ცრემლ-მორეული და გუთხარ: რაისთვის მიეც? უამსა წირვისასა შეგვედით მანტიით ეკლესიასა შინა. მითხრა გაიოზ არხიმანდრიტმა: როგორც მინახავს წირვა შენი, ისე სწირეო და ძალითა ღვთისათა აღვასრულე წირვა და შემდგომად წირვისა ამბროსისთან ზაკუსკა (საუზმე) მივიღეთ და სადილი ექსარხოსთან მოლდავალასისა და შემდგომაც ვსწირეეთ.» (მგზავრობა იონა მიტროპ. გვ. 118).

ამის შემდეგ მოვიდა პეტერბურღიდგან თ. პოტემკინი. ამავე დროს იასაში მოვიდა ლათინთა არქიელი ლ სწირა თავისი ტერემონიით. მათის მისედულობით გნიაზმაც აწირვინა ამბროსის. «თვით მობრძანდა უგანთლებულესი, დაარიგა დილით: ასე წამოდით, ასე მოიქეცითო.» ამბროსისთან იყვნენ თანამწირველნი მიტრ. იონა, არხიმანდრიტი გაიოზ და სხვ. პოტემკინმა წირვის დროს თვით შეიყვანა ლათინთა არქიელი და ცდილობდა რუსული წირვა მოეწონებინა ამისთვის. სამ-

ღვდელოსათვის ახალი შესამოსელი დასამზადებინა ამ დღისათვის. წირვის შემდეგ ეკლესიის კრებული საუზმეზე იყო კნიაზთან. «მერე, სწერს იონა, წარმოვედით სახლსა ამბროსი არხიეპისკოპოზისასა ჯ ამბროსიმ გვისტუმრა ქორ-დაგებული ცერემონიითა, ვითა დღესასწაული (ვგონებ, სიტყვით «ქორ-დაგებული» იონას უნდა გამოსატოს სტოლზე გაშლილი სუფრა) შემდგომად აღებისა წინადადებულისა, წარვიდნენ (სხვანი) და დავრჩით ჩვენ და რამდენიმე არხიმანდრიტნი. გაიოზი დადგა და თაყვანისცა არქიელს ამბროსის: ამისი მადლობა არ შეიძლებინო, ჩვენის ქვეყნის პატიოსანმა რომ მოიღე, და ჩვენი არქიელი თავ'ს დაუყენე ბერძნის მიტროპოლიტს იერუპოლისა. მე გაიოზს დიდად თავის ქვეყნის ერთგულობა ჩამოვართვი და ჩემზედ კეთილ გულ-მოუვარებად. ამბროსიმ უგო პასუხი: ხრისტე რადა გაიე არხიმანდრიტო, იონა მიტროპოლიტი არს მოხუცებული და იერუპოლეის დიდად უმწეოლი. შემდგომად ამისა მოვიდა შიკრიკი შვეთზედ გამარჯვებისა და მეის თანად შერიგებისა... მცირედისა შემდგომად აიღეს ქალაქი და ციხე იზმაელისა.» (იზმაელის ციხე აიღეს თ. პოტემკინმა და კუტუზოვმა 11 დეკემბერს 1790 წ.)

ერთი სიტყვით, მინამდის პოტემკინი ცოცხალი იყო, ჩვენ ვსედავთ არხიმანდრიტს გაიოზს, რომ ეს მის მასლობლად სცხოვრებდა. მაშასადამე გაიოზს უნდა ეცხოვრა მასთან მხოლოდ 29 დეკემბრამდე 1791 წ., როდესაც გარდაიცვალა ხსენებული თავადი, გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტემკინი. პოტემკინი, როგორც დასხლოვებული და საყვარელი გვამი იმპერატრიცა ეკატერინე მეორისა, გაცნობდა გაიოზსაც თავის მოვარგელს. მართლაც ამის შემდეგ იმპერატრიცამ ჩქა-

რა მიაქცევა მას თავის ყურადღება. 1793 წ. უბოძა მას ოქ-
როს ჯვარი ძვირფასის ქვებით, იაგუნდით და ბრილიანტით
მოჭედილი.

## V

### გაიოზი მოზდოკის კათედრაზედ.

### (1793—1799).

ამავე წელს 12 მაისს დაინიშნა ახლად დაარსებულს
მოზდოკის კათედრაზე და ეკურთხა ეპისკოპოზად 29 მაისს
პეტერბურღში. იწოდებოდა ეპისკოპოზად მოზდოკისა და
მაყარისა და იყო უფროს ბირად სასულიერო წოდებაში მა-
შინდელ კავკასიის მხრის; ყველა ქალაქებისა და სოფლებისა,
ახლად ნაკურთხს ეპისკოპოზს ეკატერინემ უბოძა 5000 სუთ-
მანეთიანი ოქრო. (შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაიოზის ეპის-
კოპოზად კურთხევაზე დასწრებოდა იმპერატრიცა ეკატერინე
და არა არხიმანდრიტად კურთხევაზე. როგორც სწერს მღვდელ-
მონაზონი ნესტორი. (საქართ. სასულ. მახარ. 1865 წ. იანვა-
რი, რუსული განეოფილების 114 გვ.))

გაიოზი დანიშნა უმაღლესმა მთავრობამ, როგორც ოსუ-
ბის კომისიის წევრად, ეგრეთვე მოზდოკის უპირქიის მწყემსთ-
მთავრად, იმის მიხედულობით, რომ ეს იყო საქართველოს
შვილი, გაზდილი კავკასიაში, მთის სალსთან მახლობლად
მცხოვრები, მცოდნე მთის სასიათისა და ჩვეულებისა. გარდა
ამისა იყო ნასწავლი რუსეთის აკადემიაში და რუსეთშივე კარ-
გა ხანს ნამყოფი, და მაშასადამე ყველა მხრით ეს ღირსი

უ ამისთანა ეკლესიებისა, ნდობისა და წარმატებისა. ამისთვის თვით იმპერატრიცა სელს უწყობდა ამას ახალ მინდობილების კეთილად აღსრულებისთვის. თვით უწმინდესმა სინოდმა მისცა მას სასელმძღვანელოდ დარიგება—უქაზი—იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს, როგორც ოსეთის კომისის შესახებ, ეგრეთვე თავის ეპარქიის წარმატებისათვის.

უსარგებლო არ იქნება, რომ ამ უქაზის შინაარსი შეკიტეოთ. ამ სინოდის უქაზით გაიოზს მოეთხოვებოდა შემდგომი:

ა) როგორც გაიოზს, ეგრეთვე მისგან გაგზავნილ მქადაგებლებს სასელ-მძღვანელოდ უნდა ჰქონოდათ ის ინსტრუქცია, რომელიც უწმინდესმა სინოდმა მისცა ოსეთის კომისიას 1771 წ. თუ, ვინიცობაა, ეპისკოპოზი დაინასავდა საჭიროდ იმისთანა სასარგებლო საქმეს, რომელზედაც ინსტრუქციით ნება არა ჰქონდა, ამას უნდა ეცნობებინა ეს სინოდისათვის. უნდა დაეთხოვნა უწინდელი წინამძღვარი მქადაგებელთა და მოენე, რადგან ესენი ეხლა, გაიოზის დროს, საჭირონი აღარ იყვნენ. საქადაგებლად სახარებისა ეპისკოპოზ გაიოზს უნდა გაეგზავნა უწინდელ კომისის წევრებს გარდა, სხვა ნიჭიერნი სამღვდელონი და საეკლესიო პირნი, როგორც თვითონ დაინასავდა საჭიროდ და სასარგებლოდ ეპარქიისათვის. როდესაც თავისუფალი დრო ექნებოდა, თვითონაც უნდა დაევლო და ენახა ახლად მოქცეული სოფლები, და თავის შენიშვნები შესახებ იმისა, გულ-მოდგინებით იღებენ ქრისტიანობას და მტკიცედ ინახვენ ახალს სარწმუნოებას, თუ არა, უნდა წარედგინა უწმინდესის სინოდისთვის. როდესაც საჭირო იქნებოდა გაგზავნა მქადაგებელთა ოსეთში, გაიოზს უნდა ეთხოვა გენერალ-გუბერნატორ გუდოვიჩისთვის, რომ იმას მიე-

წერნა ყიზლარის კომენდატისთვის და ებრძანებინა მათთვის, რომ მქადაგებელნი მშვიდობით მიეყვანათ ადგილამდის და ადგილობრივაც ჰქონოდათ ყურადღება მათ უშიშარ ცხოვრებაზედ.

ბ) ყოველივე საშუალება უნდა ეხმარნა სწავლის გავრცელებისათვის და წარმატებისთვის ოსების სკოლებში, იმათ კარგად შენახვისა, მათის რიცხვის გამრავლებისა, სკოლებისათვის კარგის მასწავლებლების შოვნისა ⁄ თავის დროს ცნობების წარდგენისა კავკასიის მთავარ-მართებელთან შესახებ იმისა, თუ რამდენი არიან მასწავლებელნი და მოსწავლენი სკოლაში მისაღებად დადებულის მათთვის თვლის კვალობაზედ. უმჯობესნი მოსწავლენი მას უნდა გაეგზავნა ასტრახანის სემინარიაში, ხოლო კურსის შესრულების შემდეგ, უნდა განეწესებინა ისინი მღვდლად ოსების სოფლებში.

გ) მისს მმართველობის ქვეშ იყვნენ წინა-პირველად მხოლოდ ქ. მოზდოკისა და ყიზლარის მაზრებში მყოფი ეკლესიები მათის სამღვდელო და საეკლესიოს კრებულით, და აგრეთვე ყიზლარის უდაბნო (მონასტერი). მის უწყებაშიგე უნდა ეოფილიყვნენ ყოველი ახლად აშენებული მის ეპარქიაში და თვით ოსეთში ეკლესიები და მათი სამწყსო, რომელიც მიიღებდა ქრისტიანობას. რაც შეეხება იმ სოფლებს, რომელნიც არიან მის უწყების სამზღვარზე და რომელთა მოქცევაც ქრისტიანობაში ადვილად შეიძლება, ამაზედ მას უნდა ეცნობებინა ადგილობრივ ღენერალ-ღუბერნატორისთვის, ხოლო ამას, საჭირო ცნობების შეკრების შემდეგ, უნდა წარედგინა სინოდში ცნობები მათ სიშორეზე მოზდოკიდგან და მათს მდებიარებაზე რომელსამე მაზრაში. ოსებში უნდა ეზრუნა ძველის ეკლესიების განახლებისათვის და ახლად აეშენებინა მა-

შინ, როდესაც ასწონავდა მათის შენახვისთვის საჭირო სარჯს და იმ ეკლესიებში მყოფ კრებულისას.

დ) რადგან უმაღლესის უქაზის ძალით დადებულ მოზდოკის ეპარქიისთვის ფულიდგან მცირედი ნაწილი მაინც უნდა გადაედო მქადაგებელთ საშუალების გასაუმჯობესებლად, ამისთვის უნდა შეეძოკლებინა, როგორც თვითონ საჭირად დაინახავდა, დადებული არქიელისთვის და კონსისტორიის კანცელიარიისთვის მოსამსახურეთ რიცხვი და აგრეთვე მგალობლები, ხოლო აქედგან დანაშთენი ფული მიეცა მქადაგებლებისთვის გზის სარჯად, სასყიდლად ახალ-მონათლულებისთვის ჭურნგებისა, ჯვრებისა და სატებისა.

ე) რაც საჭირო იქნება არქიელის სახლისთვის და მეორე სარისხოვანის უდაბნოსათვის, ე. ი. ადგილი ეზოსა და ბაღისათვის, ცხენების და საქონლის საძოვრად, მათ დასაბინავებლად, ტბა და მდინარე თევზების საჭერად, ყველა ამის შოვნა ან მიცემა მიენდობა ადგილობრივ ენერალ-გუბერნატორს.

ვ) საარქიელო შესამოსი და სხვა საჭირო ნივთები უნდა მისცეს აღნიშნულს ეპისკოპოზს ყოველად-სამღვდელო გაბრიელმა, მიტროპოლიტმა ეკატერინოსლავლისამ იმ შესამოსიდამ, რომელიც მიეცა მას კრუტიცკისა და კირილოვსკის ეპარქიებიდგან. (საქ. სას. მას. 1865 წ. ივნვარი, რუს. განუ. გვ. 116—118).

ამ უქაზიდგან ნათლად სჩანს, თუ რა შესედულობისა იყო მთავრობა გაიოზზე და ამისთვის რა უფლება მიუნიჭებია მისთვის— ქართველ ეპისკოპოზისთვის იმისთანა ეხლანდელ ზოგიერთ მმართველთ შესედულობით, საეჭვო ადგილზედ, როგორიც იყო მისადმი მინდობილი ეპარქია.

რადგან მოზდოკის კათედრაზე დანიშვნის დროს, არ იყო

იქ არც სასლები არქიელისათვის, არც საჭირო შესამოსი და ნივთები სამღვთო მსახურებისათვის, ამ მიზეზის გამო გაიოზი, კურთხევის შემდეგ უნდა დარჩენილიყო ვეტერბურღში რამდენიმე თვე. ამ სანებში, ე. ი. 14 ნოემბერს 1793 წ. გარდაიცვალა ასტრახანის არქიელი ტიქონი (მალინინი), რომლის შემდეგ უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ მიანდო გაიოზს დროებით ასტრახანის ეპარქია, ახალის არქიელის დანიშვნამდე. ამ ადგილზე დაჭყო გაიოზმა 26 თებერვლიდამ 16 აპრილამდის 1794 წ., და მაშასადმე ის თითქმის მთელი წელიწადი განაგებდა მოზდოკის ეპარქიას შორიდამ. მოზდოკში მისვლის შემდეგ, მინამდის დასრულდებოდა არქიელის სასახლე, მღვდელ-მთავარი დადგა ერთ საეკლესიო სახლში, რომელიც ეკუთვნოდა ოსეთის კომისიას. არქიელის სასახლეც ჩქარა დაასრულეს. ეს იყო გძელი ერთ-ექტაეანი სახლი, კრამიტით დასურული. არქიელის სახლებში, მის კრებულს გარდა, იმყოფებოდა ოსების სასწავლებელიც. ამ სასწავლებლის მოწაფეთაგან შესდგებოდა მგალობელთ გუნდი. არქიელის სახლი იყო საკათედრო სობორის მასლობლად, ამისთვის არქიელი დაიარებოდა სობორში წირვა-ლოცვაზე ქვეითად მანტიით და თან ასლდა მას გუნდი მგალობელთა. ამას პანაგიაც ჭქონდა წმ. ნინოს სურათით, რომელიც უბოძა იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ.

გაიოზი იყო ტანად მაღალი. რადესაც მოზდოკის კათედრაზე გადავიდა 1793 წ. ის უნდა ყოფილიყო ორმოცდაშვიდის წლისა. მართლაც, როგორც იმ დროის მისი სურათი უჩვენებს, მისი მკრთალი პირის-სახე, მაზე მოკიდებული, იყო შემოსილი ჭაღარა-შერეულ შავის წვერით; ბარტყულას ქვეშ უჩნდა ეგრეთვე ჭაღარა-შერეული ხუჭუჭი თმა; მსხვილი შავი

თვალები, რომელთაც ზემოდამ ქუთუთოები ჰქონდა წამოფარებული, მრგვალი ცხვირი, წმინდა და მოკუმული ტუჩები. უველა ეს ძალუვდა გაიოზს დიდებულს შესედულობას. ესრეთი წარმოსადეგი გვამი, მანტიით შემოსილი, გამოემგზავრებოდა თავის სადგომიდგან ეკლესიაში წირვა-ლოცვისთვის მგალობელთა გუნდით და მით დიდ შთაბეჭდილებას სხვადა, როგორც ახლად მოქცეულ ქრისტიანებზედ, ეგრეთვე მაჰმადიანებზედ და წარმართებზედ, რომელნიც დაეარებოდენ ქალაქში საგაჭროდ. რასაკვირველია, ამისთანა შთაბეჭდილებას დიდი გავლენა ექნებოდა მთიულებზე და გააადვილებდა მათ მოქცევას ქრისტიანობრივ სარწმუნოებისადმი *).

---

*) იმ სახით, როგორც ჩვენ აღვსწერეთ გაიოზი, მას წარმოადგენს, არხიმანდრიტის ნესტორის სიტყვით, ის სურათი, რომელიც ეკუთვნის კავკასიის (სტავროპოლის) სემინარიის წიგნთ-საცავს. გაიოზის სურათის შესახებ უნდა შეგნიშნოთ ერთი შემთხვევა, რომელიც მე გადმომცეს. გაიოზის სურათი ჰქონია ერთს მისს მახლობელ ნათესავთაგანს, სიღნაღის მაზრის სოფელს მაღაროს მცხოვრებს. ამ უკანასკნელს, როგორც ბევრს სხვათაც შემთხვევია, რამდენიც შვილი გასჩენია, იმდენი მოჰკვდომია. უმეცარს მამას ამისთანა უბედურება იმით აუხსნია, რომ იმის სახლში ბერულად მორთულის გაიოზის სურათი ყოფილა კედელზედ ჩამოკიდებული. ამისთანა ფიქრსა და საქმეს შუა დიდი დრო და ხანი არ გამოსულა. ერთ ზემორე მოხსენებულს შვილის უბედურობის დროს, გონება-დაბნეულ მამას, უსაყვედურებია გაიოზის სურათისთვის ესრეთი უბედური შემთხვევა ოჯახში, მივარდნია სურათს, ჩამოუგლეჯია კედლიდამ და უჩვენებია მისთვის შესაფერი და საპატიო ადგილი გაძლიერებულს შუაგულ ცეცხლში. დიდად გასაკვირველი არ არის ამისთანა ქცევა ქიზიყის შუაგულის მცხოვრებისაგან, სადაც ჭსუფევს მამა-პაპურივე სიკერპე და ცრუ-მორწმუნეობა. გაიოზის სურათის შესახებ უნდა დავასახელოთ ის შენიშვნაც, რომელიც იყო დაბეჭდილი

ზემორე აღწერილიდამ სჩანს, რომ გაიოზი უნდა მოქცეულიყო ახალს ადგილზე, როგორც ამას ურჩევდა თვით სინოდი; მომზადებული კარგად იყო ამისთანა მინდობილობის შესასრულებლად, იყო კარგი ნასწავლი, დიდებულის შესედულობისა ლ ცხოვრებაში გამოცდილი. საქმე ეს არის, თუ როგორ გაამართლა ამან თავის სამსახურით ახალს ალაგზედ მთავრობის მინდობილობა და მაღალი შესედულობა?

როგორც სჩანს სინოდის ინსტრუკციიდამ, იმას უნდა შიექცივა უურადღება მქადაგებელ მღვდლებზედ, სწავლის გავრცელებაზედ, ტაძრების აშენებაზედ, შეემოკლებინა მოსამსახურე გვამთ რიცხვი კანცელიარიაში, აეშენებინა სახლები და გაეჩინა შესაფერი ეზო-ეურე არქიელისა და მონასტრებისთვის. მოზდოკის ეპისკოპოზი იწოდებოდა ვიკარნად ასტრახანისა, მაგრამ იმას ჭქონდა მინიჭებული უფლება თავისუფალ ეპისკოპოსისა. იმას ჭქონდა თავის კონსისტორია, განსაზღვრული შტატი სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა, საარქიელო სახლი, ჭყვდა თავისთვის მგალობელნი და სხვ., ე ი. ჭქონდა ეოვეელისეერი, რაც კი ეკუთვნოდა მესამე ხარისხოვან ეპარქიას.

---

«დროებაში» № 163 წარსულს 1879 წ., რომლიდამაც სჩანს, რომ «სოფლის ვაქირის მღვდელს დ. ხელაშვილს ჭქონია სურათი «კალმასობის» ავტორისა და «ნაცვალოვისა.» თუმცა კორრესპონდენტი არასა სწერს, თუ ვინ არის ზემორე მოხსენებული «ნაცვალოვი», მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს სურათი უნდა იყოს გაიოზისა, რომელიც იყო გვარად ნაცვალოვი სიღნაღის მაზრიდამ. თუ ეს ნამდვილი გამოდგა, იმედია, რომ ბ. როინოვი, რომელიც გამოჩენილ ქართველთა გვამების სურათებს უანგაროდ იღებს, არ დაზოგავს თავის შრომას გაიოზის სურათის გადაღებისთვისაც.

მინამდის შეკუდგებით გაიოზის შრომისა ნაყოფთა განხილვას ზნეობის დაცვის შესახებ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვით ქ. მოზდოკზედ და ამასთანვე ვახვენოთ, თუ რა მდგომარეობაში დახვდა ამას თავის ეპარქია ზნეობითის მხრივ.

ჩვენ უკვე კიცით, რომ 1793 წლამდის, მოზდოკის ეპარქია შეადგენდა განუშორებელ ნაწილს ასტრახანის ეპარქიისას. სხვა რომ არა ეოფილიყო-რა, ამ სიშორედ ეოფნის მოზდოკისას საძეუფო ქალაქის ასტრახანიდამ საკუკარი შედეგი ვერ ექნებოდა ზნეობის დაცვის მხრივ. მართლაც, გაიოზის წინამოადგილე ასტრახანის მღვდელ-მთავარი ტიქონი თავის საეოველთაო მიწერილობაში სასულიერო მმართველობათადმი სანატრელს მდგომარეობას ვერა ჭხედავს თავის ეპარქიაში. ის, სხვათა შორის, სწერს 1792 წ. შემდგომს: „ვამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ჩემს ეპარქიაში საქმე გაჭირებულს მდგომარეობაში არის. ეს შეეხება როგორც სასულიერო მმართველობას, ეგრეთვე თვით კონსისტორიასაც. სახელდობრ ა) ამლევენ საჩივარს ერთი-ერთმანერთზედ; სასულიერო სამმართველო იღებს მათ, იძიებს არა ისრე, როგორც ამას მოითხოვს სასულმწიფო სჯულის-დება გამოძიების შესახებ, და ჭეშმარიტებით ვიცი, რომ თვით კონსისტორია გამოსაძიებელ საქმეებს ანდობს სასულიერო სამმართველოებს, რომელნიც სრულებით ვერ იძიებენ ამისთანა საქმეებს. ბ) თვით სასულიერო მმართველნი ხშირად იქცევიან თავის-ნებად, სახელდობრ, როდესაც დაიარებიან სოფლებში ვითომც გასასინჯად ეკლესიების კეთილ-განწყობილობისა, თვით ისინივე ხშირად ჭბადებენ უწესოებას; თავიანთ მოსვლით საქმეს უჭირებენ სამღვდელო ს საეკლესიო მსახურთა სხვა-და-სხვა თხოვნითა. გ)

სასულიერო სამმართველოს არა აქვს ყურნალები შესაკალ-
გასავლის საქმეებისთვის და არც საჭირო სიები.»

ამისთანა მდგომარეობაში იყო სასულიერო სამმართვე-
ლონი მოზდოკის ეპარქიის გახსნის წინად. ამ გვარი მდგო-
მარეობა ეპარქიისა ითხოვდა უფროსისაგან ყურადღებას გასას-
წორებლად და გასამშვენებლად სხვა-და-სხვა ეპარქიის წყობი-
ლობისა. მართლაც, გაიოზს არ დაეტოვებია ყეყურადღებოდ
არც ერთი მოთხოვნილება ეპარქიისა, რომლის შესრულებასაც
შეეძლო მთელის ეპარქიის განკეთილება. აღვსწერეთ ყველა-
ესენი სათითოდ, რამდენადაც შეგვაძლებინებს ის მასალები,
რომელნიც ჩვენ ხელში გვაქვს.

ზნეობა. მოზდოკის ეპარქიაში ღირსი იყო ყურადღე-
ბისა განსაკუთრებით — ტოლ-ქმრობის საქმე ანუ უკედ ტოლ-
ქმართ გაყრა. ტოლები სჩიოდენ, ხან იმაზედ, რომ ქმრები
იმათ უდიერად ეკიდებიან — საშინლად სცემენ, ხან იმაზედ,
რომ ისინი ძალად გაათხოვეს და ჯვარი დასწერეს მართლ-
მადიდებელს ტაძარში კი არა, არამედ რასკოლნიკების—გან-
დეგილთა სალოცავებში, თუ ერთის მხრით ტოლები უჩიო-
დენ ქმრებს, მეორე მხრით არც ქმრები აკლებდენ. ისინიც ან
თავს მართლულობდენ და ან თვით იწუობდენ საჩივარს. თა-
ვის გამართლება მათის მხრით ის იყო, რომ თავიანთ ტო-
ლებს ამტყუნებდენ, ვითომც ისინი ქმრებს თავს ანებებდენ,
ერთგულად არ იქცეოდენ, ღალატობდენ ქმრებს და ვითომც
კიდეც ცდილობდენ ქმრების მოწამლას გამხმარის გველით.
ორივე მხრის ჩვენებას კონსისტორია კრცლად იძიებდა, მოწ-
მებს იწვევდა და ითხოვდა მეტრიკების და მოწმობების ჯეშ-
მარიტების აღსადგენად. ერთის სიტყვით ტოლ-ქმრობის საქ-
მეები გამოძიებელთაგან დიდს ჯაფას ითხოვდა. ამათ შინა-

არსის გაღაზეადვა მკითხველს არწმუნებს, რომ მეთვრამეტე საუკუნეს ჩრდილოეთის კავკასიაში, ტოლსა და ქმარს შუა, ოჯახებში სუფევდა ერთის მხრით კერპული თვით-მნებელობა, ხოლო მეორით ჩნდებოდა წინააღმდეგობა ამისთანა თვით-მნებელობისა და თავისუფლების შეკიწროებისა იქამდის, რომ ტოლი და ქმარი უნდა გაურიღიუკნენ, გაშორებოდენ ერთმანერთს. თუ რა ნაირი ზნეობითი კავშირი უნდა ჰქონოდათ ტოლსა და ქმარს, ამათ ეს არ ესმოდათ და ვერც დაუფასებდენ. გარდა ამისა, მახლობლად სცხოვრებდენ მართლ მადიდებლობისაგან განდეგილნი მაღალნები—რასკოლნიკები, რომელნიც თავიანთ შეხედულობით ქორწინებაზედ ჭბადავდენ ახალს უკმაყოფილებას შინაურულს ცხოვრებაში. ყველა ეს, რასაკვირველია, შესაფერს ყურადღებას მოითხოვდა გაიოზისაგან და ესეც არ აკლებდა, როგორცა სჩანს საქმეებიდამ, შესაფერს მზრუნველობას.

ტაძრების აშენება. ზევით მოგიხსენეთ, რომ ზოგიერთი მრევლთაგანი ჯვარს იწერდენ მართლ-მადიდებელთ ეკლესიებში კი არა, არამედ რასკოლნიკების სალოცავებში. ამას ხელს შეუწყობდა, რასაკვირველია, ტაძრების უქონლობა, სადაც შეიძლებოდა გაჭირების დროს დაუბრკოლებლივ ჯვარის დაწერა. ტაძრების გამრავლება ამ შემთხვევაში შეიქმნებოდა, სხვათა შორის, საშუალებათ ამისთანა უწესრიგობის მოსპობისა და შემცირებისათვის. გაიოზს ეს საქმეც უყურადღებოდ არ დაუტოვებია: ეს იქიდამ სჩანს, რომ ამან თავის მცირედის ხნის მმართველობის დროს (1794—1799) ექვსი ტაძარი აღაშენა სხვა-და-სხვა ადგილებში. მისამდის გაიოზი განწესდებოდა ამ ადგილზედ, მცხოვრებნი ოიოქმის ყოველ წელიწადს უზიარებელნი რჩებოდენ. მთავრობა სთხოვდა მღვდლებს, რომ

უქადაგონ თავიანთ მრევლთ, ვის სოფელშიაც ტაძარი არ იყო, მასწავლებელს სოფელში ევლოთ და წელიწადში ერთხელ მაინც ზიარებულიყვნენ, მაგრამ რადგან მაშინ სოფლები ერთი მეორეზედ დიდად დაშორებულნი იყვნენ და სიარულიც სოფლითი-სოფლად, სიძნელეს გარდა, საშიშიც იყო, ამისთვის ყოველივე რჩევა და დარიგება მღვდელთა უნაყოფოდ რჩებოდა. ამისთანა შემთხვევაში გაიოზის მეცადინეობა ტაძრების აშენებისათვის საფუძვლიანი იყო და შესაფერს ნაყოფსაც მოიტანდა, ვიდრე სხვა-და-სხვა ბრძანება მთავრობისა ზიარებისა და ეკლესიაში სიარულის შესახებ.

ფულის დაცვა. გაიოზის დროამდე ფულის ხარჯვაში დიდი უწესობა იყო მოზდოკის ეპარქიაში. შემოსავალ-გასავლის წიგნებს შესაფერი ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული. უწესობა იყო იმისთვისაც, რომ საეკლესიო ფულის ხარჯვაში ერეოდენ სამოქალაქო გვამნიც და ამას გარდა თვით სამღვდელობა შემოსავალ-გასავლის წიგნებს ან ყურს არ უგდებდა, ან კიდევ არ იცოდა, თუ როგორ ჩაწერა შემოსავალ-გასავალი. ეპარქიაში მცხოვრებნი სჩიოდენ ხან იმაზედ, რომ ამა-და-ამ სამოქალაქო გვამმა გაიტანა საეკლესიო ფული და მოიხმარა, როგორც საკუთრებაო, ხან იმაზედ, რომ ამა-და-ამან ისესხა, ზოგი შემოიტანა და ზოგში გირაოდ ისეთი ნივთები მისცა, რომელნიც ვერ შეავსებენ დანახარჯს ნაწილსაო. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამისთანა უწესობანი ხდებოდა მომეტებულად იმისთანა ეკლესიებსა ს სამრევლოებში, რომელნიც მთავრობას ანუ კონსისტორიას დაშორებულნი იყვნენ ს რომელნიც ამისთანა საქმეებში ექვემდებარებოდენ ბლაღოჩინებს და მათის შუამავლობით ჰქონდათ კავშირი კონსისტორიასთან. ამისთანა გარემოების მისედულობით, თვით

გაიოზს ცდილობდა დაეცვა ჯეროვანი წესიერება თვულის სარ-
ჯვაში და რაც შეიძლებოდა, იცვავდა ფორმალურ წესს შემო-
სავალ-გასავლის წიგნების წერისას. გაიოზს არ შეეძლო მო-
ესპო უწინდელი, დიდის ხნიდგან მოძდინარე, უწესობება თა-
ვის ეპარქიის ყოველს სამრევლოში და ეკლესიაში, თუ გინდ
ყოველივე მასზედ დამოკიდებული საშუალება ეხმარა. თუმცა
ფორმები შესავალ-გასავლის წიგნებისა თვითეულს ეკლესიაში
იყო, მაგრამ რა დიდს შემწეობას აზავდენ ეს წიგნები, რო-
დესაც მღვდლებსაც კი ძლივს შეეძლოთ ხელის მოწერა, არამც
თუ წიგნებში ჩაწერა. მოზდოკის ეპარქიის გაუქმების შემდე-
გაც მწერლების საქმეებს უფრო ჯანცელარიაში მოსამსახურე
პირნი სრულებდეს, რადგან ამის აღსრულება თვით მღვდლებს
არ შეეძლოთ.

სკოლა. ზემოთ აღწერილიდამ სჩანს, თუ რა საცოდავს
მდგომარეობაში ყოფილა საძღვდელოთ განათლება მოზდოკის
ეპარქიაში, როდესაც საძღვდელოთ ხელის მოწერაც კი ძლივს
შესძლებიათ. ამ გვარს მდგომარეობაში, ეპარქიის უფროსს,
რასაკვირველია, უნდა მოეტანა განსაკუთრებითი ყურადღება
საძღვდელოთ აღზრდაზედ სკოლის მდგომარეობის გაუკეთესე-
ბით. სკოლა დაწესდა მოზდოკში გაიოზის დროამდე, სახელ-
დობრ 1764 წელს. ურიგო არ იქნება მოვიხსენოთ ისიც, თუ
რა მიზეზით გაიხსნა აქ სკოლა. აი ეს მიზეზი: როდესაც
ერთი ოსეთის კომისიის წევრთაგანი, სახელდობრ არხიმანდრი-
ტი პახომი, უქადაგებდა საბარეს ინგუშებს, მაშინ ამათ
სთხოვეს პახომს მიეღო თავისთან მათი შვილები და წერა-
კითხვა ესწავლებინა. რადგან თვით ვერ მოახერხებდა, რომ
ერთსა და იმავე დროს საბარების მქადაგებლადაც ყოფილიყო
და მასწავლებლად სკოლაშიც და ამას გარდა არც იმდენი მა-

ტერიალური შეძლება ჰქონდა; და რადგან ეს საქმე დიდს სარგებლობას მოუტანდა მთიულებს, ამისთვის აცნობა ამ გვარი სურვილი და თხოვნა ინგუშებისა უცხო საქმეთა კოლეგიას. კოლეგიამ მოახსენა ეს გარემოება თვით იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს. იმპერატრიცამ კარგად იცოდა, რომ მთიულების უმაწვილების აღზრდას დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა მართლმადიდებელ სარწმუნოების გასავრცელებლად მათში და ამისთვის უქაზით ასტრახანის გუბერნატორის ბეკეტოვის სასელობაზედ 21 ოქტომბერს 1764 წელს ბრძანა მსწრაფლად გაიხსნას მოზდოკში სკოლა ოსების, ინგუშების ან სხვა მთიულთ უმაწვილებისთვის ან ასტრახნის ბანკის მოგებიდამ და ან გუბერნიის შემოსავლიდამაო. სკოლის მმართველობა მიენდო ასტრახნის გუბერნატორს და ყიზლარის კომენდანტს. სკოლა ჩქარა გაივსო უმაწვილებით, რომელთაგან ზოგი იყო თხუთმეტის წლისა ან ზოგი ოცისა. როდესაც გახსნდა ოსეთის კომისია 1771 წელს, იმ დროდამ ოსეთის სკოლა სრულს მისს განკარგულების ქვეშ იმყოფებოდა; 1777 წელს გამოიცა სელმეორედ უმაღლესი ბრძანება ოსეთის სკოლის მდგომარეობის გაუკეთესებაზედ და განისაზღვრა სკოლის შენახვის ხარჯთ ორიდამ სამს მახათამდე: ორი მანათი უბრალო გლეხების შვილებისთვის, ხოლო სამი მანათი საპატიო მამასახლისებისა და ნაცვლებისთვის. გაიოზის გაწესებამდის მოზდოკის კათედრაზედ მასწავლებლებად სკოლაში იყვნენ დიაჩოქები და დიაკვნები, მეოთხე მონაწილედ ოსეთის კომისარაში; ესენი შტატით დადებულ ჯამაგირს გარდა, იღებდენ, როგორც მასწავლებელნი, თვეში ორ მანათს. სკოლაში ასწავლიდენ შემდგომ საგნებს: ქართულსა და რუსულს ენებს, ძველისა ან ახალის აღთქმის სამართო ისტორიას, მოკლე კატეხიზმოს, სა-

ეკლესიო გალობას და ტიბიკონს. ოთვლად - სამღვდელო გაიოზმა წინანდელი მასწავლებელნი დიაჩოქებთაგანნი გამოსტვალა და ნასწავლი მღვდლები დააყენა. 1796 წელს ამან გაანწესა მასწავლებლად «სიტყვიერების მეცნიერებისა» (Словесной науки) და რუსულის გრამატიკისა მღვდელი, რომელმაც შესრულა კურსი მოსკოვის სლავიან-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში, იოანე ჭილაშვილი, შთამომავლობით ქართველი (გაიოზს შემდეგ ეს მეორე ქართველი ჩნდება მოსკოვის აკადემიაში კურს-შესრულებული წარსულ საუკუნეში), სოლო 1797 წ. განაწესა მასწავლებლად მეორე მღვდელი, რომელიც ფილოსოფიის კლასიდამ იყო გამოსული, მისეულ სამსონოვი, შთამომავლობით რუსი. უნდა ვიფიქროთ, რომ გაიოზის დრომდე მოზდოკის სკოლაში ოსურს ენას ასწავლიდენ პრაქტიკულად, უწიგნოდ, ზეპირად საუბრით მასწავლებელთან და თარგმნით რუსულისა და ქართულის წიგნებიდამ. ესე უნდა ვიფიქროთ, რადგან იმ დროს სკოლაში არა ყოფილა არც ერთი დაბეჭდილი სასელმძღვანელო ოსურს ენაზედ. გაიოზმა პირველად დასდო საფუძველი ოსურის მწერლობისა მით, რომ ამან თვით შეადგინა ოსური ანბანი. საფუძვლად ოსურის ანბანისა გაიოზმა მიიღო შეუცვლელად მწერლობა სლავიანურის ანბანის ასოებისა; სოლო გამოსათქმელად იმ ხმებისა, რომელნიც ეკუთვნიან საკუთრად ოსურს ენას, შეადგინა ახალი ნიშნები ანუ ასოები ორისა ანუ სამის რუსულ ასოების შეერთებით. ამ გვარად შედგენილის ანბანით გადაითარგმნა ოსურს ენაზედ «პირველ-დაწყებითი სწავლა კაცისა, საღმრთო წერილის წიგნთა შესწავლის მსურველისა», (Начальное ученіе человѣкомъ, хотящимъ учитися книгъ Божественнаго писанія),—საეკლესიო სლავიანური ანბანი, რომელიც ისმარებოდა რუსეთის

სასულიერო სასწავლებლებში. პირველ-დაწყებითი სწავლა, რომელიც შეიცავდა თვის შორის, გარდა ანბანისა და მარცვალთა, მოკლე კატეხიზმოს და საჭირო ლოცვებს, დაბეჭდილი იყო ორ სვეტად, ასე რომ თანასწორ სლავიანურის დედნისა (текстъ) იყო დაბეჭდილი ოსურიც (იხ. შენიშვნა ოსეთის სკოლაზედ, პ. ივ. ხიტუნოვისა გაზეთს „Кавказъ“-ში 1846 წ. № 13). ამ ანბანის შემწეობით ბევრის დროს დაუკარგავად სწავლობდენ ოსურსა და რუსულს კითხვას და სწავლის დაწყობის უმალ გაიცნობდენ ხოლმე რუსულს ენასაც. ოსეთის სკოლაში, როგორცა სჩანს კონსისტორიის საქმეებიდამ, 1781 წ.—1799 წლ. სწავლობდენ ოთველ-წლობით 8—45 უმაწვილამდე, მოშეტებულად ოსებისა და ხან სხვა მთიულების შვილებიც. აქ ნასწავლ მოწაფეთაგან თხუთმეტამდის კაცი შევიდა ასტრახანის სემინარიაში გასაგრძელებლად სწავლისა; ზოგთ მათგანთ დაიჭირეს კავკასიაში სამღვდელო და საეკლესიო ადგილები,—დანაშთენნი ბრუნდებოდენ თავიანთ მშობელთ სახლებში. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მოზდოკის სკოლა იყო სასარგებლო მომზეენელი ქრისტიანობრივის განათლებისა კავკასიაში და განსაკუთრებით მთის ხალხთა შორის (ამ დროს საქართველოში ორი შესანიშნავი სემინარია იყო—ერთი ქ. თბილისში, ხოლო მეორე ქ. თელავში, სადაც რექტორობდა გამოჩენილი დავით ალექს ძე 1784 — 1799). ამ სკოლაში ნასწავლ მოწაფეთ, დაბრუნების შემდეგ თავიანთ მშობელთა სასლებში, უფრო დიდი სარგებლობა მოჰქონდათ ქრისტიანობის გავრცელებისთვის, ვიდრე შტატით განწესებულ მქადაგებლებს—მისიონერებს. ესენი იყვნენ გაზდილნი, როგორც მომავალნი სვეტნი მართლ-მადიდებლის ეკლესიისა. როდესაც ბრუნდებოდენ თავიანთ სოფლებში და სცხოვრობდენ

დაბალ სალხში, ადვილად შეეძლოთ გაეგრცელებინათ მასში ზნეობითი შეშფოთებანი, განემტკიცებინათ წმ. სარწმუნოება თავიანთ ნათესავებში. წინააღმდეგ ამისა, კომისიის წევრნი დაიარებოდენ მთაში საქადაგებლად სასარებისა, მაგრამ უკან ამათ დასდევდათ ჩაეურები (КОНВОЙ), შეიარაღებულნი მხლებელნი. ამით ისინი ჭბადებდენ ეშვს მდაბალ ს გულ-წრფელ ხალხში და იწვევდენ სიძულილს მოლების მხრითაც. მოლები სახარების მქადაგებელთ ისე უყურებდენ, როგორც მოსისხლე მტრებს, რომელნიც ცდილობდენ მოესპოთ მათი გაგლენა ტრუ-მორწმუნე ხალხზედ. ეს იყო, სხვათა შორის, მიზეზი, რისთვისაც მქადაგებელნი დიდ ხანს ვერ რჩებოდენ მთებში, ორამედ მიეშურებოდენ განაპირებულ ადგილებზედ და ცდილობდენ ეპარქიაში მდგომის ადგილ ეშოვნათ.

ნ. მთვარელიშვილი.

(შემდეგი იქნება)

# ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.

ᲚᲝᲓᲘᲜᲘ—ᲐᲠᲮᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ—თ. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲪᲣᲚᲐ— Ბ-ᲜᲘ ᲘᲚᲝᲒᲐᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲪᲪᲣᲚᲐ— ᲛᲘᲡᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ— ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ—Ბ-ᲜᲘ ᲕᲘᲠᲩᲮᲝᲕᲘ—ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ—ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘ «ᲨᲠᲝᲛᲐ.»

---

ᲑᲔᲕᲠᲡ ᲬᲣᲐᲚᲡ ᲩᲐᲣᲕᲔᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲣᲜᲐᲖᲔᲯ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ. ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲚ ᲐᲠ ᲔᲜᲐᲮᲝᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲠᲙᲕᲔᲥᲔᲚᲘ ᲣᲝᲤᲕᲐ, ᲠᲐ ᲣᲝᲤᲕᲐᲨᲘᲐᲪ . . . . ᲔᲠᲗᲝᲑ ᲒᲣᲚ-ᲓᲐᲬᲣᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲣᲕᲔᲚᲐ, ᲫᲐᲚᲚᲘᲜᲔ ᲛᲘᲮᲓᲘᲚᲘᲐ, ᲛᲝᲓᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲭᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲓᲐᲮᲨᲣᲚᲘᲐᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲣᲒᲣᲑᲓᲔᲑᲐ, ᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲐᲛᲨᲘ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲛᲝᲣᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲐ, ᲡᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲮᲣᲗᲣᲚᲘᲐ, ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲚᲐᲑᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲪᲕᲔᲗᲘᲚᲘ. ᲗᲘᲗᲘᲥᲝ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲣᲥᲕᲘᲐ ᲩᲐᲣᲡᲮᲐᲛᲗᲝ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲒᲣᲚ-ᲓᲐᲬᲣᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲠᲐᲦᲐᲪᲐ ᲭᲡᲬᲣᲠᲘᲐᲜ, ᲠᲐᲦᲐᲪᲐ ᲭᲘᲐᲜ, ᲠᲐᲦᲐᲪᲐᲡ ᲔᲪᲐᲜᲯᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ.... ᲛᲘᲡᲐᲬᲓᲠᲝᲛᲡ ᲙᲔᲠ ᲛᲘᲭᲡᲬᲓᲠᲝᲛᲘᲐ. ᲒᲕᲘᲭᲣᲔᲢᲘᲐ ᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕ-ᲒᲐᲑᲠᲣᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲣᲣᲠᲔᲑᲗ ᲡᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲓᲦᲔᲡᲐ. რა ᲘᲛᲔ-ᲓᲘᲗ? რა ᲜᲣᲒᲔᲨᲘᲗ? ᲐᲠ ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲣᲕᲔᲚᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲣᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲭᲡᲬᲣᲘᲜᲓᲐ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲭᲡᲫᲐᲒ-ᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲪᲘᲪᲝᲪᲪᲚᲘᲡᲐ, ᲡᲣᲚᲓᲒᲛᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ—ᲔᲒ ᲡᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲚᲝᲓᲘᲜᲘᲐ. ᲒᲣᲚᲘ ᲜᲓᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣ-

ლია ლ სული მაგ ლოდინითა. სულ ველით, რაღაცას ველით გამ-
სუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია
საუოველთავო სატკივარი დღეკანდელის დღისა, ეგ ლოდინია
ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულება-
ში ჩაჭსდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შეი-
თხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნე-
ბაო.

ეგ ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც
იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავის-
თვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც
«მე და ჩვენ» განუყოფელად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია,
ერთის სიტყვით, ვინც მამულის-შვილობის სახელის ღირსი
შექმნილა. . . . სული დრტვინავს, გული ჭკვნესის ამაო
ლოდინის გამო. შესვა, შეჭლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი
მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა და აჭა თუ ამ დაუსრულებელს სიბ-
ნელეში ერთი მცირედი რამ შუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუ-
გეშად!... საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ საში-
ნელება თითქო დაუსრულებელიაო. . . . .

ამისთანა მდგომარეობაში ყოველივე არა-ჩვეულებრივი ამ-
ბავი კაცს ცოტაოდნად მაინც გამოაცოცხლებს ხოლმე ლ ლო-
დინით გაბრუებულს გონებას გამოუფსიზლებს. ამისთანა ამ-
ბავი ჩვეს ქართველებისათვის ის არის, რომ დღეს ჩვენს დე-
და-ქალაქში არსეოლოგიური კრებაა გამართული. რვას ამ თვეს
პირველი სხდომა იყო. ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტო-
რიაში, რომ ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი ღირსი გახდა მეცნ-
ნიერთა კრებისა. განსაკუთრებით შესანიშნავი ეს არის, რომ
არც ერთს სხვა ქალაქში რუსეთში, სადაც კი ამ გვარი კრება ყოფი-
ლა, ამოდენა ხალხი არ შეკრებილა კრებაზედ, როგორც აქ თბი-

ლისში შეიყარა. შვიდასი კაცი მეტი დაესწრო, მაშინ როდესაც ამისთანა კრებაზედვე უაზანში და კიევში ორასზედ მეტი არ დასწრებულა. ეს მით უფრო საგვირველია, რომ უაზანსა და კიევში უნივერსიტეტებია და მაშასადამე უფრო დიდ-ძალი ხალხი უნდა დასწრებოდა.

პირველს საათზედ მობძანდა თ. ლევან მელიქიშვილი, თავისის ამალითა ⁄ წარმოსთქვა ეს მოკლე სიტყვა. «დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა, როცა აქედამ წაბძანდა, მე მიბძანა, რომ მესუთე არხეოლოგიური კრება გავხსნაო. დიდ პატივად მიმაჩნია, რომ მე მომეცა შემთხვევა ამის ალსრულებისაო. სიხარულით მოგირთმევია ჩემი სალამიო უცხო ქვეყნელთ და ჩვენებურ მეცნიერთათვისაო, რომელნიც დღეს ჩვენ გვეწვივნენო.» ამის შემდეგ გრაფმა უვაროვმა წარმოსთქვა მოკლე ისტორია არხეოლოგიურ კრების დადგინებისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. მერე ღენერალმა კამაროვმა კრებას წარუდგინა ანგარიში ფულისა, რომელიც მთავრობისაგან გადადებული იყო ამ მესუთე კრების სახარჯოდ. ბოლოს ავიდა კათედრაზედ მოსკოვის მეცნიერი ისტორიკოსი ალოვაისკი და წარმოსთქვა გძელი და ფრიად უგემური სიტყვა. საგანი მისის სიტყვისა უფრო ის იყო თუ როგორი დაახლოება ჭქონია უწინდელს დროში რუსეთთან კავკასიას საერთოდ და საქართველოს საკუთრივ. ამის შესახებ ახალი არა უთქვამსრა და რაცა ჭსთქვა ისიც ასეთი რამ იყო, რომ უველა ანბანში ადგილად საპოვნელია. ერთმა ადგილმა ბ-ნ ალოვაისკის სიტყვაში მიაქცია ჩვენი ყურადღება, მერე ისე რომ კინალამ სიცილი არ წაგვცდა. ბ-ნმა ალოვაისკიმ უადგილო-ადგილას წარმოსთქვა სხვათა შორის: «გთხოვთ, მშვენიერო კავკასიაო, გადაგვიხსნა შენი გული და გვიჩვენო აუარებელი სიმდიდრე,

რომელიც შიგა და გარედ ეგრე უხვად მოფენილი გაქვსო.» ბატონო და თუ ცალიერი თხოვნა მაგის შემძლებელი ყოფილიყო, ქართველებს თხოვნის მიცემას, თუნდა ღერბიანს ქალალდზედ, ვინ დაასწრობდა? მიოამ ქართველებს სიმდიდრე არ გვეჭირვება თუ? აი ნეტავი თხოვნის მეტი არა უნდოდეს-რა, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავისი საუნჯე და სიმდიდრე თავის გულიდამ ამოიღოს და ჩვენ მოგვცეს და მგონია თხოვნას ჩვენ ვერავინ დაგვასწრობდა. აქ, ბატონო, თხოვნის და ვედრების საქმე კი არ არის, მეცნიერებით აღჭურვილის მეცადინეობის საქმეა. თუ გინდათ, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე ადამიანს ჩაუკარდეს ხელში, ხვეწნას და ღრეჭას თავი დანებეთ და მეცნიერების თარ-ხმალით შემოსეთ აქაურობა. თორემ მოსულხართ და დედა-მიწას დასძახით: გთხოვთო. გთხოვთ, რა პასუხია! ბ-ნ ილოგაისკის სიტყვაში, რასაკვირველია, ხშირად იყო ხმარებული დიდებული რუსეთი და მარილ-მადიდებელი რუსეთი. ს

მუზეუმი დიდის ზემოვნებით და მეცადინეობით არას მოწყობილი. ხასელი და დიდება ბ-ნს რადეს, მუზეუმის გამგებელს. მართლა რომ მოსაწონი რამ არის, ლამაზად მოწყობილი და კოშწიათ მორთული. ჩვენ ყველას ვურჩევთ თავისის თვალითა ნახოს და დარწმუნებული ვართ, მადლობელნი დაგვრჩებიან.

ყველაზედ შესანიშნავი ამ კრებაზედ ბ-ნი ვირხოვია, გამოჩენილი მეცნიერი და მთელს ქვეყნიერობაზედ სახელ-განთქმული. კაცი არ იყო კრებაზედ, რომ არ ეკითხნა: აბა ერთი ვირხოვი რომელია, გაჩვენეთო. თვითონ ვირხოვი ტანად დაბალი კაცია, ჭაღარა მორეული, სამოცის წლისა იქნება, მაგრამ ისეთი ცქვიტი და ცოცხალია, ისეთი მკვირცხლი თვალები აქვს, რომ გეგონებათ ოცდა-ათის წლის კაცია. ეს იმისთანა კაცია, რომ მნახველს საკვეხურად უნდა ექმნას მისი ნახვა, გარდა იმისა, რომ იგი მეცნიერობით გათქმულია, ბერლინის უნივერსიტეტში ერთი ძლიერი მოპირდაპირეა ყოველად შემძლე ბისმარკისა და ამასთანავე პროგრესისტების წინამძღოლი არის.

ამ შესანიშნავ ამბავთან ორი სხვა შესანიშნავი ამბავიც კიდევ სხვა მოხდა ჩვენს უფერულს ცხოვრებაში: გაიმართა გორში ქალების სასწავლებელი და დაიბადა ქუთაისში ახალი გაზეთი «შრომა.»

ვინ არ იცის, რომ, თავი და ბოლო ჩვენის ულონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის მეოქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ლონისძიება სასწავლებელია. მაგრამ სასწავლებელიც არის და სასწავლებელიც. სკოლა, სასწავლებელი ორ-პირი ხმალია.

ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. ჩვენ არ ვიცით საქალებო სასწავლებელი გორისა რაზედ არის დაფუძნებული. თუ ნეტარ-ხსენებულ თეორიაზეა დამყარებული, რომელიც ეგეთის გაბედვით ბ-ნმა ზახაროვმა ავარჯიშა ჩვენში ერთს დროს, ესე იგი, მასზედ, რომ ქართველს ქართული არ უნდაო და უოველიფერი ამ უმგზავსო აზრს შეუფერა, მაშინ გორის საქალებო სასწავლებელი, როგორც სხვა მის მგზავსი სასწავლებელიც, სულ რომ არ უოფილიუო ის გვერჩივნა.

ნურავინ ნუ დაიკიწუებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი და, ქართველი დედა-კაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით. თუ ღვთის მადლით გორის საქალებო სკოლას ეს საგანი დაუდვია თავისის პროგრამის სარჩულად, მაშინ სიხარული გვმართებს, რომ გორში საქალებო სკოლა გაიმართა და თუ არა, ღმერთმა შეინახოს. ჩვენ იმისთანა სკოლისა არც მოტანილი გვინდა, არც გატანილი. გვეუო რაც ჩვენმა საქალებო სკოლებმა ვნება მოგვიტანეს. ის საქმე დაგვმართეს, რომ ჩვენი ოჯახისშვილი სკოლის დასრულების შემდეგ ჩვენს ოჯახში ისე შემოდის, როგორც უცხო თესლის ადამიანი. ცოლად შემოდის, დად, თუ რძლად, იმას ჩვენი ადარა გაეგება-რა და ჩვენ იმისი. ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთი-ერთობის კავშირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვეძცა და ჩვენც გავწყალდით და მიწასთან გავსწორდით. გვეუო და გვამეოფინეთ, ღვთის გულისათვის!... მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის

ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გაურეკეთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! ნუ გადუდგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგიისას! მოგვეცით სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედა-კაცისა! უოველივე ამას ატილებული არც თქვენი გამოსაყენია, გვერწმუნეთ, არც ჩვენი. ვისაც გული ატრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტუვილი შრომაა, ტუვილი ცდაა. ეგ კიდევ არაფერი რომ შრომა და ცდა ტუვილია, საქმე იმაშია, რომ მაგ შრომით და მაგ ცდით ერთს აკლებთ და მეორეს არას ჭმატებთ. ტუვილ-უბრალოდ იღუპება მთელი მოზარდი თაობა, იღუპება ქვეყანა, რომლის იმედიც და ნუგეშიც მოზარდი თაობა უნდა იყოს.

მეორე სახსარი სწავლა-ცოდნის მოფენისა, რასაკვირველია, ყურნალ-გაზეთობაა. ამ მხრითაც ჩვენს ქვეყანას ერთი ჯარის-კაცი მოემატა.

როცა ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში ახალი ყურნალი, ან გაზეთი დაიბადება, უველაზედ უწინარეს ესაზედ ეს კითხვა მოგვადგება ხოლმე: ცალკე რად და რატომ ერთად არა? თუ რამ შეუძლიანთ ამ ერთ მუშა მწერლებს ერთად მოიყარონ თავი, ერთად ჭოაგრონონ შეძლება და ღონე და ერთად გაისარჯონენ, უფრო კარგი არ იქნება? საცა ეხეთი სიღარიბეა მწერლობისა, საცა მწერლები ესე ცოტანი არიან, იქ ცალკედ გასვლას მიზეზი რამ უნდა ჭქონდეს და დიდი საფუძვლიანი მიზეზიცა. ამ შემთხვევაში საფუძვლიანი მიზეზი ერთია და უკანასკნელიცა: მე სხვა გზას უნდა დავადგე, სხვა მიმართუ-

ლება უნდა დავამყარო, სხვა საფუძველი უნდა დავუდვა ჩვენს ცხოვრებასა და სხვა აზრი უნდა ვიქადაგო. განცალკევებას ამ შემთხვევაში სხვა მიზეზი არ უნდა ჰქონდეს ნამეტნავად ჩვენში, ს

ლიც განცალკევების მიზეზად არ შეიძლება იქმნას. მაშ რა საბუთი აქვს «შრომის» მოვლენას ქვეყანაზედ?

«ჩვენდა საუბედუროთო, ამბობს შემდეგ იგივე წერილი: ჯერ კიდევ ცოტანი არიან, რომელნიც თვიქრობენ, რომ ტყვიან, წამლის სიუხვე კეთილდღეობის ბედნიერებას არ შეიცავს, რომ სალხთა ცხოვრება მაშინ ჯერს სრულად შემკული (მართლა, სრულად?) რომ მათში სულთა ერთობა, ერთმანეთთან ძმურად დამოკიდებულება და რომ პირადი თავისუფლება მონებაში არ არის.»

კიდევ ვიკითხოთ: რის თქმა უნდა ამით რედაქციას? უსათუოდ იმისი რომ ცოტანი არიან და მე ვეცდები გავამრავ�logo. ესეც სწორედ მოგახსენოთ, ზოგადი თვრაზაა, წყობილ-სიტყვაობაა და არა მიზნის აღნიშვნა. აქ მაინც-და-მაინც მიზანი არა ჩანს.

«უეჭველია, «შრომის» რედაქცია ეცდება, ამბობს იგივე წერილი: რაც ღონე აქვს იშრომოს იმა მიზნისათვის.» რომელი იმა მიზნისათვის? წიგნ სტრიქონებში გარკვევით და გადაწყვეტით არავითარი მიზანი არ არის აღნიშნული, გარდა იმისა, რომ «ვისაც ცოტა რამე ესმის და სიმართლის სიყვარული გულში ჩავარდნია, მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ორის დღის სიცოცხლე მისი ამ წუთის სოფელში უსაყოფოდ არ გაატარონ და შეძლებისა-დაგვარად თვისი შრომა და ღვაწლი იმ წმინდა მიზანს მოახმარონ, რომლის მისაღწევნელად ბევრმა სიცოცხლეც შეჭსწირა.»

ამისთანა ორჯერ ორი ოთხი, როგორც ზეპოთ მოყვანილებია, ანუ ამისთანა თვრაზები: «ყოველივე დამოკიდებულია პატიოსანს შრომაზედ, თავის მიზანს ყველაზედ უფრო ადრე ის მიუახლოვდება, ვინც მეტსა ჭშრომობს ცხოვრების

ასპარეზზედ, ანუ: «ჩვენ უველანი ვალდებულნი ვართ ვემსახურთ ჩვენს სამშობლოს შეძლებისა-და-გვარად»—ეს ამისთანა ფრაზები იმათ არა ღირან, რომ მაგათ გულისათვის «შრომამ» ცალკე ეწიოს მძიმე ტვირთი მწერლობისა და «დროებამ» ცალკე.

მაინც-და-მაინც გზას ვულოცავთ ჩვენს ახალს მოძმეს, ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მიჭსცეს ამ უკულმართს წუთის-სოფელში და მტკიცედ შეასრულებინოს მართლა და პატიოსანის გაზეთის მოთხოვნილება, რომ ზოგადს ინტერესებს ემსახუროს და თავიდამ აიცილოს ლიტერატურის უკადრისი პიროვნობის და კერძო ცხოვრების გაუპატიურება.

---

## ახალი წიგნები.

გაი მართალთა! თხზულება ახტოს, ფურცელაძისა. გამოცემული ქრისტეფორე მამაცაშვილისა. თბილისი 1881 წ.

სხვათა ქვეყნების ლიტერატურაში ხშირად აღძრულა შემდეგი კითხვა: რომელს მოთხრობებს უფრო საუკეთესო გაგლენა აქვთ საზოგადოებაზედ: იმათ, რომელთ საგანი ნამდვილის ცხოვრების აღწერაა, მიუფერებლად, მიუდგომელად, რომელნიც მკითხველსავე ამოქმედებინებენ ტკინს ავისა და კარგის გასარჩევლად; თუ იმ მოთხრობებს, რომელნიც მკითხველს ავსა და კარგს თითონვე გაურჩევენ და თითონვე ეუბნებიან, ამას ხელს ნუ მოჭიდებთ, ეს ავია; ეს ესრის კარგი გზა და ამ გზას დაადეგითო?

დღესაც კიდევ, საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის ამ საგანზედ ბაასი და ვგონებთ ვერც გადაწყდება. დღესაც კიდევ სანასეგროდ ლაპარაკობენ: კარგის ნიჭის შატრონისათვის ორივ იარაღი გამოსადეგია, მაგრამ უნიჭოსთვის კი არც ერთი არ გამოდგებაო: ეს უკანასკნელი ნამდვილის ცხოვრების აღწერას ისე დაამლაშებს და იმისთანა საგნებზედ მოჭყვება ლაპარაკს, რომლის სასენებაზედ სისუფთავეს მიჩვეულს კაცს გულის რევა მოუვა, ან კარგისა და ავის გარჩევის დროს იმისთანა ქადაგებებს მოართავს, რომ იობის მოთმინებით შეჭურვილსაც კი ძილს მოგვრისო.

ჩვენა გვგონია, რომ ეს უკანასკნელი აზრია საეუმეტლიანი და თუ მწერალს იმდენი ნიჭი აქვს, რომ ზომა იცის და გადაჭარბებას ერიდება, იმის თხზულებას ეროვნული მნიშვნელობა ექნება. ეროვნულ მწერალს განსხვავებული კილო, ხასიათი და ტანტაზია აქვს და ამ განსხვავებულ თვისებების ერთს კალაპოტში მოქცევა შეუძლებელია. ამის გამო, როდესაც ჩვენ რომელსამე ბელეტრისტულ თხზულებაზედ მოგვიხდება ლაპარაკი, არ მივხედავთ თხზულების რომელს კატეგორიას ეკუთვნის იგი; მივხედავთ მხოლოდ იმას, როგორ დაცულია მწერლობის ერთად-ერთი უმთავრესი კანონი, რომ მწერლის ნამოქმედარს ძალ-დატანება არ ეტყობოდეს და მკითხველს გადაჭარბებით თავი არ შეუწუხოს.

ორის სიტყვით რომ გადმოგცეთ ანტ. თურცელაძის ახალის მოთხრობის «ვაი მართალთა!»-ს შინაარსი, მაშინაც ცხადად დაინახავთ, როგორ ეთანხმება იგი ნამდვილს ცხოვრებას, მოქმედება იწყება ქართლის ერთს პატარა სოფელში—სალარეთში და თავდება პარიაში. გმირად არის გამოყვანილი სალარეთელი უმაწვილი ქალი ლიზა. ამას უყვარს ლარიბი აზნაურშვილი ზურაბ, რომელზედაც ნათესავების ჩუმად ჯავარს დაიწერს. შემდეგ ქმარი გაულოთდება, ლიზა დარჩება საბრალო მდგომარეობაში და ძრავალის სიღარიბის და ტანჯვის გამოვლის შემდეგ ვიღაც მაწანწალა დედა-კაცის შუამავლობით გაიცნობს და შეიყვარებს ახალ-გაზდა უმაწვილ-კაცს, მიშას, რომელიც «თვალებს უხელს» მას და ასწავლის, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ქვეყანაზედ, რომ მის ცხოვრებას კაცური ცხოვრება დაერქვას. შემდეგ, ალბად მაგალითის სახეგენებლად, მიდის საშზღვარს-გარედ, და ეომება ჯერსალის ჯარს კომუნართა შორის. ბრძოლის დროს ვიღაც მისტემს წერილს, რომ

მლიოთაც ლიზას სიკვდილს ატყობინებენ და ამ ამბით გულ-მოკლული თითონაც შეაკლავს თავს ვერსალელებს.

თუმცა როგორღაც ჭკუაში ვერ მოდის, რომ მიშოსთანა, ავტორის აზრით, პატიოსანს კაცს შუამავლად ვიღაც მაჭანკალი ამოერჩიოს და სადარეთში დაწუობილი საქმე პარიჟში გათავებულიყოს, მაგრამ, თუ კაცი მკაცრის თვალით არ შეჭსდავს, შეიძლება ამისთანა სამაგალითო საქმე მომხდარიყვეს და ავტორსაც მიეტევება, თუ ეს იშვიათი მაგალითი რიგიანად განახორციელა და მისაბაძავად წინ წამოგვიყენა.

ავტორის სუყვარელნი პირნი, ავტორის «მართალნი» და მისის აზრით მისაბაძავნი არიან მიშო და ლიზა. პირველად მიშო გამოდის სცენაზედ, როდესაც ბებერის დედა-კაცის შუამავლობით შესვდება ლიზას და თითქმის მიუსალმებლადვე მოუყვება შემდეგს დარიგებას:

«ჩვენი საზოგადო აზრი წახალისების მაგივრად უხდენს კაცს გულს ყოველს კეთილს საქმეში; იმის მაგივრად რომ იმან სდევნოს სიცუდე, ის კარგსა და ავს არ არჩევს და უფრო ხშირად სდევნის კარგს, ვიდრე ავს. ხშირად აქეზებს ავს, და სთელავს და უწყალოდ სდევნის კარგს... იცით, რა გითხრათ! ეს არის ბევრში მიზეზი, რომ ჩვენი საზოგადო წარმატება არამც თუ არა სჩანს და თითქმის რომ არც არის. ძნელიც არის რომ იყვეს. რატომ? — და იმიტომ რომ მაგგვარის ხასიათისანი ან სრულიად არ არიან, ან ძვირად იპოვებიან, რომელთაც შეეძლოთ საზოგადო აზრის ბრძოლა, ერთხელ დადებული ჩვეულების წინააღმდეგი....»

ასე, ამ ენითა და ამ კილოთი ელაპარაკება მთელი ერთი სასათი «გონება განვითარებული» მიშო ლიზას, იმ ლიზას, რომლის ლექსიკონი თავის დღეში საუველ-პირო ლაპარაკს არ გადასცილებია. რა აზრებისა და ჭკუის პატრონი უნდა იყოს უალაგო ალაგს ამისთანა მაღალ ფარდებში მოლაპარაკე ემაწ-

ვილი-კაცი. ცხადია ყველასთვის, გარდა ავტორისა, რომლისთვისაც მიშო სამაგალითო რამ არის ჯ რომელსაც მაჯანგლის პირით ოოვლად საქებ კაცად აღწერს.

ჩვენის აზრით ეი მიშოსთანა ლაქლაქს თავის დღეში ხელიდამ კარგი და კეთილი საქმე არა გამოუა-რა. რა გაარიგა მიშომ შინ, თავის ქვეყანაში? ის რომ ამ გვარის ოცობოდო ქადაგებით ყმაწვილს ქალს შეაუვარა შრომა, შეაყვარა სწავლა და კეთილს გზაზედ დააყენა. ასე ამბობს ავტორი, მაგრამ ჩვენ ნება გვაქვს რომ ცოტა ეჭვი შევიტანოთ და არ დავიჯეროთ რომ მიშოს უბედობას ზედ-მოქმედება ჰქონოდა რამე ლიზას ხასიათზედ, მაგრამ ავტორს აგრე მოუნდომნია და ავტორის სურვილის წინააღმდეგ ჩვენ რა გვეთქმის; იმას შეეძლო უცრად, მოულოდნელად, მიშოზედ ეთქვა რომ ესა-და-ეს ჰაერში მეურნაური მაშინა გამოიგონა, ან ახალი, ქვეყანაზედ ჯეშმარიტების მომბეური სწავლა, გაავრცელო და მაინც კიდევ წინ ვერ გადგუდგებოდით. ეხლაც ხმა არ ამოგვიღებია, როდესაც ავტორს, სხვა უმეთესი საქმე რომ ვერ ამოუჩენია თავის გმირისათვის, სამზღვარს-გარედ ჰგზავნის და კომუნართა შორის ჰკლავს. კაცია და ქეიფი! ავტორი ალბად მეტად გულ-კეთილი ეოფილა, რომ უბედი მიშო გმირად გაუხდია და სხვებისთვის სამაგალითოდ დაუსახავს, მაგრამ მოთხრობების დამწერთ გულ-კეთილობას გარდა სხვაც რამე მოეთხოვებათ და ავტორს რომ ეს «სხვა რამ» ჰქონოდა, მაშინ მიშოზედ ან სულ ხმას არ ამოიღებდა, ან პარიეის მაგივრად ხეხჩეგნის ან დარახიხალის კანტელარიაში დასვამდა სტოლნახალნიკად, ან იმის თანაშემწედ.

არც ქალების ხასიათის დახატვაში შესწევნია ბედი! ლიზას თუ პატარა სიცოცხლის ნიშან-წყალი ჰქონოდა, მიშოს

უბედობაზედ წასთვლემავდა და იქნება ტკბილადაც გამოეძინა, მაგრამ ეს როგორ შეიძლებოდა? ღირსეულს, მქადაგებელს ღირსეული მსმენელი უნდა ეშოვნა და ეს მსმენელი გახლდათ ლიზა: «იმას ეოგელი ეს სიტყვა, ეოგელი აზრი ამ სიტყვებით გამოსახულნი თითქო რაღაც ჩაჩუმებულს ‌ ‌ ‌

ლიზას როგორი ოსტატიცა ჭეკვდა ისეთივე შეგირდი გამოვიდა. ამანაც ისწავლა მაღალ თვრდებში ლაპარაკი და შემდეგს მონოლოგს ეუბნება... ვისა, თუ იცით... ქარიშსალს. «დაჭბერე ქარიშსალო! სად არის შენი უწინდელი სიტკბობა და სხვ. და სხვ.»

აქვე გავჩერდეთ, თორემ თუ ეველაფერი ამოვწერეთ, რაც უდროო დროს არის ჩაკერებული რომანში, მეტად ბევრი ქაღალდი დაგვჭირდებოდა.

ამ უთავბოლოდ ტიპების გამოხატვას ზედ ერთვის იმის უცოდინარობა, თუ როგორ უნდა იყოს ნაამბობი რომელიმე მოთხრობა. ამ მოთხრობას გვიამბობს ბესარიონ ვარგისაშვილი. ერთს დღეს ბესარიონ ვარგისაშვილი ერთს სოფელში წავიდა, ზურაბ და ლიზა მეორეში, მაგრამ როგორც ეტყობა ბესარიონს უჩინმაჩინის ქუდი ჭხურავს და ყველგან არის ერთსა და იმავე დროს, თორემ ასე წვრილად როგორ დაგვიწერდა ზურაბისა და ლიზას ამბავს, შემდეგ მათთან გაშორებისა:

«დაბრუნდა თუ არა ლიზა სახლში.... შევიდა შინ თავის ოთახში და შეჭყვა თან ზურაბიცა. ორივენი დაეშვნენ ერთად და დასხდენ რაღაცა (კიდევ რაღაცა!) დაფიქრებულნი, ორივეს რაღაცა (კიდევ!!) ეხვანაირად დაუწყო გულმა ცემა, თითქო ჭგრძნობდენ, რომ რაღაცა (ღმერთო დაგვიფარე!) გადაწყვეტილი საქმე უნდა გამოეცხადებინათ.»

ასე დაწერილებით აღწერა ან თანა-დამსწრეს შეუძლიან, ან თითონ ავტორს, რომელსაც ამრთელაც და უჩინმაჩინის ქუდი ჭხურავს, მაგრამ სხვის პირით ლაპარაკი რაღა საჭირო იყო ავტორისათვის, თუ კი ეს «სხვა» ასე უმზგავსად მოიხმარებდა ავტორისაგან მინდობილს უფლებას.

ერთი შესანიშნავი ღირსება აქვს ამ მოთხრობის ავტორს:

ჯარგად იცნობს სოფლელს სალხს და იცის, რა საგანზედ უფრო ესალაისებათ დარბაზობის დროს ლაპარაკი. ამ ლაპარაკს თითქმის ფოტოგრაფიულად გადმოგვცემს სოლმე თავის მოთხრობებში და ამ მოთხრობაშიაც ლამაზად არის აღწერილი მეჭორე მეზობლების განგაში ლიზასა და ზურაბის გაპარვის შემდეგ.

წყარო, № 2. გაზაფხული, ყრმათათვის საკითხავი წიგნი. ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული. თბილისი, 1881.

ორს ჩვენს მწერალს დაუმშვენებიათ ეს წიგნი თავიანთ ლექსებით. აკ. წერეთელს დაუბეჭდია «აღდგომა» და რაფ. ერისთავს «აღდგომა», «ბზობა» და «გაზაფხული.» ბავშვების საკითხავად უკეთესს საგანს ვერ ამოარჩევდა კაცი ლექსისთვის, როგორიც ამოურჩევიათ ამ ორს ჩვენს პოეტს. იმისთანა დღესასწაულების მოგონება, რომელნიც ათას გვარს შთაბეჭდილებას აღძრავენ ბავშვის გონებაში, დიდად სახალისოა მისთვის და თუ ეს შთაბეჭდილება ლამაზად გალექსილია, ამაზედ უკეთესს საკითხავს ვერას უშოვით. რაფ. ერისთავს თავისებურად შეესრულებია ეს ჩინებული აზრი. მარტივის, სწორედ ბავშურის კილოთი გაულექსავს ის, რასაც ბზობა და აღდგომა მოაგონებს ყმაწვილს და სანდისხან რითმის გულისთვის რომ მეტი ლექსი არ ჩაემატა, ეს ორი ლექსი და მეტადრე მესამე «გაზაფხული» ჩინებული რამ იქნებოდა. აი მაგალითად მთელი ერთი სტროფანი «ბზობაში», რომელიც ტუუილ ტვირთად აწევს ლექსსა:

ერთი ბავშვი უამბობს მეორეს ბზობის ამბავს, იესო ქრისტეს შესვლას იერუსალიმში და უმატებს:

«სულ რომ გეტყვი ამ ამბავსა, გაოცდები, გაჭკვირდები...» როდესაც გასაკვირველი არა არის-რა.

რათ. ერისთვის «აღდგომა» საგსეა იმ შთაბეჭდილებით, რომელიც ოთველს ბავშვს ახსოვს: შუაღამეზედ ცარის რეკა; საყდრისკენ გამგზავრება ხელში კელაპტრებით; ლიტანია, «ქრისტე აღდგა—ჭეშმარიტად!» ერთის სიტყვით, რათ. ერისთვის ლექსი შვიდის წლის ბავშვმაც რომ წაიკითხოს სიამოვნებით ატოკდება და კითხვის სალისიც გაელვიძება. ა. წერეთლის ლექსი ეგეთი არ არის. მასში უიერო მადალი გრძნობა გამოსატული. ის ამბობს:

«ილვიძებს და იმოსება
ათას-ფერად დღეს ბუნება;
თითქო იგი «ქრისტე აღდგას»
თვის შემოქმედს ეუბნება...

. . . . . .

იცის რომ ეს ნიშანია,
მკვდრეთით კაცთა აღდგინების
და მით თვისი აღდგომაცა,
მომავალი ელხინების.»

თუმცა ესეც ბავშვებისათვის არის დაწერილი, მაგრამ არა შვიდისა და ათის წლის ბავშვებისათვის.

ლექსები ამ წიგნში ჩინებულია, მაგრამ ბრიოზა კი ძალიან სუსტობს. ნათარგმნი მოთხრობა «ოლა» სრულიად არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას, რადგან ჩვენში ჯერ არც ქარხანებია, არც ის ქარხანაში მომუშავე ბავშვები, რომელთ დანახვაზედ ოლას კატობრიული გრძნობა გაუღვიძეს თავში და წამოაძახებინებს: «საწყალი, საცოდავი ბავშვები! ვინ იცის ესლა

იმათ შიმშილისაგან კუჭები ეწვით!» რომ შეეფერებოდეს კიდეც ეს მოთხრობა ჩვენს ცხოვრებას, მაინც ამ გვარის წუწუნითა და შებრალებით არა გვგონია ბავშვებს ის გრძნობა ჩაეგონოს, რომლის ჩაგონებასაც ცდილობს ავტორი. ამას გარდა, კიდევ და კიდევ გვჭირდება ‘იმის გამეორება, რომ მეტადრე საუმაწვილო მოთხრობებში ენის სისწორეზედ უნდა იყოს დიდი უურადღება მიქცეული. ვინ გაიგებს, აბა, ამისთანა ფრაზებს: «იმათ პატარაობიდგანვე ოლა გვიან-გვიან ხედავდა ხოლმე თავის დედ-მამას?» ან როგორი ქართულია: «ოლამ დაჭკოცნა ძმას» «იდგა მძიმე და გაშტერებული ჭაერი» «არც არას შენ აგეთებ და ზარმაც შვილსაც იცვავ» (ე. ი. ეჭოამაგები)!?

«ცხოველების ჭკუა» სწორედ კაი საკითხვაა ბავშვებისათვის: ფრიად საინტერესოც და სასარგებლოც; ენაც მარტივი და სწორეა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლულოვანება აქვს: სიცხოველე აკლია. კაცი რომ ჭკვითხულობს, ასე ჭგონია, ავტორს თან უმთქნარებია, თან უწერია. მეტადრე ბოლოა ამ მხრით შესანიშნავი: ოსტატმა რომ უამბო თავის მოწაფეს ზოგიერთა ცხოველების ჭკუის მომასწავებელი ამბავი:

«ჩვენმა მგზავრებმა შემოჰკრეს ქუსლი ცხენებს და ჭენებ-ჭენებით (?) უნდოდათ მისულიუვნენ შინ, მაგრამ ალექსის ცხენმა წაიფორხილა და თავისი მხედარი ყირამალა ისროლა ძირს. ალექსი სწრაფად წამოხტა ფეხზე, შემოახტა ისევ თავის ლურჯას და ჭენებ-ჭენებით მივიდნენ შინ.»

რისთვის წაათეორხილა ავტორმა ცხენი, ან ალექსი რისთვის გადმოისროლა ყირამალა, უწყის ღმერთმა და თვით ავტორმა; ჩვენ კი რამდენიც უნდა ვეძებოთ, მიზეზს ვერ ვიპოვით.

მეორე, ბუნების მეტუველებიდამ ამოღებული მოთხრობა,

«წურბელას» ბევრად სუსტია პირველზედ. თუმცა რამდენჯერმეა გამეორებული ერთი და იგივე აღწერა, მაგრამ მაინც მთელს სურათს ვერ შეადგენთ და ვერ დაიხსომებთ, რა ცხოველია ეს წურბელა, ან როგორ სცხოვრობს. როდესაც ავტორი ამბობს წურბელას სცხოვრობს გუბეებში, ჭაობებში, და ლელიანებშიო, თან უმატებს: «წურბელა ჭცხოვრობს ამ ადგილებში იმიტომ რომ ეს ადგილები უფრო შესაფერნი არიან მისის ცხოვრებისა.» სად გინახავთ ამისთანა ასსნა ბუნების მოვლენისა? ეს იმასა ჭგავს რომ სთქვათ: სანთელი იმიტომ ანათებს, რომ სინათლე აქვსო.

გული არ გვითმენს აქაც იგივე არ გავიმეორეთ, რაც პირველის წიგნის თაობაზედ ვთქვით: მოთხრობებს და ამბებს, მეტადრე საყმაწვილოებს კარგი შერჩევა უნდა და კარგად შერჩევისათვის კარგი შემრჩევია საჭირო...

საჭაური, საყმაწვილო მოთხრობა, რუსულიდან გადმოღებული ანასტასია თუმანიშვილისაგან. (წერა-კითხვის საზ. გამოცემა.) თბილისი, 1881.

***

რომელს ბავშვსაც კი პატარობისას კატები ჭყვარებია, ხიამოვნებით ამოიკითხავს ამ პატარა მოთხრობაში თავის საყვარელ «ციცუნიას» ამბავს და ენიშნება ამ სუფთა და ცბიერის პირუტყვის ხასიათი. მაგრამ ეს თხზულება მარტო კატების ხასიათის გასაცნობად არ არის დაწერილი, თუმცა კი «ხატაური» ჭმეიან. ამ მოთხრობის აზრი ის არის, რომ ბავშვებს სიბრალული გაუღვიძოს იმ ქმნილებათადმი, რომელნიც თუმცა ფუფუნებაში არიან, მაგრამ ავად-მყოფობას ისე შეუპყრია,

რომ არა აქვთ ღონისძიება თავიანთ სიმდიდრე როგორმე გამოიყენონ. ეს აზრი ურიგო აზრი არ არის, მაგრამ სხვა უფრო საჭირო საგანი აქვს ბავშვების ლიტერატურას. მდიდარნი საჭაარნი საბრალონი არიან, მაგრამ მათი რიცხვი ნაკლებია და ქვეყანა კი ღარიბ საჭურებით არის სავსე. მოთხრობამ უნდა საერთოდ ჩაგონოს კეთ-მოყვარეობა ბავშვს და არა მარტო კერძო პირთადმი. ამას გარდა რომელს მებატონესა აქვს ჩვენში იმისთანა სახლები ლ მორთულობა, როგორიც ჭქონდა ნუცას მეზობელს ენეინას? მაინც-და-მაინც ეს მოთხრობა კარგი შესაძენია ჩვენის ღარიბის საბავშვო ლიტერატურისათვის.

ეთელი ფარანი, საუმაწვილო მოთხრობა, თხზულება ვუჩეტიჩისა. რუსულიდგან გადმოთარგმნილი გ. ანდრონიკაშვილისგან. (წერა-კითხვის საზ. გამ.) თბილისი 1881.

საზოგადოების ცხოვრება ისეა მოწყობილი რომ რადესაც ერთი განცხრომაში და სიამოვნებაში არიან, მეორენი მთელი თავიანთი სიცოცხლე ეწევიან ჭაპანს და ცდილობენ პირველთ გაუადვილონ ცხოვრება. ამ უკანასკნელებში სხვებზედ არა ნაკლებ შესაბრალისნი არიან გზებზედ მოსამსახურე პირნი: ისინი კი არა, რომელნიც ათას თუმნობით ჯამაგირებს იღებენ და დიდს ქალაქებში ცხოვრობენ; არა, ისინი, რომელნიც დღიურ ლუკმას ძლივს შოულობენ და ამ ლუკმის სამაგიეროდ უნდა გადიკარგონ სადმე უდაბნოში და ხელი გაუმართონ მოგზაურებს. ახლანდელმა ცივილიზაციამ შექმნა რკინის გზები და ამ გზებს ზედ დაახვია მთელი ლეგიონი გზის ყარაულებისა, რომელთაც არც დღე სძინავთ მოსვენებით,

არც ღამე, არც ზამთრის ყინვა იცია, არც ზაფხულის ბაბანაქება სიცხე. ესენი ყოველთვის მზად უნდა იყვნენ გზის დასათვალიერებლად, ყოველთვის უნდა ყურები დაცქვეტილი ჰქონდეთ, რადგან ამათ სულშია ასის და ათასის კაცის სიცოცხლე და სიკვდილი. ერთის ამ ყარაულთაგანის ცხოვრებაა აღწერილი ამ ბატარა წიგნში, ერთს საშინელს ღამეს მეხი დაეცა იმის სახლს და ცეცხლი წაუკიდა; მეხმა გზაც გაუფუჭა. რომელის ერთისათვის უნდა მიეხედნა გზის ყარაულს? სახლისათვის, რომელშიაც მთელი ქონება ელუბებოდა, თუ გზისთვის, რომელზედაც ის იყო მაშინა უნდა გამოქანებულიყო და ყარაულს რომ არ გაეჩერებინა, მოლად დაიღუბებოდა. ყარაულმა საზოგადოების კალის შესრულება არჩია და მაშინა გადაარჩინა.

ეს მოკლე მოთხრობა ჩინებულად არის ნაამბობი ამ წიგნში, ისე უბრალოდ, თითქო ყოველისფერი ასე უნდა მომხდარიყოო; ყარაულის გულში აღძრული ბრძოლა ისე მარტივია, როგორც თვით მისი ცხოვრება და როდესაც ყარაული ამ საქმეს ჩადიოდა, იქნება არც კი გრძნობდა, რა გმირობა იყო იმისაგან სახლისთვის თავის დანებება. ჩვენა გვგონია, რომ ბავშვებს ამისთანა მოთხრობა მოეწონებათ და მოეწონებათ უფრო იმის სიმარტივის გულისთვის. ენა რიგიანი ქართულია ლ კორექტურული შეცდომებიც ძალიან ნაკლებად არის.

სიყვარულის კონა. თხზ. დიმიტრი მიხ. ძის ნადირაძისა. თბილისი, 1881 წ.

«ჩემო წიგნო ნებას გაძლევ ახლა გაფრინდი ქვეყანად,
«შენ გენაცვალე, სიყმაწვილე დავაღამე დღენი მწარად,

«რაც რომ წარმომიდგა თვალ-წინ, ყოვლით აგკონე ნეტარად,
«და მომიგონდე შენს ქართველს სადაცა იყო ამ ქვეყნად.»

ამ წინა, ანუ ბოლოს — სიტყვაობით უძღვნის დიმიტრი მიხაილის ძე ნადირაძი თავის წიგნს, თავის «ძმებს ქართველებს» და ვაი იმ ქართველის ბრალიც რომელიც ამ «ნეტარად აკონილს» წიგნს თავიდამ ბოლომდე წაიკითხავს.

რადესაც ნადირაძეებისთანა მწერლები ქალების ეშხზე მღერიან, კიდევ როგორც იქნება, კაცი მოითმენს და იქნება ზოგიერთი მკითხველიც გამოუჩნდეს, მაგრამ მნელი ეს არის, რომ ამისთანა ავტორები ხანდისხან ქალებზე სიმღერებს არა სჯერდებიან და მამულსაც შეამკობენ ხოლმე თავიანთ მჭევრმეტყველური კილოთი.

ზოგს ლექსებს მ. ნადირაძისას არა უშავთ-რა, რვა-ცხრა წლის ბაგშვის დაწერილი რომ იყოს, და მართლაც რადესაც ჭკითხულობთ ამ ლექსს:

«ჩემო სამშობლოვ მშვენიერი ხარ,
«ალაზნის ველებს ჩამობმული ხარ,
«დიდროვან მინდვრით შემკობილი ხარ,
«თავს ამაყურად გარდასცქერიხარ» და სხვ.

ენაზე მაშინვე ეს მოგვადგებათ — აი, ბარაქალა, ბარაქალა, ჩემო ბაწიაო! და გინდათ ავტორს თავზედ ხელი წაუსვათ, მაგრამ ხელ-ქვეშ ნორჩის ბავშვის თავის მაგივრად ხშირად მოწითვული თავი მოგხვდებათ....

დიმიტრი ნადირაძის „სიყვარულის კონაში“ ლექსებს გარდა არის კომედია «ნასწავლი სონა» და «დაღისტნელის ლეკის ისმაილის ამბავი.»

ვალად კი მდევს ამ «თხზულებათა» შინაარსის გადმოცემა, მაგრამ ჯერ საიმისო არა დამიშავებია-რა მკითხველის წინაშე, რომ ასე უწყალოდ ჩემი დასჯა მოინდომოს და «ანგარიში» მომთხოვოს.

## რედაქციისაგან.

ზოგიერთი ნახევარ-წლის სელის-მომწერლები, რომელთაც ვადა პირველს ივლისს გაუთავდათ, საეკედურს გვითვლიან, რატომ ივლისისა და აგვისტოს წიგნებს არ გვიგზავნითო. აქ ვაცხადებთ, რომ მთელის წლის წიგნები მხოლოდ იმათ გაეგზავნებათ, რომელთაც მთელის წლის ფასი შემოიტანეს და ვინც მხოლოდ ნახევარ წლისა შემოიტანა, იმათ ივლისშივე მოესპოთ გაგზავნა და დანარჩენი ნომრები მხოლოდ მაშინ გაეგზავნებათ, თუ დანარჩენს წლის ფასსაც გამოგზავნიან.

---

*Открыта полугодовая подписка на*

еженедѣльный журналъ

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(издаваемый въ г. Тифлисѣ)

Съ 1 Іюля 1881 года по 1 Января 1882 года.

**Цѣна за полъ года 6 руб.**

Кромѣ того можно подписаться на 3 мѣсяца,—3 руб. 20 коп., на 1 мѣс.—1 руб. 20 коп. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

*Разсрочка во взносъ денегъ допускается по соглашенію съ администраціею журнала.*

Подписка принимается исключительно въ администраціи журнала, въ г. Тифлисѣ, близь Головинскаго пр., по Безъименному пер. въ домѣ Тамамшева.

*Издатель* А. С. Френкель.

*Редакторъ* А. В. Степановъ

(3—3).

ი 383
1881

## ხელის-მოწერა «დროება-ივერიაზედ» მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გალავნის პროსპექტზედ, ი. ივ. კ. მუსრანსკის სახლებში, ალუბის ქვემოდ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭეონიასთან (სილაზედ, მბრიან ჭეონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ყურნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.

### ფასი:

«ივერია» ექვსის თვით («დროებასთან» ერთად) — 5 მან.
«ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — — 4 მან.
«ივერია» ერთის წლით — — — — — — 7 მან.

ხელის-მომწერთ ფული ყურნალ-გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

ვისაც ყურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, უმორჩილესად ვთხოვთ მალე გვაცნობოს რედაქციაში.

---

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ⁊ ს. მესხი.